33. Heidenreich, Paul A., Tina T. Lee, and Barry M. Massie. "Effect of beta-blockade on mortality in patients with heart failure: a meta-analysis of randomized clinical trials." *Journal of the American College of Cardiology* 30, no. 1 (1997): 27-34.
34. Danesh, Arash, and P. Christopher H. Gottschalk. "Beta-blockers for migraine prevention: a review article." *Current treatment options in neurology* 21 (2019): 1-13.
35. Mancia, Giuseppe, Sverre E. Kjeldsen, Reinhold Kreutz, Atul Pathak, Guido Grassi, and Murray Esler. "Individualized beta-blocker treatment for high blood pressure dictated by medical comorbidities: indications beyond the 2018 European Society of Cardiology/European Society of Hypertension Guidelines." *Hypertension* 79, no. 6 (2022): 1153-1166.
36. Alcocer, Luis Antonio, Alfonso Bryce, David De Padua Brasil, Joffre Lara, Javier Moreno Cortes, Daniel Quesada, and Pablo Rodriguez. "The pivotal role of angiotensin-converting enzyme inhibitors and angiotensin II receptor blockers in hypertension management and cardiovascular and renal protection: a critical appraisal and comparison of international guidelines." *American Journal of Cardiovascular Drugs* 23,6(2023): 663-682.
37. Beckett, Nigel S., Ruth Peters, Astrid E. Fletcher, Jan A. Staessen, Lisheng Liu, Dan Dumitrascu, Vassil Stoyanovsky et al. "Treatment of hypertension in patients 80 years of age or older." *New England Journal of Medicine* 358, no. 18 (2008): 1887-1898.
38. Lithell, Hans, Lennart Hansson, Ingmar Skoog, Dag Elmfeldt, Albert Hofman, Bertil Olofsson, Peter Trenkwalder, Alberto Zanchetti, and SCOPE Study Group. "The Study on Cognition and Prognosis in



- the Elderly (SCOPE): principal results of a randomized double-blind intervention trial." *Journal of hypertension* 21, no. 5 (2003): 875-886.
39. Heart Outcomes Prevention Evaluation Study Investigators. "Effects of an angiotensin-converting-enzyme inhibitor, ramipril, on cardiovascular events in high-risk patients." *New England Journal of Medicine* 342, no. 3 (2000): 145-153.
  40. Dahlöf, Björn, Peter S. Sever, Neil R. Poulter, Hans Wedel, D. Gareth Beevers, Mark Caulfield, Rory Collins et al. "Prevention of cardiovascular events with an antihypertensive regimen of amlodipine adding perindopril as required versus atenolol adding bendroflumethiazide as required, in the Anglo-Scandinavian Cardiac Outcomes Trial-Blood Pressure Lowering Arm (ASCOT-BPLA): a multicentre randomised controlled trial." *The Lancet* 366, no. 9489 (2005): 895-906.
  41. Telmisartan Randomised AssessmeNt Study in ACE iNtolerant subjects with cardiovascular Disease (TRANSCEND) Investigators. "Effects of the angiotensin-receptor blocker telmisartan on cardiovascular events in high-risk patients intolerant to angiotensin-converting enzyme inhibitors: a randomised controlled trial." *The Lancet* 372, no. 9644 (2008): 1174-1183.
  42. Julius, Stevo, Sverre E. Kjeldsen, Michael Weber, Hans R. Brunner, Steffan Ekman, et al. "Outcomes in hypertensive patients at high cardiovascular risk treated with regimens based on valsartan or amlodipine: the VALUE randomised trial." *The Lancet* 363, no. 9426 (2004): 2022-2031.
  43. NAVIGATOR Study Group. "Effect of valsartan on the incidence of diabetes and cardiovascular events." *New England Journal of Medicine* 362, no. 16 (2010): 1477-1490.
  44. Ontarget Investigators. "Telmisartan, ramipril, or both in patients at high risk for vascular events." *New England Journal of Medicine* 358, no. 15 (2008): 1547-1559.
  45. European Trial on Reduction of Cardiac Events with Perindopril in Stable Coronary Artery Disease Investigators. "Efficacy of perindopril in reduction of cardiovascular events among patients with stable coronary artery disease: randomised, double-blind, placebo-controlled, multicentre trial (the EUROPA study)." *The Lancet* 362, no. 9386 (2003): 782-788.
  46. PEACE Trial Investigators. "Angiotensin-converting-enzyme inhibition in stable coronary artery disease." *New England Journal of Medicine* 351, no. 20 (2004): 2058-2068.
  47. Pitt, Bertram, Blair O'Neill, Robert Feldman, Roberto Ferrari, Leonard Schwartz, Harald Mudra, Theodore Bass et al. "The QUinapril Ischemic Event Trial (QUIET): evaluation of chronic ACE inhibitor therapy in patients with ischemic heart disease and preserved left ventricular function." *The American journal of cardiology* 87, no. 9 (2001): 1058-1063.
  48. Pfeffer, Marc A., Eugene Braunwald, Lemuel A. Moyé, Lofty Basta, Edward J. Brown Jr, Thomas E. Cuddy, Barry R. Davis et al. "Effect of captopril on mortality and morbidity in patients with left ventricular dysfunction after myocardial infarction: results of the Survival and Ventricular Enlargement Trial." *New England journal of medicine* 327, no. 10 (1992): 669-677.
  49. Swedberg, Karl, Peter Held, John Kjekshus, Knut Rasmussen, Lars Rydén, and Hans Wedel. "Effects of the early administration of enalapril on mortality in patients with acute myocardial infarction: results of the Cooperative New Scandinavian Enalapril Survival Study II (CONSENSUS II)." *New England Journal of Medicine* 327, no. 10 (1992): 678-684.
  50. Study, The Acute Infarction Ramipril Efficacy AIRE. "Effect of ramipril on mortality and morbidity of survivors of acute myocardial infarction with clinical evidence of heart failure." *The Lancet* 342, no. 8875 (1993): 821-828.
  51. Køber, Lars, Christian Torp-Pedersen, Jan E. Carlsen, Henning Bagge, Per Eliassen, Kjeld Lyngborg, Jørgen Videbæk et al. "A clinical trial of the angiotensin-converting-enzyme inhibitor trandolapril in patients with left ventricular dysfunction after myocardial infarction." *New England Journal of Medicine* 333, no. 25 (1995): 1670-1676.
  52. Ambrosioni, Ettore, Claudio Borghi, and Bruno Magnani. "The effect of the angiotensin-converting-enzyme inhibitor zofenopril on mortality and morbidity after anterior myocardial infarction." *New England Journal of Medicine* 332, no. 2 (1995): 80-85.

53. Dickstein, Kenneth, and John Kjekshus. "Effects of losartan and captopril on mortality and morbidity in high-risk patients after acute myocardial infarction: the OPTIMAAL randomised trial." *The Lancet* 360, no. 9335 (2002): 752-760.
54. Pfeffer, Marc A., John JV McMurray, Eric J. Velazquez, Jean-Lucien Rouleau, Lars Køber, Aldo P. Maggioni, Scott D. Solomon et al. "Valsartan, captopril, or both in myocardial infarction complicated by heart failure, left ventricular dysfunction, or both." *New England Journal of Medicine* 349, no. 20 (2003): 1893-1906.
55. Consensus Trial Study Group\*. "Effects of enalapril on mortality in severe congestive heart failure." *New England Journal of Medicine* 316, no. 23 (1987): 1429-1435.
56. SOLVD Investigators\*. "Effect of enalapril on survival in patients with reduced left ventricular ejection fractions and congestive heart failure." *New England Journal of Medicine* 325, no. 5 (1991): 293-302.
57. Granger, Christopher B., John JV McMurray, Salim Yusuf, Peter Held, Eric L. Michelson, Bertil Olofsson, Jan Östergren, Marc A. Pfeffer, and Karl Swedberg. "Effects of candesartan in patients with chronic heart failure and reduced left-ventricular systolic function intolerant to angiotensin-converting-enzyme inhibitors: the CHARM-Alternative trial." *The Lancet* 362, no. 9386 (2003): 772-776.
58. Cohn, Jay N., and Gianni Tognoni. "A randomized trial of the angiotensin-receptor blocker valsartan in chronic heart failure." *New England Journal of Medicine* 345, no. 23 (2001): 1667-1675.
59. Yusuf, Salim, Hans-Christoph Diener, Ralph L. Sacco, Daniel Cotton, Stephanie Ôunpuu, William A. Lawton, Yuko Palesch et al. "Telmisartan to prevent recurrent stroke and cardiovascular events." *New England Journal of Medicine* 359, no. 12 (2008): 1225-1237.
60. Patel, Anushka. "Effects of a fixed combination of perindopril and indapamide on macrovascular and microvascular outcomes in patients with type 2 diabetes mellitus (the ADVANCE trial): a randomised controlled trial." *The Lancet* 370, no. 9590 (2007): 829-840.
61. Brenner, Barry M., Mark E. Cooper, Dick De Zeeuw, William F. Keane, William E. Mitch, Hans-Henrik Parving, Giuseppe Remuzzi, Steven M. Snapinn, Zhonxin Zhang, and Shahnaz Shahinfar. "Effects of losartan on renal and cardiovascular outcomes in patients with type 2 diabetes and nephropathy." *New England journal of medicine* 345, no. 12 (2001): 861-869.
62. Lewis, Edmund J., Lawrence G. Hunsicker, William R. Clarke, Tomas Berl, Marc A. Pohl, Julia B. Lewis, Eberhard Ritz, Robert C. Atkins, Richard Rohde, and Itamar Raz. "Renoprotective effect of the angiotensin-receptor antagonist irbesartan in patients with nephropathy due to type 2 diabetes." *New England Journal of Medicine* 345, no. 12 (2001): 851-860.
63. arving, Hans-Henrik, Hendrik Lehnert, Jens Bröchner-Mortensen, Ramon Gomis, Steen Andersen, and Peter Arner. "The effect of irbesartan on the development of diabetic nephropathy in patients with type 2 diabetes." *New England Journal of Medicine* 345, no. 12 (2001): 870-878.
64. Imai, E., J. C. N. Chan, S. F. Ito, T. Yamasaki, F. Kobayashi, M. Haneda, H. Makino, and ORIENT Study Investigators. "Effects of olmesartan on renal and cardiovascular outcomes in type 2 diabetes with overt nephropathy: a multicentre, randomised, placebo-controlled study." *Diabetologia* 54 (2011): 2978-2986.
65. Haller, Hermann, Sadayoshi Ito, Joseph L. Izzo Jr, Andrzej Januszewicz, Shigehiro Katayama, Jan Menne, Albert Mimran et al. "Olmesartan for the delay or prevention of microalbuminuria in type 2 diabetes." *New England Journal of Medicine* 364, no. 10 (2011): 907-917.
66. Carey, Robert M., David A. Calhoun, George L. Bakris, Robert D. Brook, Stacie L. Daugherty, Cheryl R. Dennison-Himmelfarb, Brent M. Egan et al. "Resistant hypertension: detection, evaluation, and management: a scientific statement from the American Heart Association." *Hypertension* 72, no. 5 (2018): e53-e90.
67. Calhoun, David A., Daniel Jones, Stephen Textor, David C. Goff, Timothy P. Murphy, Robert D. Toto, Anthony White et al. "Resistant hypertension: diagnosis, evaluation, and treatment: a scientific statement from the American Heart Association Professional Education Committee of the Council for High Blood Pressure Research." *Hypertension* 51, no. 6 (2008): 1403-1419

68. Williams, Bryan, Giuseppe Mancina, Wilko Spiering, Enrico Agabiti Rosei, Michel Azizi, et al. "2018 Practice Guidelines for the management of arterial hypertension of the European Society of Cardiology and the European Society of Hypertension." *Blood pressure* 27, no. 6 (2018): 314-340
69. Williams, Bryan, Thomas M. MacDonald, Steve Morant, David J. Webb, Peter Sever, Gordon McInnes, Ian Ford et al. "Spironolactone versus placebo, bisoprolol, and doxazosin to determine the optimal treatment for drug-resistant hypertension (PATHWAY-2): a randomised, double-blind, crossover trial." *The Lancet* 386, no. 10008 (2015): 2059-2068
70. Basile, Jan N. "One size does not fit all: the role of vasodilating  $\beta$ -blockers in controlling hypertension as a means of reducing cardiovascular and stroke risk." *The American journal of medicine* 123, no.7 (2010): S9-S15
71. Miranda, Roberto Dischinger, Décio Mion Jr, João Carlos Rocha, Oswaldo Kohlmann Jr, Marco Antonio Mota Gomes, José Francisco Kerr Saraiva, Celso Amodeo, and Bráulio Luna Filho. "An 18-week, prospective, randomized, double-blind, multicenter study of amlodipine/ramipril combination versus amlodipine monotherapy in the treatment of hypertension: the assessment of combination therapy of amlodipine/ramipril (ATAR) study." *Clinical therapeutics* 30, no. 9 (2008): 1618-1628.

*ზვიად კერესელიძე, კახაბერ ჭელიძე, ვახტანგ ჭუმბურიძე, არჩილ ჩუხრუკიძე,  
ლიანა რიგვავა, ნათია ნაზლაიძე*

**არტერიული ჰიპერტენზია: ჯანდაცვის სისტემის მძიმე ტვირთი და ბეტა ბლოკერის როლი რეზისტენტული ჰიპერტენზიის დროს (ლიტერატურული მიმოხილვა)**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### რეზიუმე

ჰიპერტენზია წარმოადგენს გლობალურ პრობლემას ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, რომელიც აღენიშნება ზრდასრული მოსახლეობის 2/3-ს. ჯან. დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) კვლევის თანახმად, მსოფლიოში პაციენტთა მხოლოდ 21%-ს აქვს ადეკვატურად კონტროლირებადი არტერიული წნევა. ჰიპერტენზია მნიშვნელოვნად ზრდის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკებს, მათ შორის გულის იშემიური დაავადების, ინსულტის, გულის უკმარისობის და საერთო სიკვდილობის რისკს. მეტა ანალიზის მიხედვით, სისტოლური არტერიული წნევის 10 მმ.ვწ.სვ-ით შემცირება იწვევს ძირითადი გულ-სისხლძარღვთა დაავადებების 20%-ით, კორონარული არტერიების დაავადების რისკის 17%-ით, ინსულტის 27%-ით, გულის უკმარისობის 28%-ით და საერთო სიკვდილობის 13%-ით შემცირებას. რეზისტენტული ჰიპერტენზია (RHTN), რომელიც აღენიშნება პირთა დაახლოებით 20-30%-ს, განისაზღვრება, როგორც არაკონტროლირებადი არტერიული წნევა სამი ანტიჰიპერტენზიული პრეპარატით მკურნალობის მიუხედავად. არსებული გაიდლაინები რეკომენდაციას უწევენ RHTN-ის დროს მეოთხე პრეპარატის, მაგალითად, ბეტა-ბლოკერის დამატებას. RHTN-ში ბეტა-ბლოკერების გამოყენების მტკიცებულებები შეზღუდულია და ძირითადად მომდინარეობს PATHWAY-2 კვლევიდან, რომელმაც აჩვენა, რომ ბისოპროლოლი ამცირებს სისტოლურ არტერიულ წნევას. თუმცა, არსებობს მტკიცებულების დეფიციტი სხვა ბეტა-ბლოკერებთან, სისტოლური და დიასტოლური არტერიული წნევის შემცირების შედეგებთან დაკავშირებით, მათ შორის პაციენტებში კალციუმის არხების ბლოკატორების (CCB) მიმართ აუტანლობით.



მარინა ყუფარაძე<sup>1</sup>, ნატალია გარუჩავა<sup>1</sup>, გიგი გორგაძე<sup>1</sup>, გიორგი ჟორჯოლიანი<sup>1</sup>,  
ია ავალიანი<sup>2</sup>, ზაზა ბერიშვილი<sup>3</sup>

**ნევროტიზმის მაჩვენებლის შესწავლა მედიცინის საერთაშორისო და დიპლომირებული  
მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებში  
პიროვნების ფსიქოტიპის გათვალისწინებით - შემთხვევა-კონტროლის კვლევა**

<sup>1</sup>თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, <sup>2</sup>პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის  
სამედიცინო აკადემია, <sup>3</sup>გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.01.06>

*MARINA KUPARADZE<sup>1</sup>, NATALIA GARUCHAVA<sup>1</sup>, GIGI GORGADZE<sup>1</sup>,  
GIORGI ZHORZHOLIANI<sup>1</sup>, IA AVALIANI<sup>2</sup>, ZAZA BERISHVILI<sup>3</sup>*

**STUDY OF THE RATE OF NEUROTICISM AMONG STUDENTS OF INTERNATIONAL AND  
GEORGIAN MEDICAL EDUCATION PROGRAMS TAKING INTO ACCOUNT PERSONALITY  
PSYCHOTYPE – A CASE-CONTROL STUDY**

<sup>1</sup>Tbilisi State Medical University, <sup>2</sup>Petre Shotadze Tbilisi Medical Academy,

<sup>3</sup>Grigol Robakidze University

**SUMMARY**

The aim of study was to identify the psychological characteristics of students of the international and Georgian medical programs of Tbilisi State Medical University and to determine the relationship between the latter and the neuroticism index, as well as to determine the extent to which this index differs between these two groups of students.

The study revealed that neuroticism among international faculty students was significantly higher among foreign students than among local students (OR=17,406; CI=1.11-2.72; p<0.05). Female gender has a protective function among international faculty students (OR=0.46; CI=0.25-0.86; p<0.05). This protective function was particularly evident in ambiverts (OR=0.38; CI=0.17-0.86; p<0.05). None of the surveyed students showed a high score on the lying scale, which confirms the relevance of the results. Based on the above, this study requires continuation, larger-scale research and detailed study of risk factors.

**Keywords:** neuroticism, personality, psychotype, international, Georgian, students

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში სტუდენტებზე გავლენას ახდენს მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს მათ ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყოველდღიური დატვირთული სამუშაო და სასწავლო გრაფიკით გამოწვეული დროის დეფიციტი, მუდმივად გონებრივ, ფსიქოემოციურ, ინფორმაციულ სტრესთან ასოცირებული სოციალიზაციის პრობლემები, მატერიალური ფაქტორი, მუშაობის, დასვენების, კვების რეჟიმის მუდმივი დარღვევა [1]. დღეისთვის ნაკლებად არის შესწავლილი ყოველდღიური საგანმანათლებლო საქმიანობის პროცესში სტუდენტთა ფსიქოლოგიური სტატუსი, ნევროტიზმის მაჩვენებელი, ჯანმრთელობაზე მავნე ჩვევების გავლენა. სამეცნიერო ნაშრომების ანალიზი სტუდენტთა პრობლემებზე და მათ განმაპირობებელ ფაქტორებზე, ადასტურებს ამ ჯგუფის ჯანმრთელობის მდგომარეობის სიღრმისეული შესწავლის აუცილებლობას;

სტუდენტებს შორის სტრესების გახშირების გამო ნევროტიზმის მაჩვენებლის გაზრდამ გამოიწვია საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა მოზარდებისა და ახალგაზრდების ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართ [2,3]. დეპრესიის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია სოციალიზაციის ხარისხი, რომელიც, თავის მხრივ,



კავშირშია პიროვნების ტიპთან - რამდენად ინტროვერტი ან ექსტრავერტი იგი [4]. ასევე, საინტერესოა სტუდენტებში ნევროტიზმის მაჩვენებლის და ინტროვერტულობისკენ მიდრეკილების შეფასება. განსაკუთრებით საყურადღებოა იმის დადგენა - უფრო ხშირად ვლინდება თუ არა დარღვევები საერთაშორისო ფაკულტეტის სტუდენტებში, ადგილობრივებთან შედარებით, ასევე საინტერესოა იმის დადგენა, არის თუ არა კავშირში იმ სირთულეებთან, რომლებიც ახლავს საცხოვრებელი გარემოს შეცვლას, ოჯახისგან შორს ცხოვრებას, უცხო სოციუმთან, კულტურასთან ადაპტირებას, ირგვლივ მწირ ნაცნობ პოპულაციასთან, ენობრივ, საკომუნიკაციო პრობლემებთან და სხვა რისკ ფაქტორებთან [5].

**კვლევის მიზანი:** ჩვენი კვლევა მიზნად ისახავდა სტუდენტის ფსიქოლოგიური მახასიათებლების თავისებურებების - ინტროვერსია/ამბივერსია/ექსტრავერსიის გამოვლენა და მისი კავშირის დადგენა ფსიქოლოგიურ და ნევროტიზმის მაჩვენებელს შორის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის საერთაშორისო და დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებში. ნევროტიზმი არის მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება ემოციური არამდგრადობით, მღელვარებით, დაბალი თვითშეფასებით და ვეგეტაციური აშლილობით. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ჯანმრთელ პოპულაციაში ნევროტიზმის მაჩვენებლის გამოვლენა და შეფასება, ასევე კვლევის ფარგლებში დადგენა, თუ რამდენად განსხვავებულია აღნიშნული მაჩვენებელი სტუდენტთა ამ ორ ჯგუფს შორის.

**კვლევის მასალა და მეთოდები:** ჩატარდა შემთხვევა-კონტროლის კვლევა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მე-3 კურსის მედიცინის საერთაშორისო და დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებში. აღნიშნული კურსი შერჩეული იქნა მისი სირთულის საფუძველზე - იგი ყველაზე დატვირთულია სასწავლო 6 წელს შორის. ამდენად, მაჩვენებლები სავარაუდოდ ყველაზე რადიკალური უნდა აღმოჩენილიყო შესაძლო შედეგთა შორის. კვლევაში ჩართულ პირთა ასაკი იყო 19 ან 20 წელი (საშუალო 19.6). ინფორმაცია დამუშავდა SPSS სტატისტიკური პროგრამით.

ვიხელმძღვანელებთ ფსიქოლოგების - ჰანს იურგენ აიზენკის და სიბილ ბ.გ. აიზენკის კითხვარით (Eysenck Personality Questionnaire), რომელიც გამოიყენება პიროვნების ფსიქოლოგიური თავისებურებების შესაფასებლად. მათი აზრით, ადამიანის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მთელი ერთობლიობა შეიძლება წარმოდგენილ იქნას ორი მთავარი ბიპოლარული (ორი პოლუსის მქონე) ფაქტორის - ექსტრავერსია-ინტროვერსიისა და ნევროტიზმის - მეშვეობით. კითხვარი აფასებს როგორც პიროვნების ფსიქოლოგიური მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი განზომილების მახასიათებელს - ინტროვერსია/ამბივერსია/ექსტრავერსიას, ასევე - ნევროტიზმს. ნევროტიზმი არის მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება ემოციური არამდგრადობით, მღელვარებით, დაბალი თვითშეფასებითა და ვეგეტაციური დარღვევებით. გარდა ამისა, ტესტი ასევე მოიცავს ტყუილის სკალასაც, რომელიც გვაძლევს საშუალებას, დავადგინოთ, რამდენად სარწმუნოა რესპონდენტის მიერ გაცემული პასუხები [6].

კითხვარი შედგება 57 მარტივი დახურულპასუხიანი კითხვისაგან, რომელსაც უნდა გაეცეს ორი სავარაუდო პასუხი - „დიახ“ ან „არა“. სადაც ვლინდება პიროვნების ქარაქტეროლოგიურ თავისებურებათა სამი ფაქტორი: I-ექსტრავერსია-ინტრავერსია, II-ნევროტიზმი, III-ფსიქოტიზმი. მაღალი შეფასებები (13 ან მეტი) ექსტრავერსია-ინტროვერტიის სკალაზე შეესაბამება ექსტრავერტულ ტიპს, საშუალო (12 ქულა) - ამბივერტულს, დაბალი (10 ქულა და ნაკლები) - ინტროვერტულს. პირს ეძლევა ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეავსოს დამოუკიდებლად კითხვარი. ფიქსირდება მისი შევსების სისწრაფე, რომელიც არ უნდა

აღმატებოდეს 10-12 წუთს. ამ მაჩვენებლის გადაჭარბება მიუთითებს პიროვნების ნევროტიზაციაზე და შინაგან კონფლიქტურობაზე. ნევროტიზმის სკალაზე მაღალი მაჩვენებელი (12 ქულაზე მეტი) მეტყველებს ფსიქიკურ არამდგრადობაზე. გულწრფელობის სკალაზე თუ ქულების რაოდენობა 5-ს აღემატება, გამოკვლევის შედეგები არასაიმედოდ ითვლება.

#### **ჩამოთვლილი სკალების შესაძლო მაჩვენებლები შემდეგნაირად განიმარტება:**

- ექსტრავერსია - ვლინდება აქტიურ, ოპტიმისტურ, დამაჯერებელ და იმპულსურ ქცევაში;
- ინტროვერსია - ვლინდება არაკომუნიკაციურ, პასიურ, მშვიდ, განსჯით ქცევაში;
- ამბივერსია - გულისხმობს პიროვნების ტიპს, რომელსაც აქვს ექსტრავერსიულ და ინტროვერსიულ თვისებათა ბალანსი;

მაღალი ნევროტიზმის მქონე პირს ახასიათებს ზემოაღნიშნული რეაქციები, დაძაბულობა, შფოთვა, საკუთარი თავითა და გარემოთი უკმაყოფილება, რიგიდულობა; დაბალი ნევროტიზმის მქონე პირი მშვიდია, განონასწორებული, უდარდელი, იმედიანი [4,6].

აღნიშნული კითხვარი იდეალური გამოდგა ჩვენი კვლევისათვის საინტერესო ინფორმაციის შესაგროვებლად. სტუდენტები აღნიშნულ კითხვარს ავსებდნენ მეცადინეობების დასრულებისას.

**შედეგები:** კვლევის ფარგლებში გამოიკითხა საერთაშორისო ფაკულტეტის 192 და ქართული ფაკულტეტის 212 სტუდენტი. კვლევის შედეგების მიხედვით საერთაშორისო ფაკულტეტის სტუდენტებში ნევროტიზმის მაღალი მაჩვენებლის რისკი საკმაოდ მაღალია - 31,3 % (n=62) და როგორც აღმოჩნდა, გაცილებით უფრო მაღალი, ვიდრე ქართული ფაკულტეტის სტუდენტებში (OR=17,406; CI=1.11-2.72; p<0.05). საერთაშორისო ფაკულტეტის სტუდენტებში მდებარეობით სქესს დამკველობითი ფუნქცია აქვს (OR=0.46; CI=0.25-0.86; p<0.05). აღნიშნული დამკველობითი ფუნქცია განსაკუთრებით გამოვლენილია ამბივერტებში (OR=0.38; CI=0.17-0.86; p<0.05). ტყუილის სკალაზე მაღალი მაჩვენებელი არც ერთ გამოკითხულ სტუდენტს არ გამოუვლინდა, რაც ადასტურებს შედეგების რელიევანტურობას.

**დასკვნა:** როგორც აღმოჩნდა, ისეთ ფაქტორთა ერთობლიობა, როგორებიცაა უცხო გარემოსთან შეგუება, დამოუკიდებლად ცხოვრება, განსხვავებულ გარემოსა და კულტურასთან ადაპტაცია როგორც თანაცხოვრების, ისე სწავლის პროცესში და ასე შემდეგ, ნამდვილად საფუძველია იმისა, რომ უცხოელი სტუდენტები კიდევ უფრო მეტად დასტრესილნი არიან, ვიდრე ადგილობრივი სტუდენტები. აღნიშნული კვლევა საჭიროებს გაგრძელებას, უფრო დიდი მასშტაბით გამოკვლევასა და რისკის ფაქტორების დეტალურ შესწავლას.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Ramón-Arbués E, Gea-Caballero V, Granada-López JM, Juárez-Vela R, Pellicer-García B, Antón-Solanas I. The Prevalence of Depression, Anxiety and Stress and Their Associated Factors in College Students. *Int J Environ Res Public Health*. 2020 Sep 24;17(19):7001. doi: 10.3390/ijerph17197001. PMID: 32987932; PMCID: PMC7579351;
2. American College Health Association National College Health Assessment “Reference Group Executive Summary”, Fall 2022;
3. Lun KW, Chan CK, Ip PK, Ma SY, Tsai WW, Wong CS, Wong CH, Wong TW, Yan D. Depression and anxiety among university students in Hong Kong. *Hong Kong Med J*. 2018 Oct;24(5):466-472. doi: 10.12809/hkmj176915. PMID: 30245480.;
4. Fors Connolly F, Johansson Sevä I. Agreeableness, extraversion and life satisfaction: Investigating the mediating roles of social inclusion and status. *Scand J Psychol*. 2021 Oct;62(5):752-762. doi: 10.1111/sjop.12755. Epub 2021 Jun 22. PMID: 34155642.;

5. Kabir R, Isha SN, Chowdhury MTH, Siddika N, Jahan SS, Saha AK, Nath SK, Jahan MS, Sivasubramanian M, Mahmud I, Hoque Apu E. Depression among the Non-Native International Undergraduate Students Studying Dentistry in Bangladesh. Int J Environ Res Public Health. 2021 May 28;18(11):5802. doi: 10.3390/ijerph18115802. PMID: 34071386; PMCID: PMC8198494.;
6. Hans Jürgen Eysenck & Sybil B. G. Eysenck (1975). Manual of the Eysenck Personality Questionnaire. London: Hodder and Stoughton’.

მარინა ყუფარაძე <sup>1</sup>, ნატალია გარუჩავა <sup>1</sup>, გივი ვორგაძე <sup>1</sup>, გიორგი ყორყოლიანი <sup>1</sup>,  
ია ავალიანი <sup>2</sup>, ზაზა ბერიშვილი <sup>3</sup>

**ნევროტიზმის მაჩვენებლის შესწავლა მედიცინის საერთაშორისო და დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებში პიროვნების ფსიქოტიპის გათვალისწინებით - შემთხვევა-კონტროლის კვლევა**

<sup>1</sup>თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, <sup>2</sup>პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია, <sup>3</sup>გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

### რეზიუმე

კვლევა მიზნად ისახავდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის საერთაშორისო და დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების ფსიქოლოგიური მახასიათებლების თავისებურებების გამოვლენას და კავშირის დადგენას ამ უკანასკნელსა და ნევროტიზმის მაჩვენებელს შორის. ასევე, იმის დადგენას, თუ რამდენად განსხვავებულია აღნიშნული მაჩვენებელი სტუდენტთა ამ ორ ჯგუფს შორის.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საერთაშორისო ფაკულტეტის სტუდენტებში ნევროტიზმი გაცილებით მაღალი აღმოჩნდა უცხოელ სტუდენტებში, ვიდრე ადგილობრივ სტუდენტებში (OR=17,406; CI=1.11-2.72; p<0.05). საერთაშორისო ფაკულტეტის სტუდენტებში მდედრობით სქესს დამცველობითი ფუნქცია აქვს (OR=0.46; CI=0.25-0.86; p<0.05). აღნიშნული დამცველობითი ფუნქცია განსაკუთრებით გამოვლენილია ამბივერტებში (OR=0.38; CI=0.17-0.86; p<0.05). ტყუილის სკალაზე მაღალი მაჩვენებელი არც ერთ გამოკითხულ სტუდენტს არ გამოუვლინდა, რაც ადასტურებს შედეგების რელევანტურობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი კვლევა საჭიროებს გაგრძელებას, უფრო დიდი მასშტაბით და რისკის ფაქტორების დეტალურ შესწავლას.



ნინო სვანიშვილი <sup>1,3</sup>, მარინა მამალაძე <sup>1,3</sup>, დეა ვადაჭკორია <sup>2,3</sup>

ადამიანის კბილის მინანქარსა და დენტინში მიკროელემენტების ცვლილებები ნორმალსა და ექსპერიმენტული კარიესის პირობებში

<sup>1</sup>თსუ ოდონტოლოგიის დეპარტამენტი; <sup>2</sup>თსუ ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტი; <sup>3</sup>სტომატოლოგიის კლინიკა და სასწავლო-კვლევითი ცენტრი უნიდენტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.01.07>

*NINO SVANISHVILI <sup>1,3</sup>, MARINA MAMALADZE <sup>1,3</sup>, DEA VADACHKORIA <sup>2,3</sup>*

CHANGES OF MICROELEMENTS IN HUMAN TOOTH ENAMEL AND DENTIN UNDER NORMAL AND EXPERIMENTAL CARIES CONDITIONS

<sup>1</sup>TSMU Department of Odontology; <sup>2</sup>TSMU Department of Orthopedic Dentistry;

<sup>3</sup>Dental Clinic and Training-Research Center UniDent

SUMMARY

The spread of dental caries and its prevention is one of the primary issues in the healthcare systems of almost every country in the world. Among the factors causing caries, the leading one is microbial plaque, the formation intensity of which and the integration of bacterial agents into the dental structure depend on oral hygiene. Additionally, the resistance of enamel and dentin plays a significant role, which is related to the presence of mineral components that form the inorganic matrix on the tooth. Therefore, it is not surprising that researchers focus on issues concerning the tooth structure's resources, the development of the demineralization process, and the search for new methods for its reversal (remineralization).

In recent years, significant progress has been made in the development of methods and means for caries prevention. The clinical use of each new product is preceded by numerous experimental and laboratory studies. Thus, the creation of an artificial model of caries, which would be a close analogue to damage formed on a natural tooth, and which can be studied with high reliability regarding both the "anatomy" of caries disease and the effects of conservative means and preventive agents on enamel and dentin, has become an important research direction in cariology.

Our research involved determining the concentration of target microelements - calcium, phosphorus, and fluoride - in enamel and dentin during scanning electron-microscopic examination, both in normal conditions and during carious damage. To achieve this, it was necessary to artificially induce the carious process on extracted human teeth, leading to the cyclic alternation of de- and remineralization processes in their inorganic matrix. This simulated the effect of food and saliva on the tooth tissue.

The results of this study confirm the high informational value of the method we used to induce artificial demineralization on the tooth surface. Specifically, it facilitates the acquisition of new information about the changes in the mineral composition of the tooth's hard tissues, which serves as a foundation for evaluating and implementing new methods in the prevention and treatment of caries.

**Keywords:** Enamel, Dentin, Microelements, Demineralization, Remineralization

კბილის კარიესის გავრცელება, მისი პრევენცია და მართვა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. კარიესი და მასთან ასოცირებული გართულებები ათწლეულების მანძილზე არ კარგავენ აქტუალობას და დღესაც, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო მონაცემების მიხედვით, კარიესი კვლავ რჩება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დაავადებად [1,2]. გამომწვევ ფაქტორთა შორის უპირველესი მიკრობული ბალთაა, რომლის ფორმირების ინტენსივობა და შედეგად ბაქტერიული აგენტების კბილის სტრუქტურებში ინტეგრაცია დიდადა დამოკიდებული პირის ღრუს ჰიგიენაზე. თუმცა, მხედველობაში მისაღებია კბილის მინანქრისა და დენტინის რეზისტენტობაც, რაც მათში იმ



მინერალური კომპონენტების კუმულირებითაა პირობადებული, რომლებიც კბილის არაორგანულ კარკასს შეადგენენ [3,4,5].

კბილის მაგარი ქსოვილების მინერალური სტრუქტურის ძირითად „ამინდს“ კალციუმი, ფოსფორი და ფთორი ქმნიან. სწორედ ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ მკვლევართა ინტერესის სფეროში ხდება ისეთი საკითხები, როგორცაა კბილის, როგორც ადამიანის ორგანიზმის შემადგენელი სტრუქტურის საკუთარი რესურსის კვლევა, დემინერალიზაციის პროცესის პროგრესული განვითარების სიღრმის შესწავლა და დაავადების უკუგანვითარებისთვის (რემინერალიზაცია, კარიესის შექცევადობა, პროცესის „გაქრონიკულება“) მონოდებულ ახალ საშუალებათა ძიება [6].

არ შეიძლება, არ აღინიშნოს ის მიღწევები, რაც ბოლო წლებში კარიესის პროფილაქტიკისთვის მონოდებული მეთოდებისა და საშუალებების შექმნისა და გამოყენების საქმეში შეინიშნება. თითოეული ახალი პრეპარატი ექსპერიმენტული და ლაბორატორიული კვლევებიდან კლინიკამდე, კვლევის, გამოცდისა და შედეგების ანალიზის გრძელ გზას გადის, ამიტომ კარიესის ხელოვნური მოდელის შექმნა, რომელზეც ერთი მხრივ, შესწავლება კბილის ქსოვილთა სტრუქტურა და მეორე მხრივ კი სამკურნალო და პრევენციული საშუალებების მოქმედების ეფექტურობა, კარიესოლოგიაში კვლევების ძირითადი ქვაკუთხედი [7,8,9,10].

მრავალი წლის მანძილზე კარიესის მოდელირების შედეგად კბილის მაგარი ქსოვილების მინერალურ ბადეზე ქიმიური აგენტების ზემოქმედებით გამოწვეული დესტრუქცია და დეფექტები, ან უბრალოდ ხელოვნურად შექმნილი ღრუები მიიჩნეოდა.

ბუნებრივია, წლებთან ერთად კარიესის იდეალურ მოდელად ქიმიური პრეპარატების (ძირითადად ორგანული და არაორგანული მჟავების) მოქმედებით მიღებული დესტრუქტურიზებული კბილი აღმოჩნდა. აღნიშნულმა, სამეცნიერო კვლევებიდან სრულიად დასაბუთებულად გამოაძევა მექანიკური დაზიანებით მიღებული „კარიესული“ კბილები, რომელთა ჰისტოლოგიურ პრეპარატებში მიკროელემენტთა დისბალანსი ან არ აღინიშნებოდა, ან სრულიად სხვა, ინვოლუციური წარმოშობა ჰქონდა.

კბილის კარიესის მოდელირების სირთულე იმაშიც მდგომარეობს, რომ ასეთ დროს აუცილებელია ბუნებრივი ფიზიოლოგიური პროცესების იმიტირება, კარიესოგენულ ფაქტორთა მოქმედების ციკლურობა, ზემოქმედების დრო, კონკრეტული აგენტი, რემინერალიზაციის ინტენსივობა და სხვა. ასე რომ, კარიესის დახვეწილი და ყოვლისმომცველი ექსპერიმენტული მოდელის ძიება გრძელდება, თუმცა მისი საფუძველი და აუცილებელი პირობა უცვლელი რჩება - კბილის ჰიდროქსიაპატიდების რღვევა მისი დეკალცინაციის გზით [11,12].

კარიესოლოგიაში განხორციელებული სამეცნიერო კვლევების ანალიზით ირკვევა, რომ არსებობს საექსპერიმენტო კბილთა ხელოვნური დეკალცინაციის სამი მეთოდი [13,14,15,16]:

1. ქიმიური - როდესაც მინანქარზე ზემოქმედებისთვის გამოიყენება მჟავა ხსნარები, რომლებიც ახდენენ მინანქრის ან დენტინის მინერალების დისოციაციას;
2. ბიოლოგიური - რაც გულისხმობს კარიესის გამომწვევი ბაქტერიების გამოყენებას;
3. ფიზიკური - რა დროსაც კბილის სტრუქტურებზე ზემოქმედებს სხვადასხვა pH-ის მქონე აგენტები: ტემპერატურული, ლაზერული თუ ულტრაბგერითი მონოცილობები.

კვლევის სამივე მეთოდი მისაღებია როგორც *in vitro*, ისე *in vivo* და *ex vivo* ექსპერიმენტისთვის.

ჩვენი სამეცნიერო კვლევის მიზანი იყო კბილის მინანქარსა და დენტინში მიკროელემენტების (Ca, P, F) ცვლილებების დადგენა ნორმაში და მოდელირებული კარიესის პირობებში. ბუნებრივია, ამ მიზნის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა ექსპერიმენტში კარიესული პროცესის ინდუქირების გარეშე, ამისთვის კი, კბილის მინანქარსა და დენტინში

დემინერალიზაცია უნდა გამოგვეწვია. ჰიდროქსიაპატიტების კარკასზე ზემოქმედებისთვის ავირჩიეთ ადამიანის ექსტრაგირებული, დაუზიანებელი კბილის გვირგვინოვან ნაწილზე დემინერალიზაციისა და რემინერალიზაციის პროცესების მონაცვლეობით ზემოქმედება ე. წ. pH-ის ციკლური ცვლილება და ამ გზით კარიესის ხელოვნური მოდელის მიღება.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას კბილის ზედაპირი გამიზნულად ექვემდებარება მჟავურ (დემინერალიზაციურ) და ნეიტრალურ ან ტუტე (რემინერალიზაციურ) გარემოს მონაცვლეობას, რითაც ხდება ბუნებრივი პროცესების, კერძოდ კი საკვების მიღებისა და ნერწყვის ზემოქმედების იმიტაცია. აღნიშნული მიზნის მისაღწევად **დავისახეთ შემდეგი ამოცანები:**

1. ადამიანის ექსტრაგირებული კბილების მინანქარსა და დენტინში სამ სხვადასხვა უბანზე მიკროელემენტების განაწილების დადგენა რენტგენოსპექტრული მეთოდით.
2. ექსტრაგირებულ კბილებზე *in vitro* კარიესული პროცესის მოდელირება და ამ პირობებში მინანქარსა და დენტინში სამიზნე მიკროელემენტების შესწავლა.

**მასალა და მეთოდები:** სამიზნე მიკროელემენტების კონცენტრაციის დადგენისა და მათი ცვლილებების შესასწავლად შევარჩიეთ ადამიანის ექსტრაგირებული, დაუზიანებელი 28 კბილი. კბილების ექსტრაქციის ჩვენება მათი ტრავმა, ორთოდონტიის ან პაროდონტოლოგის გადაწყვეტილება იყო. პაციენტთა ასაკი 16-დან 60 წლამდე მერყეობდა. ექსპერიმენტისთვის ვარჩევდით კბილებს, რომელთაც დაუზიანებელი გვირგვინები ჰქონდათ. ექსტრაგირებული კბილების შენახვის წესი კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის ეროვნული პროტოკოლის, „ინფექციის პრევენცია ადამიანის ექსტრაგირებულ კბილთან, კბილის ირგვლივი ქსოვილების ბიოპტატთან და ოპერაციულ მასალასთან მოპყრობისას“ (2020.21.02, #01-282/ო) შესაბამისად განხორციელდა. მიკროელემენტების, Ca, P და F კონცენტრაციის შესწავლა მინანქრისა და დენტინის სამ უბანზე მოვახდინეთ: მინანქარში (ზონა 1), დენტინ-მინანქრის საზღვართან (ზონა 2) და პარაპულპურ უბანში (ზონა 3).

თითოეული კბილი სასეპარაციო დისკით სიგრძივად გაიჭრა და გაიყო ორ ნაწილად (ნახევრად), რათა კვლევისთვის „გაგვეშვლებინა“ მაგარი ქსოვილების ყველა შრე. ამ გზით 28 კბილიდან მივიღეთ 56 საექსპერიმენტო ეგზემპლარი, რომლებიც ორ, საკონტროლო და საკვლევე ჯგუფად დავყავით. სეპარირებულ კბილთა ერთი ნახევარი (28 ნიმუში - საკონტროლო ჯგუფი) მინანქარსა და დენტინში მიკროელემენტების შესწავლისთვის გამოვიყენეთ. მათზე ჩავატარეთ მჟავური გრავირება (35%-იანი ფოსფორმჟავით - „Ultra-Etch“), პროტოკოლით გათვალისწინებული ეტაპების სრული დაცვით. საკონტროლო ჯგუფის კბილთა გარეცხვისა და გაშრობის შემდეგ მათი ელემენტური შედგენილობის გამოკვლევა კომპანია JEOL-ის მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპით ჩატარდა.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ მასალაში (მათ შორის კბილებშიც) შემავალი ელემენტების ატომებს მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი გამოსხივება, ტალღის სიგრძე და ინტენსივობა აქვთ. სწორედ ეს პრინციპი უდევს საფუძვლად მასალათა რენტგენოსპექტრული ანალიზის მეთოდებს, რითაც შესაძლებელია ნივთიერების ელემენტური შედგენილობის განსაზღვრა.

ელექტრონების გამოსასვლელი ტუბუსიდან საექსპერიმენტო კბილთა ნიმუშის ზედაპირამდე დისტანცია 15 მმ იყო. ზედაპირული მუხტის შემცირების მიზნით, ნიმუშების დათარვა ოქროს 10 ნმ. სისქის ფენით ხდებოდა, რისთვისაც ვიყენებდით იაპონური კომპანია JEOL-ის ვაკუუმური დათარვის მოწყობილობას (სურ. 1, 2). ანალიზატორის პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა, ანალიზის შედეგი Word დოკუმენტის სახით მიგვეღო, სადაც აისახა საკვლევე ობიექტზე მონიშნული უბნების რენტგენული გამოსხივების სპექტრები (როგორც მასურ, ისე ატომურ პროცენტებში), ცხრილები, სამიზნე უბნებზე იდენტიფიცირებული ელემენტები და მათი კონცენტრაცია.



სურ. 1. JEOL-ის ვაკუუმური დაფარვის მონაცობილობა




სურ. 2. ოქროს 10 ნმ. სისქის ფენით დაფარული საექსპერიმენტო ნიმუშები

ჩვენი კვლევის მეორე ეტაპზე, საკვლევი ჯგუფში (28 ნიმუში) მოვახდინეთ კარიესული პროცესის მოდელირება ჩვენს მიერ მოდიფიცირებული მეთოდით, რომელსაც საფუძვლად კბილზე მოქმედი გარემოს pH-ის ციკლური ცვლილება უდევს.

Ex vivo კვლევის ჩასატარებლად საჭირო ხსნარები ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ლაბორატორიაში დამზადდა.

- **სადემინერალიზაციო ხსნარი** (pH 4.3) შემადგენლობა ასეთია: 2.0 მმოლ/ლ კალციუმი და 2.0 მმოლ/ლ ფოსფატი, რომლებიც გახსნილია 0.075 მმოლ/ლ აცეტატის ბუფერში;
- **სარემინერალიზაციო ხსნარი** კი (pH 7.0) შეიცავს: 1.5 მმოლ/ლ კალციუმს, 0.9 მმოლ/ლ ფოსფატს და 150 მმოლ/ლ KCl-ს, რომლებიც განზავებულია 0.1 მოლ/ლ ტრის ბუფერში.

5 დღის განმავლობაში (ორშაბათი-პარასკევის) საკვლევი ჯგუფის ნიმუშებს 6 საათით (11:00-17:00) აცეტონის ბუფერში ვათავსებდით (თითოეულ ნიმუშზე 5 მლ ხსნარი), დარჩენილი 18 საათის განმავლობაში (17:00-11:00) კი ნიმუშები გადაგვქონდა ნეიტრალური pH-ის მქონე ხსნარში (ტრის ბუფერი). შაბათ-კვირას ნიმუშებს ნეიტრალურ ხსნარში ვაყოვნებდით. ექსპერიმენტის მე-6 დღეს ხსნარების შეცვლა-განახლება ხდებოდა და რეჟიმი კიდევ 5 დღის განმავლობაში გრძელდებოდა. საბოლოო ჯამში საკვლევი ჯგუფის ნიმუშებში დემინერალიზაციის პროცესის მოდელირებას 10 დღე დასჭირდა. ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ საკვლევი ჯგუფის კბილებში (ისევე, როგორც საკონტროლო ჯგუფში) მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპით მიკროელემენტების შემცველობა შევისწავლეთ კვლავ სამ სხვადასხვა უბანზე (სურ. 3.) (მინანქარში - ზონა 1, დენტინ-მინანქრის საზღვართან - ზონა 2, პარაპულპურ უბანში - ზონა 3), მიღებულ მონაცემები ერთმანეთს შევადარეთ. ცდომილების თავიდან აცილების მიზნით ნიმუშთა ნუმერაცია არ შეგვიცვლია.




სურ. 3. მინანქარსა და დენტინის გვირგვინოვან ნაწილში კვლევის სამიზნე უბნების განაწილება


**კვლევის შედეგები:** კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საკონტროლო ჯგუფის კბილების მაგარ ქსოვილებში ყველაზე მაღალი კონცენტრაციით კალციუმი აღმოჩნდა (16.23). მეორე ადგილზე ფოსფორი (8.8) იყო, ყველაზე მინიმალური კონცენტრაციით კი ფთორი შეგვხვდა (0.05) (დიაგრამა 1).

კვლევამ გვიჩვენა, რომ კალციუმით მინანქრის შრე თითქმის 3-ჯერ უფრო მდიდარია, ვიდრე დენტინისა. კერძოდ, კალციუმი მინანქარში აღმოჩნდა 28.9, დენტინის ორივე შრეში ერთად კი - 9.9. მსგავს ტენდენციას ჰქონდა ადგილი ფოსფორის შემთხვევაშიც. კერძოდ, მინანქრის შრეში მისმა კონცენტრაციამ 14.7 შეადგინა, დენტინის ორ შრეში ერთად კი 7.97- რაც მინანქრის შრესთან შედარებით თითქმის 2-ჯერ ნაკლებია.

ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა მიკროელემენტ ფთორის კონცენტრაციის შესწავლა. როგორც კვლევამ გვიჩვენა, კბილის მაგარ ქსოვილებში ფთორის კონცენტრაცია მინიმალურია და დაახლოებით ერთნაირადაა გადანაწილებული მინანქარსა და დენტინში (0.065 და 0.055).



კვლევის მეორე ეტაპის შედეგებმა ცხადყო, რომ ექსპერიმენტული კარიესის პირობებში კალციუმის კონცენტრაცია საგრძნობლად დაქვეითდა დენტინის შრეში, ვიდრე იგივე მაჩვენებელი მინანქრის ფენაში. კერძოდ, თუ საკონტროლო ჯგუფში დენტინში კალციუმის კონცენტრაციის საშუალო მაჩვენებელი 9.9 იყო, საკონტროლო ჯგუფში იგივე მაჩვენებელი ორჯერ დაქვეითდა და გაუტოლდა 4.8. რაც შეეხება ფოსფორს, საკვლევე ჯგუფში დენტინ-მინანქრის საზღვარზე და პარაპულპურ ზონაში ამ მიკროელემენტის კონცენტრაცია 1.5-ჯერ შემცირდა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (დიაგრამა 2).





დრამატული შედეგი მივიღეთ მიკროელემენტ ფთორის შესწავლისას. ექსპერიმენტული კარიესის პირობებში (კბილის მაგარი ქსოვილების დემინერალიზაციისას) მისი იდენტიფიკაცია ვერც ერთ საექსპერიმენტო ნიმუშში ვერ მოხერხდა.

ჩვენი კვლევის შედეგებმა საშუალება მოგვცა შემდეგი **დასკვნები** გაგვეკეთებინა:

- კბილის მინანქარში კალციუმის შემცველობა 3-ჯერ ჭარბობს იგივე მაჩვენებლებს დენტინში;
- კბილის დენტინში ფოსფორის კონცენტრაცია თითქმის 2-ჯერ ნაკლებია ვიდრე იგივე მიკროელემენტი მინანქარში;
- ფთორის კონცენტრაცია მინანქრის შრეში უმნიშვნელოდ აღემატება იგივე მაჩვენებელს დენტინში;
- დემინერალიზაციის შემდეგ დენტინში კალციუმის კონცენტრაცია 2-ჯერ, ფოსფორის კი დაახლოებით 1.5-ჯერ შემცირდა, ხოლო მინანქარში უმნიშვნელო ცვლილება გამოვლინდა.
- ექსპერიმენტული კარიესის შემდეგ ფთორის კონცენტრაცია კბილის მაგარ ქსოვილებში ნულს გაუტოლდა.
- დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ექსპერიმენტის შედეგები ადასტურებს ჩვენს მიერ გამოყენებული ხელოვნური დემინერალიზაციის მეთოდის ეფექტურობას და სანდობას კბილის მაგარი ქსოვილების მინერალური შედგენილობის ცვლილებების შესასწავლად.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. World Health Organization (WHO). *Reports on dental health*.
2. Petersen P.E., & Ogawa H. - prevention of dental caries through the use of fluoride the who approach Community Dental Health. 2016; 33:66-68, doi:10.1922/CDH\_Petersen03
3. Featherstone, J.D. The science and practice of caries prevention. *J Am Dent Assoc.* 2000;131(7):887-899. Doi:10.14219/jada.archive.2000.0307
4. Marsh, P.D. Microbial ecology of dental plaque and its significance in health and disease. *Adv Dent Res.* 1994;8(2):263-271. Doi:10.1177/08959374940080022001
5. Cochrane, N.J., Cai F., Huq N.L. et al. New approaches to enhanced remineralization of tooth enamel. *J Dent Res.* 2010;89(11):1187-1197. Doi:10.1177/0022034510376046
6. Buzalaf, M.A.R., Pessan J.P., Honorio H.M., Ten Cate J.M. Mechanisms of action of fluoride for caries control. *Monogr Oral Sci.* 2011;22:97-114. Doi:10.1159/000325151
7. Petersen, P. E. World Health Organization global policy for improvement of oral health-World Health Assembly 2007, *Int Dental Journal* 2008 Jun; 58(3):115-121, doi: 10.1111/j.1875-595x.2008.tb00185.x.
8. Griffin S.O., Regnier E., Huntley V., Griffin P.M. Effectiveness of Fluoride in Preventing Caries in Adults. June 2007, *Journal of Dental Research* 86(5):410-5 DOI:10.1177/154405910708600504
9. J.M. ten Cate, Contemporary perspective on the use of fluoride products in caries prevention, *British Dental Journal.* 2013; 214:161-167.
10. Fejerskov O., Nyvad B., Kidd E. *Dental Caries: The Disease and Its Clinical Management.* Wiley-Blackwell, third ed. 2016; 480p.
11. White D.J. The Application of in vitro models to research on demineralization and remineralization of the teeth. *Adv Dent Res.*1995;9(3):175-197. Doi:10.1177/08959374950090030101
12. Aldhayan B.A., Balhaddad A.A., Alfaifi A.A. et al. In vitro demineralization prevention by fluoride and silver nanoparticles when applied to sound enamel and enamel caries-like lesions of varying severities. *J Dent.* 2021;104:103536. Doi:10.1016/j.jdent.2020.103536
13. Featherstone J.D. Dental caries: A dynamic disease process. *Aus Dent J.* 2008;53(3):286-291. Doi:10.1111/j.1834-7819.2008.00064.x.
14. Dohan Z., Friedlander L.T., Cooper P.R. et al. In Vitro Models Used in the Formation of Root Caries Lesions - A Review of the Literature. *Dent J (Basel).* 2023;11(12):269. Doi:10.3390/dj11120269

15. Moussa D.G., Ahmad, P., Mansour, T.A., Siqueira, W.L. Current State and Challenges of the Global Outcomes of Dental Caries Research in the Meta-Omics Era. *Front Cell Infect Microbiol.* 2022;12:887907. Doi:10.3389/fcimb.2022.887907
16. Amaechi BT. Protocols to Study Dental Caries In Vitro: pH Cycling Models. *Methods Mol Biol.* 2019;1922:379-392. Doi:10.1007/978-1-4939-9012-2\_34

ნინო სვანიშვილი <sup>1,3</sup>, მარინა მამალაძე <sup>1,3</sup>, დეა ვადაჭკორია <sup>2,3</sup>

**ადამიანის კბილის მინანქარსა და დენტინში მიკროელემენტების ცვლილებები ნორმასა და ექსპერიმენტული კარიესის პირობებში**

<sup>1</sup>თსსუ ოდონტოლოგიის დეპარტამენტი; <sup>2</sup>თსსუ ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტი; <sup>3</sup>სტომატოლოგიის კლინიკა და სასწავლო-კვლევითი ცენტრი უნიდენტო

**რეზიუმე**

კბილის კარიესის გავრცელება და მისი პრევენცია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. კარიესის გამომწვევ ფაქტორებს შორის უპირველესი მიკრობული ბალთაა, რომლის ფორმირების ინტენსივობა და შედეგად კბილის სტრუქტურებში ბაქტერიული აგენტების ინტეგრაცია, პირის ღრუს ჰიგიენაზე დამოკიდებული. ამასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კბილის მინანქრისა და დენტინის რეზისტენტობას, რაც მათში იმ მინერალური კომპონენტების არსებობას უკავშირდება, რომლებიც კბილის არაორგანულ კარკასს ქმნიან. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მკვლევართა ყურადღება იმ საკითხებზე გამახვილებული, რომლებიც კბილის სტრუქტურის რესურსებს, დემინერალიზაციის პროცესის განვითარებას და მისი უკუგანვითარებისთვის (რემინერალიზაცია) ახალი მეთოდების ძიებას ეხება.

ბოლო წლებში კარიესის პროფილაქტიკისთვის მონოდებული მეთოდებისა და საშუალებების შექმნაში მიღწევები მნიშვნელოვნად გაიზარდა. თითოეული ახალი პრეპარატის კლინიკურ გამოცენებას წინ მრავალი ექსპერიმენტული და ლაბორატორიული კვლევა უძღვის. ამიტომ კარიესის ხელოვნური მოდელის შექმნა, რომელიც ნატურალურ კბილზე ჩამოყალიბებული დაზიანების მაქსიმალურად მიმსგავსებული ანალოგი იქნება და რომელზედაც მაღალი სარწმუნოებით შეისწავლება, როგორც კარიესული დაავადების „ანატომია“, ისე სამკურნალო და პრევენციული საშუალებების კბილის მინანქარსა და დენტინზე ზემოქმედება, კარიესოლოგიაში მნიშვნელოვანი კვლევითი მიმართულება გახდა.

ჩვენი კვლევა მოიცავდა კბილის მინანქარსა და დენტინში მასკანირებელი ელექტრონულ-მიკროსკოპული გამოკვლევით სამიზნე მიკროელემენტების, კალციუმის, ფოსფორისა და ფთორის, კონცენტრაციის დადგენას ნორმაში და კარიესული დაზიანების დროს. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო იყო ადამიანის ექსტრაგირებულ კბილებზე კარიესული პროცესის ხელოვნურად გამოწვევა, რაც მათ არაორგანულ კარკასში დე - და რემინერალიზაციის პროცესის ციკლური მონაცვლეობით მივიღეთ. ეს უკანასკნელი კბილის ქსოვილებზე საკვებისა და ნერწყვის ზემოქმედებას იმიტირებდა.

აღნიშნული კვლევის შედეგები ადასტურებს კბილის ზედაპირზე ხელოვნური დემინერალიზაციის გამოწვევის ჩვენს მიერ გამოცენებული მეთოდის მაღალ ინფორმაციულობას. კერძოდ, იგი ხელს უწყობს კბილის მაგარი ქსოვილების მინერალური შედგენილობის ცვლილებების შესახებ ახალი ინფორმაციის მიღებას, რაც კარიესის პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის საჭირო ახალი მეთოდების შეფასებისა და პრაქტიკაში დანერგვის საფუძველს ქმნის.



SALOME ASANIDZE<sup>1</sup>, NINO JALAGHANIA<sup>2</sup>

## THE COMPLEXITIES OF OBESITY: ADDRESSING ROOT CAUSES AND HEALTH RISKS

<sup>1</sup>Tbilisi State University, Faculty of Medicine; <sup>2</sup>TSMU The first University Clinic; Tbilisi, GeorgiaDoi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.01.08>სალომე ასანიძე<sup>1</sup>, ნინო ჯალაღანია<sup>2</sup>

## სიმსუქნის სირთულეები: ძირეული მიზეზების და ჯანმრთელობის რისკების მოგვარება

<sup>1</sup>თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი;<sup>2</sup>თსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა; თბილისი, საქართველო

## რეზიუმე

მსოფლიოში სიმსუქნე გლობალური ჯანმრთელობის კრიზისად იქცა, რომელიც მილიონობით ადამიანს, განსაკუთრებით ბავშვებს აზარალებს და სხვადასხვა ქრონიკული დაავადების მანიფესტირების წინაპირობას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მომავლის პროგნოზი გაცილებით უარესია, ვიდრე დღევანდელი მოცემულობა. სტატია იკვლევს როგორ გავლენას ახდენს გენეტიკა, გარემო, კვების ოჯახური პატერნი და ობეზოგენები ჯარბზონიანობაზე. მნიშვნელოვანია, რომ სიმსუქნე არ არის მხოლოდ ადამიანის არჩევანი, ჭარბი კვების ან გენეტიკური მიდრეკილების შედეგი, არამედ მრავალი ფაქტორის გავლენით გამოწვეული კომპლექსური პრობლემა. განხილულია პრევენციისა და მკურნალობის სტრატეგიები, სიმსუქნის გამომწვევი ძირეული ფაქტორები და მართვის გზები.

The prevalence of obesity has tripled globally since 1975, with 39% of adults overweight and 13% obese. Alarming, childhood obesity rates have also surged, with 340 million children and adolescents classified as overweight or obese. Geographical disparities also highlight the global nature of the obesity crisis. High-income countries, such as the United States, have long reported high obesity rates, with over 42% of American adults classified as obese as of 2020. The healthcare costs associated with treating obesity-related illnesses - such as diabetes, cardiovascular diseases, and cancer - place immense strain on healthcare systems. In the United States alone, obesity-related medical costs are estimated to exceed \$170 billion annually.

While obesity is influenced by genetic predispositions, research indicates that genetic factors account for only 25-40% of an individual's weight. Studies on twins raised in different environments highlight the significant impact of lifestyle and dietary patterns. For example, families with a history of obesity often perpetuate poor eating habits across generations, underscoring the interplay between genetics and behaviour. Initially, genetics was thought to be the sole cause of obesity, but studies have shown that for a condition to become genetically manifest, it requires the methylation of around 1,800 genes. This means that this predisposition must exist in the family for about 1,800 years before it becomes a genetic pathology. Specific genes associated with increased body mass index (BMI) and fat distribution. For instance, variations in the FTO gene are linked to higher obesity risk. Additionally, recent research has identified the SMIM1 gene, where certain variants are associated with reduced energy expenditure and increased obesity risk.

Modern lifestyles contribute significantly to the obesity epidemic. Increased consumption of processed foods high in sugar and fat, combined with decreased physical activity, creates an imbalance in calorie intake and expenditure. The prevalence of ultra-processed foods, high in sugars and unhealthy fats, has been linked to increased calorie consumption and weight gain. Addressing these industry practices is crucial for combating obesity. Endocrine disruptors, or obesogens, affect the differentiation of adipocytes

and can act as appetite increasers, damaging the microbiome. All diseases, including obesity, start with disturbances in our microbiota, which ultimately influences metabolism. They stimulate the secretion of lipid-pro-inflammatory cytokines. Obesogens can be found in everything, even in furniture that contains flame-retardant chemicals, which have been proven to be obesogenic. Phytoestrogens, such as those found in women's moisturizing creams and shampoos, are also obesogens. One common phytoestrogen is beer, typically consumed by men, which, especially after the age of 40, contributes to the growth of abdominal fat and breast tissue in men. As androgen levels naturally decrease with age, the effects become more pronounced.

Psychological factors, such as stress and emotional eating, play a critical role in obesity. Research indicates that children exposed to stressors like bullying or family conflict are more likely to develop unhealthy eating patterns, leading to weight gain. Stress is a significant driver of unhealthy eating patterns, often leading to the consumption of high-calorie, low-nutrient "comfort foods." Individuals with chronic stress are more likely to develop obesity due to increased cravings for sugary and fatty foods. Obesity is often caused by the dietary behaviour prevalent in a family. For instance, when a mother is overweight, she passes on a particular eating pattern to her child, which gradually leads to the child gaining weight. There may be a genetic predisposition to accumulating more fat in specific areas of the body, but this factor alone is not decisive.

**Contrasting EBM and CIM:** Energy Balance Model: Calories in vs. calories out. The EBM posits that weight gain results from an imbalance between energy intake and energy expenditure. When caloric intake exceeds the body's energy needs, the surplus is stored as fat, leading to obesity.

Carbohydrate-Insulin Model: The CIM suggests that the consumption of high-glycemic-load carbohydrates leads to increased insulin secretion, promoting fat storage and weight gain. This model challenges the traditional calorie-centric view, proposing that hormonal responses to different macronutrients leads to obesity. If a person consumes only proteins and fats, the carbohydrate load will be minimal. This is why the keto diet is effective, during a keto diet, the carbohydrate load is nearly zero. The greater the amount of carbohydrates consumed, the higher the insulin production. On a keto diet, insulin is not produced in excess, preventing lipogenesis (the creation of fat cells). Thus, carbohydrate intake is directly linked to weight gain, as modern diets are filled with obesogens - foods high in carbohydrates. The reason for the high carbohydrate content in food is simple: carbohydrates are cheap, which means manufacturers can cut costs.

Obesity also exacerbates conditions like osteoarthritis, gastrointestinal disorders, cardiovascular system issues, and sleep apnoea. During sleep, abdominal pressure increases, and breathing is interrupted, followed by strong inhalations to compensate. However, there are brief moments when brain oxygenation is reduced, which increases the risk of dementia as one ages. Often, patients who are chronically overweight and develop new conditions fail to associate them with their weight because the symptoms are new. However, every individual's body has a set of resources that can be depleted and in individuals with persistent obesity, every other disease and complication will always be linked to their excess weight.

Prevention remains the most effective approach to tackling obesity. Lifestyle modifications, including balanced diets, regular physical activity, and stress management, are crucial. Additionally, bariatric surgery and anti-obesity medications may be considered for severe cases, though these options come with risks and limitations. The best long-term approach to treatment is lifestyle modification, including dietary changes, physical activity, and maintaining mental strength and motivation. Antibiotic-obesogenic medications work only while they are being used - when the injections stop, the lost weight returns. Bariatric surgery is another option, but it should be considered only when other treatment



methods fail. A potential complication of bariatric surgery is the dumping syndrome, where food passes from the stomach to the intestines too quickly due to osmotic pressure, leading to incomplete digestion.

The future outlook is far worse than the current situation, so preventive measures must be taken now. We can develop more effective prevention and treatment strategies, ultimately improving public health outcomes. For individuals already affected by obesity, effective treatment strategies must combine dietary and physical activity interventions with medical and psychological support. Advances in medical therapies, including bariatric surgery and anti-obesity medications, offer hope for those with severe obesity but must be used judiciously alongside lifestyle changes.

#### References:

1. Flegal KM, Graubard BI, Williamson DF, Gail MH. Cause-Specific Excess Deaths Associated With Underweight, Overweight, and Obesity. *JAMA*. 2007;298(17):2028–2037. doi:10.1001/jama.298.17.2028
2. Flegal KM, Carroll MD, Kit BK, Ogden CL. Prevalence of obesity and trends in the distribution of body mass index among US adults, 1999–2010. *JAMA*. 2012; 307(5):491–497. Doi:10.1001/jama.2012.39
3. Janesick AS, Blumberg B. Obesogens: An emerging threat to public health. *Am J Obstet Gynecol*. 2016;214(5):559–565. Doi:10.1016/j.ajog.2016.01.182
4. Ludwig DS, Ebbeling CB. The Carbohydrate-Insulin Model of Obesity: Beyond “Calories In, Calories Out”. *JAMA Intern Med*. 2018;178(8):1098–1103. Doi:10.1001/jamainternmed.2018.2933

*SALOME ASANIDZE<sup>1</sup>, NINO JALAGHANIA<sup>2</sup>*

#### THE COMPLEXITIES OF OBESITY: ADDRESSING ROOT CAUSES AND HEALTH RISKS

<sup>1</sup>Tbilisi State University, Faculty of Medicine; <sup>2</sup>TSMU The first University Clinic; Tbilisi, Georgia

#### SUMMARY

Obesity has emerged as a global health crisis, affecting millions across all age groups and leading to severe chronic diseases such as diabetes, cardiovascular conditions, and liver dysfunction. Beyond individual behaviours like overeating, obesity is influenced by genetic predispositions, environmental factors, psychological patterns, and socio-economic circumstances. This article delves into the root causes of obesity, exploring its multifaceted nature, including its links to family eating habits, industrial food production, and the underestimated role of obesogens. It also examines strategies for prevention and treatment, emphasizing the importance of lifestyle modifications and broader societal changes. Through a comprehensive analysis of current research and expert perspectives, this article aims to contribute to a more holistic understanding of obesity and inform effective interventions.

**Keywords:** Obesity, obesogens, health risks, energy balance model, carbohydrate-Insulin model



ზამირა ახვლედიანი, კონსტანტინე ქათამიძე, მერი დაქიშვილი

## ბუტნამქერი

შპს ავერსის კლინიკა, თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.01.09>

ZAMIRA AKHVLEDIANI, KONSTANTINE KATAMIDZE, MERI DAKISHVILI

### HYDATIDIFORM MOLE

Ltd Aversi Clinic, Tbilisi, Georgia

#### SUMMARY

A hydatiform mole (also known as a molar pregnancy) is a gestational trophoblastic disease (GTD), which originates from the placenta and can metastasize. It is unique in that the tumor originates from gestational tissue rather than from maternal tissue. Hydatidiform moles (HM) are usually considered the noninvasive form of gestational trophoblastic disease. While hydatidiform moles are typically deemed benign, they are premalignant and do have the potential to become malignant and invasive. This activity describes the pathophysiology, evaluation and management of hydatidiform moles and highlights the role of the interprofessional team in the management of affected patients. Other forms of gestational trophoblastic disease include gestational choriocarcinoma (which can be extremely malignant and invasive) and placental site trophoblastic tumors.

**Keywords:** Hydatidiform mole, Molar pregnancy, GTD

ბუტნამქერი იშვიათი მასა ან წანაზარდია, რომელიც ფორმირდება საშვილოსნოში ორსულობის დანწყებისას. იგი არის გესტაციური ტროფობლასტური დაავადების ნაირსახეობა. ბუტნამქერი ჩასახვის შედეგია, რომლის დროსაც არ ხდება ემბრიონის განვითარება. ტროფობლასტური დაავადების ერთ-ერთი გამოვლინებაა ქორიონის ხალების გადაგვარება ცისტების სახით, რომელიც წარმოადგენს კეთილთვისებიან ფორმას. ბუტნამქერის დროს ქორიონი ვერ ასრულებს თავის ფუნქციას, რის შედეგადაც ნაყოფი ილუპება ადრეულ სტადიაზე ან საერთოდ ვერ ყალიბდება.

არსებობს სრული და ნაწილობრივი ბუტნამქერის ნაირსახეობა. ყველაზე ხშირად გვხვდება სრული ბუტნამქერი. დაავადება ძირითადად ვითარდება 30 წლამდე ქალებში ან 40 წელს ზევით. რისკ ფაქტორებში შედიან წყვილები დიდი ასაკობრივი სხვაობით. 3000 ორსულში 1 შემთხვევა ფიქსირდება. ექსკოპიურად აღნიშნული მასა ხშირად წააგავს ყურძენს რადგან შეიცავს ბევრ პატარა ცისტას [1,9].

**ბუტნამქერის სიმპტომებია:** საშვილოსნოს პათოლოგიური ზრდა, შესაძლოა იყოს ჩვეულებრივზე დიდი ან პატარა. ძლიერი გულისრევა და ლებინება. ვაგინალური სისხლდენა. ჰიპერთირეოზის სიმპტომები, სითბოს აუტანლობის ჩათვლით, ტაქიკარდია, მოუსვენრობა, შფოთვა, მშრალი და ტენიანი კანი, ხელების კანკალი, ან აუხსნელი, მოულოდნელი წონაში კლება.

სიმპტომები პრეეკლამფსიის მსგავსია, რომელიც გამოვლინდება პირველ ტრიმესტრში ან ადრეულ მეორე ტრიმესტრში, მათ შორის მაღალი წნევით და შეშუპებით ტერფებისა და მუხლების არეში [2].

**ბუტნამქერის გენეტიკა:** პირველ რიგში ბუტნამქერი ვითარდება კვერცხუჯრედის ქრომოსომული აბერაციების დარღვევის დროს. მეორეს მხრივ დაკავშირებულია ჩანასახის კარიოტიპში მამის ქრომოსომების სიჭარბესთან. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს რამოდენიმე სპერმატობიოდის შედეგად განაყოფიერებული ერთი კვერცხუჯრედი [9].

**ბუშტნამქერის დიფერენციალური დიაგნოზი:** ნაადრევი აბორტი ტროფობლასტურ ჰიპერპლაზიასთან ერთად, ჰიდროპიური აბორტი, ჰიპერთირეოდიზმი, ავთვისებიანი ჰიპერტენზია, პლაცენტის მეზენქიმური დისპლაზია [5].

**დიაგნოსტიკა:** გამოკვლევისას შესაძლოა გამოვლინდეს ნორმალური ორსულობის ნიშნები. თუმცა საშვილოსნოს ზომა შეიძლება იყოს პათოლოგიური და ასევე ბავშვის გულის ცემაც არ აღინიშნოს. ხშირ შემთხვევებში ვლინდება ვაგინალური სისხლდენაც. დიაგნოსტიკა მოიცავს: HCG (ადამიანის ქორიონალური გონადოტროპინი) ანალიზი, აბდომინალური ან ვაგინალური ექოსკოპია, მუცლის ღრუს CT ან MRI, სისხლის საერთო ანალიზი, ტესტი სისხლის შედედებაზე, თირკლმისა და ღვიძლის ფუნქციური ტესტები [7,8].

ბუშტნამქერის რადიოლოგიური თვისებები: ექოსკოპია დიაგნოსტიკის სტანდარტული მეთოდია. ექოსკოპიურად საშვილოსნოს ზომები ორსულობის ვადაზე მეტია, ორსულობის დროს, ექოგრამაზე I ტრიმესტრში საშვილოსნოში ისახება მრავლობითი ნვრილ-ცისტოზური ჩანართების მქონე მასა. ულტრაბგერით მარტივად დიფერენცირდება სრული და ნაწილობრივი ბუშტნამქერი, გამოვლინდება ანემბრიონია და ქორიონის ბუსუსების გასქელება ასევე ტეკალუთენური ცისტების არსებობა საკვერცხეებში.

**სრული ბუშტნამქერი:** დიაგნოსტიკა შესაძლებელი ხდება ორსულობის მე-8, მე-9 კვირაზე. ექოლოგიურად ემბრიონი არ ვლინდება, არ აღინიშნება სანაყოფე სითხე, ვლინდება სქელი, კისტოზურად გადაგვარებული ქორიონი ე.წ. „თოვლის ნამქერის“ ან „ყურძნისებური“ ჩანართებით და საკვერცხეში ისახება მრავლობითი ცისტები.

**ნაწილობრივი ბუშტნამქერი:** ვლინდება ნაყოფის ზრდის ჩამორჩენა ვადასთან შედარებით, აღინიშნება მცირეწლიანობა, პლაცენტის ერთი ან რამოდენიმე ანომალია, II ტრიმესტრში ნაყოფის მრავლობით განვითარების ანომალია.

გულმკერდის რენტგენოგრაფია ტარდება, ბუშტნამქერის ავთვისებიანობის დასადგენად (როგორცაა ქორიოკარცინომა), როდესაც დაინტერესებული ვართ ფილტვებში ხომ არ მეტასტაზირდა.

ბუშტნამქერის დროს, საშვილოსნოს შეფასებისვის, როგორც წესი, კომპიუტერულ ტომოგრაფიას ნაკლებად იყენებენ. MRI-მ შესაძლოა გამოავლინოს ჰეტეროგენული მასა კისტოზური ჩანართებით, რომელთა ხარჯზე გაფართოებულია საშვილოსნოს ღრუ. კვლევისას ნაყოფის ნაწილები არ აღინიშნება. MRI-ზე ასევე შესაძლოა გამოვლინდეს ორმხრივი თეკალუთენის ცისტები [4,9].

**მკურნალობა:** ბუშტნამქერის მოსაცილებლად საკმარისია საშვილოსნოს ყელის გაფართოება, გამოფხეკვა და შიგთავის ამოტუმბვა, ხოლო იშვიათ შემთხვევაში ხდება საჭირო საშვილოსნოს ამოკვეთა (ჰისტერექტომია) [3].

ქირურგიული ჩარევის შემდგომ, ბუშტნამქერის სრულყოფილად მოცილების შესაფასებლად, სისხლში ისაზღვრება ადამიანის ქორიონალური გონადოტროპინის დონე. თუ სრულყოფილადაა მოცილებული, ჰორმონის დონე, ნორმალურ მაჩვენებელს, ჩვეულებრივ 10 კვირის განმავლობაში უბრუნდება და შემდგომშიც ნორმაში რჩება. იმ შემთხვევაში თუ ჰორმონის დონე ნორმალურ მაჩვენებელს არ დაუბრუნდა, ტარდება თავის ტვინის, გულმკერდის, მუცლის და მენჯის კომპიუტერული ტომოგრაფია, რათა განისაზღვროს ხომ არ განვითარდა ან გავრცელდა ქორიოკარცინომა. ბუშტნამქერს ქიმიოთერაპია არ ესაჭიროება, თუმცა დაავადება თუ გახანგრძლივდა, ასეთ შემთხვევებში ქიმიოთერაპიის ჩართვა აუცილებელი ხდება. ჩვეულებრივ საკმარისია მხოლოდ ერთი მედიკამენტი (მეტოტრექსატი ან დექტინომიცინი), თუმცა ზოგჯერ ორივე საშუალება ან სხვა ქიმიოთერაპიული საშუალებების კომბინაციაა საჭირო.

ქალს, რომელსაც ბუშტნამქერის გამო მკურნალობა აქვს ჩატარებული, ურჩევნ არ დაორსულდეს 1 წლის განმავლობაში. ხშირად რეკომენდებულია ორალური კონტრაცეპტივები, თუმცა კონტრაცეფციის სხვა მეთოდის გამოყენებაც შესაძლებელია [9].

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Mittal S, Menon S. Interstitial pregnancy mimicking an invasive hydatidiform mole. Am J Obstet Gynecol. 2019 May;220(5):501.
2. Sarmadi S, Izadi-Mood N, Sanii S, Motevalli D. Inter-observer variability in the histologic criteria of diagnosis of hydatidiform moles. Malays J Pathol. 2019 Apr;41(1):15-24.
3. Ning F, Hou H, Morse AN, Lash GE. Understanding and management of gestational trophoblastic disease. F1000Res. 2019;8
4. <https://radiopaedia.org/articles/complete-hydatidiform-mole?lang=us>
5. <https://medlineplus.gov/ency/article/000909.htm>
6. <https://www.ncbi.nlm.nih.gov>
7. Henn MC, Lall MD. Complications of pregnancy. In: Walls RM, ed. *Rosen's Emergency Medicine: Concepts and Clinical Practice*. 10th ed. Philadelphia, PA: Elsevier; 2023: ch 173.
8. Nica A, Bouchard-Fortier G, Covens A. Gestational trophoblastic disease: hydatidiform mole, nonmetastatic and metastatic gestational trophoblastic tumor: diagnosis and management. In: Gershenson DM, Lentz GM, Valea FA, Lobo RA, eds. *Comprehensive Gynecology*. 8th ed. Philadelphia, PA: Elsevier; 2022: ch 34.
9. <https://altravita-ivf.ru/blog/puzyrnyj-zanos.html>

ზამირა ახვლედიანი, კონსტანტინე ქათამიძე, მერი დაქიშვილი

#### ბუშტნამქერი

შპს ავერსის კლინიკა, თბილისი, საქართველო

#### რეზიუმე

ბუშტნამქერი გესტაციური ტროფობლასტური დაავადებაა, რომელიც წარმოიქმნება პლაცენტიდან და აქვს მეტასტაზირების უნარი. ის უნიკალურია იმით, რომ სიმსივნე წარმოიქმნება გესტაციური ქსოვილიდან და არა დედის ქსოვილისაგან. ბუშტნამქერი ჩვეულებრივ განიხილება გესტაციური ტროფობლასტური დაავადების არაინვაზიურ ფორმად. მიუხედავად იმისა, რომ ბუშტნამქერი, როგორც წესი, კეთილთვისებიანი დაავადებაა, იგი ამავდროულად ავთვისებიანობისკენ არის მიდრეკილი და აქვს პოტენციური გახდეს როგორც ავთვისებიანი, ასევე ინვაზიური. ეს ყოველივე აღწერს ბუშტნამქერების პათოფიზიოლოგიას, შეფასებას, ბუშტნამქერის მართვის მენეჯმენტს და ხაზს უსვამს პროფესიონალთა ჯგუფის როლს დაავადებული პაციენტების მართვაში. გესტაციური ტროფობლასტური დაავადების სხვა ფორმები მოიცავს გესტაციურ ქორიოკარცინომას (რომელიც შეიძლება იყოს უკიდურესად ავთვისებიანი და ინვაზიური) და პლაცენტის ტროფობლასტურ სიმსივნეებს.





თამარ შიშნიაშვილი, თამარ სულაძე, ნანა კიფიანი, მაია ფხალაძე, ანა ზუბადალაშვილი  
 ორსულთა სტომატოლოგიური ჯანმრთელობა და ძირითად სტომატოლოგიურ  
 დაავადებათა ანტენატალური პროფილაქტიკა  
 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.01.10>

TAMAR SHISHNIASHVILI, TAMAR SULADZE, NANA KIPIANI,  
 MAIA PKHALADZE, ANA ZUBADALASHVILI

## DENTAL HEALTH OF PREGNANT WOMEN AND ANTENATAL PREVENTION OF MAJOR DENTAL DISEASES

Tbilisi State Medical University

### SUMMARY

Pregnancy is considered as a critical period for a woman's dental health and is characterized by quantitative and structural changes in oral diseases, which, accordingly, determines the general health of both the pregnant woman and the child and is also a marker of the complete formation of the latter's skeletal system.

The results of our studies indicate mass prevalence (on average 87.4%) and high intensity (on average 7.24) damage to the hard tissues of the tooth. Changes in the hormonal background during pregnancy affects metabolic processes in the periodontal, which contributes to the occurrence or exacerbation of periodontal diseases, which is recorded among the examined, in particular, in more (on average 60.25%), the so-called gingivitis of pregnant women were revealed.

Situational analysis of the studied results provides the identification of the causes and factors of the main dental diseases during pregnancy, which makes it possible to plan, implement and effectively evaluate optimal treatment and preventive programs - accordingly, the level of dental health and quality of life of the pregnant woman will improve, and at the same time, antenatal prophylaxis of the child will be carried out.

**Keywords:** Dental Health, Pregnant Women, Antenatal Prevention, Dental Diseases

ორსულობა ითვლება ქალის სტომატოლოგიური ჯანმრთელობის კრიტიკულ პერიოდად და ხასიათდება პირის ღრუს დაავადებათა დონის და სტრუქტურის ცვლილებებით, ამიტომ ორსულობის პერიოდში განვითარებული სტომატოლოგიური დაავადებები დღეისთვის ფორმირებულია ცალკე რგოლად - განსხვავებული კლინიკისა და ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობის გავლენის ხარჯზე [2,3].


ფაქტორებს, რომლებიც უშუალო ან არაპირდაპირ გავლენას ახდენენ ორსულობის დროს განვითარებულ სტომატოლოგიური დაავადებების სტრუქტურაზე, მიეკუთვნებიან: დემოგრაფიული სოციალური კრიტერიუმები, ასაკი, განათლების დონე, პროფესიული კუთვნილება, მშობიარობისა და ორსულობის რაოდენობები, ზოგადსომატური პათოლოგიები, შთამომავლობა, ალკოჰოლური და ნარკოდამოკიდებულება, სამკურნალო პრეპარატების მიღება და სხვა.

კარიესის განვითარების რისკზე გავლენას ახდენენ ექსტრემალური ფაქტორებიც - რადიაციული ფონი, ტექნოგენური დაბინძურება, პესტიციდების არასათანადო გამოყენება და ა.შ. გარდა ამისა, ორსულის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს ბოლო პერიოდში განვითარებული სოციალური ფაქტორები, ცხოვრების პირობების გაუარესება, არარაციონალური კვება, ხანგრძლივი ემოციურ-ფსიქოლოგიური დაძაბულობა. შესაბამისად, ყველა ამ ფაქტორთა გავლენის ზრდასთან ერთად მატულობს კბილის კარიესისა და პაროდონტის ანთებითი დაავადებების ინტენსივობაც [1,8].

ორსულობის პერიოდში ცვლითი პროცესების გააქტიურებამ შეიძლება განაპირობოს კბილის მაგარ ქსოვილებში კალციუმის, ფოსფორის შემცველობის ცვლილებები, მიკროელემენტების გამოხატული შემცირება, რაც წარმოადგენს ორსულობის ბოლო პერიოდისა და მშობიარობის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში (განსაკუთრებით, ბუნებრივი კვების დროს), კბილის კარიესის ინტენსივობის მატების მნიშვნელოვან მიზეზს, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში როგორც საქართველოა, სადაც სასმელ წყალში ფთორის იონების დაბალი შემცველობა (საშუალოდ 0,35-0,45მგ/ლ, ხოლო დედაქალაქში - 0,01-0,05მგ/-ის ტოლია) ფიქსირდება, რაც თავის მხრივ, მინანქრის საბოლოო მომწიფების შეფერხებას იწვევს [5,7,9].

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, (გამოკვლეულ იქნა 18-40 წლის ასაკის 170 პრაქტიკულად ჯანმრთელი ორსული) კბილის მაგარ ქსოვილთა დაზიანებების გავრცელება მნიშვნელოვნად მაღალი იყო და საშუალოდ შეადგენდა 87,4%-ს, ხოლო კარიესის ინტენსივობა კბა ინდექსის მიხედვით 7,24-ს. აღსანიშნავია, რომ გამოკვლეულთა შორის მხოლოდ 2 (1,17%) ორსულს დაუდგინდა კბილის კარიესის ინტენსივობის კომპენსირებული ფორმა, 29 (17%) - სუბკომპენსირებული, ხოლო დანარჩენ 128 (75,3%) კარიესის მძიმე - დეკომპენსირებული ფორმა (ღიაგრამა 1).

ღიაგრამა 1. პაციენტთა განაწილება კბილის კარიესის ინტენსივობის ხარისხის მიხედვით




აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური ანკეტების შესწავლისას გამოვავლინეთ გამოკვლეულთა 23,8%-ში არამართო კალციუმისა და ფოსფატის დეფიციტი, არამედ აღნიშნულ მიკროელემენტთა დისბალანსიც (Ca/P შეთანასოვნება), რაც აისახა ორსულის ყბა-კბილთა სისტემის მდგომარეობაზე. ორსულობის დროს განვითარებული რკინის, კალციუმის, ფოსფორის, ვიტამინი „D“-ს და სხვა ვიტამინების და მინერალების დეფიციტმა გავლენა მოახდინა ორსულთა სტომატოლოგიური ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რისი რეზულტატიც იყო კარიესის ინტენსივობის დეკომპენსირებული ფორმის ღიაგნოსტირება.

ორსულობის პერიოდში ჰორმონალური ფონის ცვლილებები გავლენას ახდენენ პაროდონტში მიმდინარე ცვლით პროცესებზე, რამაც განაპირობა ჩვენს მიერ გამოკვლეულ ორსულებში პაროდონტის დაავადებათა განვითარება ან გამწვავება. კერძოდ, ორსულთა ნახევარს გამოუვლინდა ე.წ. ორსულთა გინგივითი, რაც დაფიქსირდა ორსულობის ნორმალური მიმდინარეობის დროსაც უკვე გესტაციის მე-2-3 თვეზე. პაროდონტის ქსოვილთა პათოლოგიების მნიშვნელოვანი გავრცელება და სიმძიმის ხარისხი იცვლებოდა ასაკისა და ორსულობის ვადის მიხედვით და მერყეობდა საშუალოდ 41,7%-დან 78,8%-მდე და ხასიათდებოდა ღრძილებიდან

სისხლდენით (45,6%), ღრძილზედა და ღრძილქვეშა კბილის ქვებისა და ნადებების (30,55%) და პათოლოგიური ჯიბეების (13,7%) არსებობით. პაროდონტის ქსოვილთა ცვლილებები უმეტესად მიეკუთვნებოდა კბილის ბალთით გამოწვეულ გინგივიტს - დამძიმებულს სასქესო ჰორმონების დისბალანსით და განსაკუთრებით გამოხატული იყო ორსულობის მეორე ტრიმესტრის ბოლოს (დიაგრამა 2).

**დიაგრამა 2. გამოკვლეულ ორსულთა განაწილება პაროდონტის ქსოვილთა ანთებითი დაავადებების სიმძიმისა და ტრიმესტრის მიხედვით**



- I - ტრიმესტრი
- II - ტრიმესტრი
- III - ტრიმესტრი

აღსანიშნავია, რომ პაროდონტის ქსოვილთა დაზიანების სიმძიმე კორელაციაში იყო ისეთ არახელსაყრელ ფაქტორებთან, როგორიცაა ორსულის ხანდაზმული ასაკი, მშობიარობით დასრულებული ორსულობის რაოდენობა და ორსულობის ვადა.

დაავადებათა პროფილაქტიკა ისევე, როგორც პათოგენეტიკური თერაპია, პირველ რიგში ითვალისწინებს მათ ეტიოლოგიას და პათოგენეზს.

ორსულობის პერიოდში, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ორსულთა ჰორმონული სტატუსი სტომატოლოგიურ დაავადებათა ეტიოპათოგენეზის ასპექტში. კერძოდ, პირველი ტრიმესტრის ბოლოს დედისა და ნაყოფის ორგანიზმებს შორის მყარდება ჰორმონთა რთული ცვლა. ამ დროისთვის ფორმირებადი პლაცენტა იწყებს ცილოვანი და სტეროიდული ბუნების ჰორმონთა დიდი რაოდენობით პროდუცირებას, რომელიც რამდენიმეჯერ აჭარბებს კლასიკურ პირობებში ენდოკრინული ჯირკვლების მიერ ჰორმონთა პროდუცირების სადღეღამისო რაოდენობას. ჰორმონთა დონის ასეთი ნახტომისებური მატება აისახება პირის ღრუშიც, რაც შესაძლებელია აიხსნას ესტროგენთა მაღალსპეციფიკური რეცეფტორების არსებობით ძვლოვანი ქსოვილის უჭრედთა კულტურაში, მარგინალური პერიოდონტის ქსოვილთა წვრილ სისხლძარღვებში, ან სასქესო ჰორმონთა გემოქმედების გამო ღრძილის ქსოვილთა მდგომარეობაზე - იმუნური სისტემის ჩართვით, რომელიც განიცდის ცვლილებებს ორსულობის მთელი პერიოდის განმავლობაში. მეცნიერთა აზრით [3,4], ესტროგენისა და პროუსტერონის დონის მატება გავლენას ახდენს ღრძილების ლორწოვანი გარსის სისხლძარღვთა შეღწევალობაზე და ექსუდაციაზე - მიკროცირკულაციის გაჩერებამდეც კი, რაც განაპირობებს კერატინიზაციის და

უჯრედოვანი რეგენერაციის დაქვეითებას, შესაბამისად, ცვლის ეპითელიუმის ბარიერულ ფუნქციას, რითიც აისახება ორსულთა გინგივიტების დროს კლინიკური გამოვლინებების გაძლიერება. იქიდან გამომდინარე, რომ ორსულის ჯანმრთელობის მდგომარეობა გავლენას ახდენს ბავშვის დროებითი კბილების მინანქრის მინერალიზაციის ანტენატალურ პროცესებზე, ორსულის პირის ღრუს სტომატოლოგიური მკურნალობა და პროფილაქტიკა წარმოადგენს მომავალი ბავშვის კბილის კარიესის ანტენატალურ პროფილაქტიკასაც [1].

სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარების დროს უნდა იქნას გათვალისწინებული კბილის კარიესის აქტივობა, პირის ღრუში კარიესოგენური სიტუაცია, ძირითადად სტომატოლოგიურ დაავადებათა ზოგადი და ადგილობრივი რისკის ფაქტორები. ორსულებს ენიშნებათ სისტემური ენდოგენური და ადგილობრივი ეგზოგენური მოქმედების პროფილაქტიკური საშუალებები, შეთანხმებული მეან-გინეკოლოგთან, ან თერაპევტთან [3].

სტომატოლოგიურ დაავადებათა პრევენცია აუცილებელია დაიწყოს ადრეული ორსულობის პერიოდში და დაიყოს ორ ნაწილად:

1. ღონისძიებები, რომლებიც უტარდებათ ორსულებს მათი საკუთარი სტომატოლოგიური ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად;
2. ღონისძიებები - მომავალი ბავშვის სტომატოლოგიური დაავადებების პრევენციის მიზნით.

ექიმი-სტომატოლოგის მიერ ჩატარებული ნებისმიერი მანუალური მოქმედებები პირის ღრუში, ან სახეზე, ყოველთვის გამახვილებული ყურადღებით მიიღება პაციენტების, განსაკუთრებით კი ორსულების მიერ.

ექიმმა უნდა შეძლოს - მოძებნოს საერთო ენა ორსულ პაციენტთან, განსაზღვროს მკურნალობის მეთოდის მიზანშეწონილობა, თავიდან აიცილოს შესაძლებელი გართულებების განვითარება და არ განაპირობოს მუცლის მოშლის პროვოცირება.

უნდა აღინიშნოს, რომ ორსულობის პერიოდში მიზანშეწონილი არ არის:

- იმპლანტის დაყენება;
- ზოგადი გაუტკივარებით კბილების მკურნალობა;
- კბილების რთული ექსტრაქციები;
- პროთეზირება;
- ორთოდონტიული მკურნალობა (ბრეკეტები);
- კბილების მკურნალობა დარიშხანის გამოყენებით;
- კბილების გათეთრება;
- ფიზიოთერაპიული მკურნალობა.

ნებისმიერი სამედიცინო პროცედურების დაწყებამდე სტომატოლოგმა უნდა შეისწავლოს ორსულის „გაცვლითი რუკა“ თერაპევტის, მეან-გინეკოლოგის დასკვნით და სამკურნალო-მედიკამენტოზური რეკომენდაციებით. განსაზღვროს ამბულატორიულ, თუ სტაციონარულ პირობებში ჩასატარებელი აუცილებელი მანიპულაციების შესაძლებლობა, შესაბამისად ჩატარდეს ორსულის პირის ღრუს სანაცია, რომელიც ითვალისწინებს პირის ღრუს ორგანოების ყველა დაავადების მკურნალობას და უზარმაზარ როლს ასრულებს ორსულის გაჯანსაღებაში.

პირის ღრუს სანაცია მოიცავს შემდეგ მანიპულაციებს:

- პირის ღრუს პროფესიულ ჰიგიენას;
- მარემინერალიზებელ თერაპიას;
- კბილის კარიესისა და მისი გართულებული ფორმების მკურნალობას;
- პაროდონტის პათოლოგიების მკურნალობას.

ორსულთა პირის ღრუს გეგმიური სანაციის დროს, ექიმ-სტომატოლოგს უნდა ახსოვდეს, რომ პირველი ტრიმესტრი (13 კვირამდე) და ბოლო კვირეები (37-40) მშობიარობამდე ითვლება



„კრიტიკულად“, როდესაც შეიძლება განვითარდეს თვითნებითი მუცლის მოშლის, ან ადრეული მშობიარობის რისკი. ყველაზე მისაღები პერიოდი პირის ღრუს სანაცხისთვის არის მეორე ტრიმესტრი (13-26 კვირა), ვინაიდან ამ პერიოდში ბავშვის ორგანოები უკვე ფორმირებულია, ხოლო საშვილოსნოს აგზნებადობა გარეგან ზემოქმედების პასუხად - მინიმალური.

მესამე ტრიმესტრში იზრდება სტომატოლოგიური ჩარევების დროს გართულებების რისკი, ვინაიდან (როგორც ზემოთ იყო აღნიშნული) ამ პერიოდში ქალის ორგანიზმი მუშაობს თავისი შესაძლებლობების ზღვარზე.

თანამედროვე პირობებში ორსულ ქალთა დისპანსერიზაცია აქტუალურია და გულისხმობს:

- ორსულთა ჰიგიენურ აღზრდას და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის საკითხების სწავლებას;
- ორსულობამდე არსებული პაროდონტის ქსოვილთა და კბილის კარიესის განვითარების, ან გართულების რისკის პროგნოზირებას;
- ორსულობის პერიოდში პირის ღრუს სანაცხის ჩატარებას და სისტემური და ადგილობრივი პროფილაქტიკური ღონისძიებების დანიშვნას - კბილის კარიესისა და პაროდონტის დაავადებათა თავიდან ასაცილებლად;
- ბავშვის დაბადების შემდეგ კბილის კარიესის განვითარების რისკის პროგნოზირებას და ანტენატალური პროფილაქტიკური საშუალებების დანიშვნას.

ჩვენი გამოკვლევის შედეგად მიღებული მონაცემები მონიშნავენ ორსულობის პერიოდში ქალების სტომატოლოგიური ჯანმრთელობის და სტომატოლოგიური სტატუსის გაუარესებას, რაც მიუთითებს ძირითად სტომატოლოგიურ დაავადებათა განვითარების რისკის ფაქტორთა უფრო ზედმინევენით განსაზღვრისა და დიაგნოსტიკის აუცილებლობაზე, ორსულების სრული კომპლექსური გამოკვლევის საფუძველზე შემუშავებულ სამკურნალო-პრევენციულ ღონისძიებების ყველა ეტაპის რეალიზაციაზე. აღნიშნული პრობლემის გათვალისწინებით, შევიმუშავეთ ორსულთა კონტიგენტისთვის სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა პროგრამა (ცხრილი 1).

**ცხრილი 1. ორსულობის პერიოდში სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა პროგრამა**

	პოზიცია	რეკომენდებული სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებები
1	საუბარი, სტომატოლოგიურ დაავადებათა რისკ-ფაქტორთა განვითარების მოტივაცია	საუბარი, რომელიც ჩატარდება სადემონსტრაციო ბუკლეტების, მულტიმედიური პრეზენტაციების გამოყენებით
2	ძირითადი და დამატებითი ინდივიდუალური ჰიგიენის საშუალებების შერჩევა, მათი გამოყენებისა და კბილების წმენდის მეთოდის სწავლება	პირის ღრუს ჰიგიენის კონტროლი კბილის ნადების მატების კონტროლი
3	პირის ღრუს პროფესიული ჰიგიენა	კბილის ნადების მოცილება და კბილებისა და ბუენების პოლირება, ორსულობის პერიოდის განმავლობაში არანაკლებ 3-ჯერ
4	სტომატოლოგიურ დაავადებათა ენდოგენური პროფილაქტიკა	<ul style="list-style-type: none"> <li>- კვების რაციონალური რეჟიმი და ხასიათი;</li> <li>- ფთორირებული-იოდიზირებული მარილის გამოყენება;</li> <li>- ფთორმემცველი აბების გამოყენება (საჭიროების დროს)</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>- კალციუმის და D ვიტამინის შემცველი პრეპარატები ორსულობის 8-დან 10-კვირამდე (500მგ და 200 ME შესაბამისად) ერთხელ დღეში; 30-კვირიდან მშობიარობამდე 2-ჯერ დღეში;</li> <li>- ვიტამინების და მინერალების კომპლექსი მეან-გინეკოლოგთან შეთანხმებით.</li> </ul>
5	სტომატოლოგიურ დაავადებათა ეგზოგენური პროფილაქტიკა	<ul style="list-style-type: none"> <li>- კბილის პასტების ყოველდღიური გამოყენება, რომლებიც შეიცავენ კალციუმისა და ფთორიდ-იონის შემცველობით (1500 p.p.m. კონცენტრაციით);</li> <li>- ინდივიდუალურად შერჩეული ჰიგიენის საშუალებებით პირის ღრუს მუავა-ტუტოვანი ბალანსის კორექცია;</li> <li>- პროფესიული პროცედურების კურსი: კალციუმ და კალციუმფოსფატის შემცველი გელების, მუსების გამოყენება, შემდგომი ფთორშემცველი პრეპარატების (ლაქის, გელის, ხსნარების და ღრმა ფთორირების სისტემის) გამოყენებით ორსულობის პერიოდში 3-დან 6-ჯერ (კარიესის კომპენსაციის ხარისხის გათვალისწინებით)</li> <li>- პაროდონტის დაავადებების პროფილაქტიკისთვის: პირის ღრუს აბაზანები მცენარეული ანტიბიოტიკების გამოყენებით (გვირილის, სალბის, კალენდულას და სხვა ნაყენები). კურსი მოიცავს 15 პროცედურას დღეში 3-4-ჯერ;</li> <li>- თითოეულ ტრიმესტრში 2-30 პროცედურა (დანაშნულების მიხედვით).</li> </ul>
6	ქირურგიული ღონისძიებების ჩატარება	კბილების ექსტრაქცია რეკომენდებულია ჩატარდეს ორსულობამდე - დაგეგმვის პერიოდში, ან ორსულობის 3-6 თვეზე
7	თერაპიული სტომატოლოგიური ღონისძიებები	<ul style="list-style-type: none"> <li>- რეკომენდებულია ორსულობის დაგეგმვის პერიოდში</li> <li>- ინვაზიური მკურნალობა რეკომენდებულია ჩატარდეს ორსულობის 16-დან 18 და 26-დან 28 კვირის პერიოდში</li> </ul>
8	ორთოპედიული მკურნალობა	სასურველია გადაიდოს მშობიარობის შემდეგ
9	სხვა დარგის სპეციალისტების კონსულტაცია	ჩვენების და საჭიროების მიხედვით
10	სტომატოლოგთან საკონტროლო ვიზიტები	ორსულობის 20 კვირამდე თვეში ერთხელ 20-32 კვირამდე - თვეში ორჯერ 32 კვირიდან თვეში სამჯერ

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საქართველო მიეკუთვნება სასმელ წყალში ფთორის დაბალი შემცველობის ქვეყანათა რიცხვს, რაც გასათვალისწინებელია ორსულთა კონტინენტისთვის, ძირითად სტომატოლოგიურ დაავადებათა პრევენციული პროგრამების შედგენის პროცესში.

აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (WHO, 1994) მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით - ფთორიდის ანტიკარიესული ეფექტი ეფუძნება მისი მოქმედების მექანიზმის სამ პირობას: (1) - რემინერალიზაციის გაძლიერებას და დემინერალიზაციის შესუსტებას; (2) გლიკოლიზის პროცესის დათრგუნვა, რომლის საშუალებით კარიესოგენური მიკროორგანიზმები ახდენენ ნახშირწყლების ფერმენტაციას და (3) კბილის მინაქრის ხსნადობის შემცირებას მუავათა ზემოქმედების მიმართ, მასში ფთორაპატიტის ფორმირების ხარჯზე.

ჩვენი კვლევის რეზულტატების გათვალისწინებით (გამოკვლეულ ორსულებში კბილის კარიესის მაღალი გავრცელება და ინტენსივობა), ორსულთა ძირითად სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკური პროგრამების შემუშავებისას აუცილებელია გათვალისწინებული იყოს არამარტო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სასმელ წყალში ფთორის დაბალი შემცველობა (0,35-0,45 მგ/ლ), არამედ ორსულობის პერიოდის მიმდინარეობაც, რისთვისაც რეკომენდებულია პრევენციულ პროგრამებში გათვალისწინებული იყოს ფთორშემცველი აბების დანიშვნა (კარიესის მაღალი ინტენსივობის შემთხვევაში), ხოლო კარიესის განვითარების ნაკლები რისკის დროს გამოყენებულ იქნას ფთორის ადგილობრივი საშუალებები - ხსნარების (აპლიკაციები, აბაზანები), ლაქის (კბილების დაფარვა), ფთორშემცველი კბილის პასტების, გელების და ღისკების სახით.

ორსულობის პერიოდში ცვლითი პროცესების გააქტიურებამ შეიძლება განაპირობოს კალციუმის, ფოსფორის და ფთორის შემცირება კბილის მაგარ ქსოვილებში. კბილის ქსოვილების მიერ მიკროელემენტების გამოხატული დანაკარგი კბილის კარიესის ინტენსივობის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია - ორსულობის ბოლო პერიოდის და მშობიარობის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში. კარგ პრევენციულ ეფექტს იძლევა მარემინერალიზებელი თერაპია მაკრო- და მიკროელემენტების შემცველი პრეპარატებით, რომელთა სენსების რაოდენობა დამოკიდებულია ორსულობის პერიოდში კარიესის განვითარების აქტივობის ხარისხზე.

ინდივიდუალური სამკურნალო-პროფილაქტიკური პროგრამის შემუშავებისას ორსულებში ვითვალისწინებდით შემდეგ ფაქტორებს: სტომატოლოგიურ დაავადებათა განვითარების ზოგად და ადგილობრივ რისკ-ფაქტორთა გამოვლინების ხარისხს, კბილის კარიესის აქტივობას, პირის ღრუში კარიესოგენური სიტუაციის გამოხატულებას, პაროდონტის ქსოვილთა პათოლოგიის განვითარების განმაპირობებელ ფაქტორთა არსებობას, კვების სრულფასოვნებას და ორსულობის მიმდინარეობის ხასიათს. ყველა დანიშნულება, რომელიც ეხებოდა ზოგადი მოქმედების პრეპარატებს, თანხმდებოდა მეან-გინეკოლოგთან, ან ზოგადი პროფილის ექიმ-თერაპევტთან.

ამრიგად, შემუშავებული ეგზოგენური და ენდოგენური პროფილაქტიკური სტომატოლოგიური ღონისძიებები შეიძლება იყოს რეკომენდებული მისი აუცილებელი ინდივიდუალიზაციით ორსულის ზოგადსომატური და სტომატოლოგიური სტატუსის გათვალისწინებით, ორსულობის პერიოდში სტომატოლოგიური ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და მომავალი ბავშვის კბილის კარიესის ანტენატალური პროფილაქტიკისათვის.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. შიშნიაშვილი თ. სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა. 2024, 302გვ.
2. Aviva N.N., Pangemanan D.H.C, Anindita P.S. Gambaran Karies gigisulung pada anak stunting di Indonesia e – GiGi. 2020. 8:73-8.
3. Corbella S., Tanschieris., Dec Fabbro Metall. Adverse pregnancy outcomes and periodontitis: potential association. 2016 Mar., 47(3): 193-204.
4. Heo J.S., Ahn K.H., Park J.S. Radiological screening of material periodontitis for predicting adverse pregnancy and neonatal outcomes. Sci. Rep. 2020; 10; 1-8.
5. Livier J. Silva-perez, Natalia Gonzalez-Gardenas, Socioeconomic Status in Pregnant Women and Sleep Quality During Pregnancy. Doi: 10.7759/cureus, 6183, 2019.
6. Min Kyoung Kim, Seung Milee. Socioeconomic status can affect pregnancy outcomes and complications, even with a universal health care system. Int J for Equity in health. 2018; 17, Article 2.
7. Rahman M.M., Hassan M.R., Islam M. Z. et all. Oral Health Status of pregnant Women attended the Mothers and Children Welfare Center (MCWC) in Bangladesh. City Dent. Coll.
8. Дмитриева В.Ф., Дроздова Р. К., и др. Профилактика стоматологических заболеваний у беременных. Санк-Петербург, Спец. лит., 2018, 9-15 стр.
9. Леонтьев В.К., Пахомов Г.М. Профилактика стоматологических заболеваний. М.2016, 416с

*თამარ შიშნიაშვილი, თამარ სულაძე, ნანა ყიფიანი, მაია ფხალაძე, ანა გუბადალაშვილი*  
**ორსულთა სტომატოლოგიური ჯანმრთელობა და ძირითად სტომატოლოგიურ დაავადებათა**  
**ანტენატალური პროფილაქტიკა**  
 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

ორსულობა ითვლება ქალის სტომატოლოგიური ჯანმრთელობის კრიტიკულ პერიოდად და ხასიათდება პირის ღრუს დაავადებათა რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილებებით, რაც შესაბამისად, განაპირობებს როგორც ორსულის, ისე ბავშვის ზოგად ჯანმრთელობასაც და ამ უკანასკნელის ძვლოვანი სისტემის სრულყოფილი ჩამოყალიბების მარკერსაც.

ჩვენი კვლევის მონაცემების მიხედვით, გამოკვლეულ ორსულებში (18-40 წლის ასაკის 170 ორსული) დაფიქსირდა კბილის მაგარ ქსოვილთა დაზიანებების მნიშვნელოვანი გავრცელება (საშუალოდ 87,4%) და ინტენსივობა (საშუალოდ 7,24). ასევე, გამოვლინდა პაროდონტის ქსოვილთა პათოლოგიების შთამბეჭდავი გავრცელება (საშუალოდ 60,25%), რაც უმეტესად მიეკუთვნებოდა კბილის ბალთით გამოწვეულ პათოლოგიას - დამძიმებულს სასქესო ჰორმონების დისბალანსით.

გამოკვლეული შედეგების სიტუაციური ანალიზი უზრუნველყოფს ორსულობის პერიოდში ძირითად სტომატოლოგიურ დაავადებათა წარმოშობის მიზეზებისა და ფაქტორების გამოვლინებას, რაც განაპირობებს ოპტიმალური სამკურნალო-პრევენციული პროგრამების დაგეგმვის, რეალიზაციის და მათი ეფექტური შეფასების შესაძლებლობას - შესაბამისად, გააუმჯობესებს ორსულის სტომატოლოგიური ჯანმრთელობის დონეს და ცხოვრების ხარისხს, ამასთანავე, განხორციელდება ბავშვის ანტენატალური პროფილაქტიკა.



*RUSUDAN VADATCHKORIA, KETEVAN DEVADZE, ELIZABETH GRACE MATHEW,  
 ANAKHA SURESH*

**SOME SPECIFICS OF MENTAL HEALTH STATUS OF INDIAN STUDENTS IN GEORGIA**

Natural Sciences and Health Care Faculty; Batumi Shota Rustaveli State University, Georgia

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.01.11>

*რუსუდან ვადაჭკორია, ქეთევან დევაძე, ელიზაბეტ გრეის მეთუ, ანახა სურეშ*  
**ინდოელი სტუდენტების ფსიქიკური ჯანმრთელობის თავისებურებანი**  
**საქართველოში სწავლის პერიოდში**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, საქართველო

**რეზიუმე**

წარდგენილი კვლევის იდეა წამოიჭრა საქართველოში საერთაშორისო (კერძოდ, ინდოელი) სტუდენტების ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მზარდი გავრცელების ფონზე. შიშოთების თანახმად, საერთაშორისო სტუდენტებს შორის ხშირია დეპრესიის სხვადასხვა ფორმის გამოვლინებები და სუიციდური აზრები, რაც განსაკუთრებით მწვავედ გამოვლინდება კულტურული ადაპტაციის სირთულეებისა და აკადემიური ზეწოლის შედეგად გამოწვეული სტრესის ფონზე. კვლევის მიზანია საქართველოში მცხოვრები ინდოელი სტუდენტების ფსიქოლოგიური სიმპტომების, მათ შორის დეპრესიისა და სუიციდური აზრების გავრცელების შესწავლა და შეფასება.



კვლევის შედეგებმა გამოავლინა პრობლემების მთელი რიგი, რაც მიანიშნებს საქართველოში მცხოვრები ინდოელი სტუდენტების ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გამონვევებზე. აღნიშნული პრობლემების იდენტიფიკაცია ხაზს უსვამს ამ სტუდენტების ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მხარდასაჭერი ღონისძიებების სისტემის შემუშავებისა და დანერგვის გადაუდებელ აუცილებლობას.

**Introduction.** In India, one-fourth of medical students are reported to experience depression and/or anxiety disorders [1]. With the growing number of Indian students pursuing education in Georgia, it is crucial to understand their psychological well-being. Cultural adaptation, academic pressures, and social isolation are key factors that can profoundly affect their mental health. This study aims to investigate the prevalence of depression and suicidal ideation among Indian students in Georgia. The findings can inform the development of targeted mental health programs tailored to the needs of this specific student population.

**Literature review.** This literature review explores the mental health status of Indian students in Georgia, with a particular focus on depression and suicidal ideation. It examines variations in prevalence and associated risk factors across gender, age groups, and regional contexts. Despite the growing number of Indian students pursuing higher education abroad, there is a notable lack of research addressing their mental well-being in Georgia. This review specifically highlights depression and suicide risk factors among this population.

**Depression: His versus Hers.** Depression can be added to the list of notable differences between men and women. According to researchers, it is the leading cause of disease burden among women. While men also experience depression, they are less likely to acknowledge, discuss, or seek help for their emotions or mental health challenges. This reluctance increases the risk of their depression symptoms being undiagnosed or overlooked [7].

**Gender differences in self-reporting symptoms of depression.** Females are more likely to report mild to moderate depression, whereas males tend to report severe depression and higher rates of suicide. Three factors may explain this difference: the covariation between estrogen levels and the peak incidence of depression in females, gender differences in coping styles, and the tendency of males to exhibit emotional inexpressiveness and avoid seeking help [9].

**Masculinity and help-seeking among men with depression.** Research suggests that men's help-seeking behavior regarding depression is influenced by traditional masculine values, such as strength, success, independence, control, and self-sufficiency, along with a strong emphasis on emotional restraint. Depression, often linked to emotional vulnerability, is seen as "incompatible" with traditional masculinity. Some men view depression as a sign of powerlessness and lack of control, while others describe recovery as a heroic struggle that ultimately leaves them stronger [10].

**Depression and Suicidal Ideation of International Students.** International students may be at a higher risk of suicide compared to the general population. Research suggests that suicidal behavior and immigration are linked, due to factors such as acculturation stress, changes in social roles and socioeconomic status, discrimination, social marginalization in the host country, and feelings of isolation and loneliness [2]. However, a comprehensive review identifying effective suicide prevention strategies for international students has yet to be conducted.

**Suicidal ideation of medical students.** The factors most frequently associated with suicidal ideation in medical students include depression and depressive symptoms, lower socioeconomic status, a history of drug use, and dissatisfaction with academic performance. One study found that male medical students had a significantly higher prevalence of suicidal ideation compared to female medical students [3]. In a study

conducted in New Delhi, India, the distribution of suicidal thinking varied across different stages of medical training, with 64.4% of first-year students reporting suicidal thoughts, followed by 56.7% of second-year students, 54.5% of fourth-year students, and 44.4% of interns. Third-year students had the lowest prevalence of suicidal ideation at 40.4%. The varying academic stress and examination pressures at different stages of training may explain these differences. Additionally, medical students who believed in God reported a significantly higher rate of suicidal ideation compared to nonbelieving students [4].

## **Methodology**

**Study Design.** The study employs a nonexperimental, analytical observational design with a cross-sectional approach. Data collection was conducted from March to May 2024.

**Setting and Sample.** In this study, the sample consisted of Indian medical students from a public University in Batumi, Georgia. A total of 125 students were selected through purposive sampling. Participants were required to meet the following inclusion criteria: (1) Indian medical students currently enrolled or graduated from the university, and (2) students who consented to participate. Fifth-year medical students were excluded from the study due to a high non-participation rate.

**Data Collection.** Data were collected using questionnaires completed by students via Google Forms, with an estimated completion time of approximately 15 minutes per form. The questionnaires were provided in English. Following data collection, the researcher verified the completeness of the responses. Students were approached using one of the following methods, depending on logistical considerations:

1. A subset of students was approached during working hours, where they were briefed on the purpose and nature of the study. After addressing any questions, they were invited to participate and asked to complete two self-administered questionnaires: the Patient Health Questionnaire-9 (PHQ-9) and the Suicide Behaviors Questionnaire-Revised (SBQ-R).
2. Another subset of students was contacted through electronic means. Individual messages were sent to potential participants, inviting them to take part in the study. The participant information sheet, study pro forma, and questionnaires were sent electronically.

Anonymity was maintained throughout the study to encourage accurate reporting by the students. Further details regarding the tools used are provided in the following sections.

**The Patient Health Questionnaire-9 (PHQ-9)** [5] was used to assess the severity of depressive symptoms among participants. This validated 9-item questionnaire measures the frequency of depressive symptoms over the past two weeks. It is a self-administered version of the PRIME-MD diagnostic instrument for common mental disorders, and while it is not a screening tool for depression, it is useful for monitoring the severity of depressive symptoms.

**The Suicide Behaviors Questionnaire-Revised (SBQ-R)** [8] is a brief self-report measure assessing past suicidal behavior. It is a revision of the original 34-item SBQ developed by [6]. The SBQ-R consists of four items that allow individuals to self-report their suicidal attitudes, ideation, and history of suicide attempts, as well as the possibility of future attempts. The total score ranges from 3 to 18, with a cut-off score of 7 suggested to identify at-risk individuals, demonstrating 93% sensitivity and 95% specificity.

## **Result**

**Sociodemographic Characteristics of the Participants.** A total of 125 Indian medical students participated in the study. The sociodemographic details of the participants were included in the final analysis. The study observed a higher participation rate among female students. The majority of

participants (77.6%) were in the age group of 19-22 years. First-year medical students comprised 32.8% of the sample, followed by second-year students, who contributed 31.2%.

**Severity of Depression Among Students.** Among the participants, 32.8% scored  $\geq 15$  on the PHQ-9, indicating moderately severe or severe depression. Of these, 73.1% were females and 26.8% were males, suggesting that depression is more prevalent among female students. Additionally, 16.8% of students scored  $\geq 20$  on the PHQ-9, indicating severe depression. A notable proportion (61.9%) of these students were first-year students.

**Severity of Suicidal Behavior Among Students – Based on SBQ-R.** Based on responses to the first question on the SBQ-R, 16% of students reported having planned to commit suicide at least once, with 65% of them being males. Furthermore, 16.8% of respondents had attempted suicide at some point. In terms of future risk, 58.4% of students reported that they had never experienced suicidal thoughts. However, 15.2% of students were identified as having a potential risk for future suicide attempts, with 63.1% of them being males and 47.3% being second-year students.

## Discussion

**Findings.** Our study revealed a prevalence of approximately 32.8% depression among Indian medical students at the university, based on a cut-off score of 15 on the PHQ-9. While females exhibited higher rates of depression, males may be at greater risk for suicide, possibly due to underdiagnosed or untreated depression. The use of validated tools, such as the PHQ-9 and SBQ-R, to assess depression and suicidal ideation represents a major strength of our study.

**Limitations and Future Research Directions.** This study employed a cross-sectional design, which limits the ability to determine the lifetime prevalence of depression among medical students. We did not assess details regarding the duration of the illness, past episodes, or the treatment received. Additionally, no interviews were conducted to confirm the diagnosis of depressive disorders. Future longitudinal studies that track the mental health of Indian students from the first to the final years of their medical education would offer valuable insights for planning targeted interventions.

**Implications and Recommendations.** This study contributes to a better understanding of the mental health challenges faced by Indian students in Georgia, a population that remains understudied. Future research could expand the sample size and further investigate the factors contributing to depression and suicidal ideation among Indian students in Georgia. Such studies would help in developing tailored mental health support programs for this group.

**Conclusions.** This study investigated the mental health well-being of Indian students in Georgia, with a specific focus on depression and suicidal ideation. The findings highlight a concerning prevalence of both conditions among the students. The high rates of depression emphasize the urgent need for greater awareness of mental health issues and the destigmatization of seeking help. Universities should consider developing culturally sensitive support systems tailored to the unique needs of Indian students. These systems could include access to counselors familiar with Indian cultural backgrounds and mental health perspectives. It is essential to create a supportive environment that prioritizes students' mental well-being and provides them with effective coping mechanisms to navigate the challenges of studying abroad.

## References

1. Arun P, Ramamurthy P, Thilakan P. Indian Medical Students with Depression, Anxiety, and Suicidal Behavior: Why Do They Not Seek Treatment? *Indian J Psychol Med.* 2021; XX:1–7;
2. Basu A, Boland A, Witt K, Robinson J. Suicidal Behaviour, including Ideation and Self-Harm, in Young Migrants: A Systematic Review. *International Journal of Environmental Research and Public Health.* 2022; 19(14):8329;

3. Coentre, R., Góis, C. (2018). Suicidal ideation in medical students: recent insights. *Advances in Medical Education and Practice*, 9, 873–880;
4. Goyal, A., Kishore, J., Anand, T., Rathi, A. (2012). Suicidal ideation among medical students of Delhi. *J Ment Health Human Behavior*, 17(1), 60-69;
5. Larson, N., & Story, M. (2019). Food insecurity and weight status among U.S. youth. *Journal of the Academy of Nutrition and Dietetics*, 119(5), 817-829
6. Institute of Medicine. (2020). Dietary Intake and Health Outcomes in College Students
7. European Public Health Association. (2022). Dietary habits of university students across EU
8. World Obesity Federation. (2021). Obesity trends among young adults in the Netherlands
9. Kim, J., Park, S. (2022). Time constraints and dietary behavior among college students. *Nutrition Research*, 45, 109-118

*ბელა ყურაშვილი, მარინა ციმაკურიძე, მაია ციმაკურიძე, ანა ბოჭორიშვილი,  
თეა შეცილაძე, ელენე ჩოჩია*

**ფაქტობრივი კვების, კვებითი სტატუსისა და კვებითი ქცევის შეფასება სტუდენტებში**  
თსსუ, კვების, ასაკობრივი მედიცინის, გარემოსა და პროფესიული ჯანმრთელობის  
დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო

### რეზიუმე

კვლევის მიზანს წარმოადგენდა თსსუ-ის და თსუ-ის სტუდენტების კვებითი რეჟიმისა და რაციონის შესწავლა. კვლევა ეფუძნებოდა 28 სტუდენტის მონაცემებს, რომელთა კვებითი ქცევის შეფასება განხორციელდა სურსათის სიხშირის ანალიზის მეთოდით და 24 საათიანი აღწერის გამოყენებით. კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ სტუდენტთა 70%-ის კვებითი რეჟიმი არ შეესაბამება ჰიგიენურ ნორმებს. საკვებ რაციონში აღინიშნებოდა ცილოვანი და ცხიმოვანი პროდუქტების გადაჭარბებული მიღება, რაც ხელს უწყობდა მეტაბოლიზმის დარღვევას, ჭარბი წონისა და სიმსუქნის განვითარებას. სტუდენტთა 50% საკვების დიდ ნაწილს ღამის პერიოდში იღებდა, რაც კვებითი რეჟიმის დარღვევის მაჩვენებელია. კვლევით დადგინდა, რომ მიუხედავად ჯანსაღი კვების პრინციპების შესახებ სტუდენტების მიერ მიღებული აკადემიური განათლებისა, საკვლევ კონტინგენტში კვლავ შენარჩუნებულია კვებითი ქცევის პრობლემები. კვლევის შედეგები მიუთითებს საკითხის ირგვლივ აქტიური საინფორმაციო კამპანიების გატარების და პრევენციული ღონისძიებების დანერგვის აუცილებლობას ჯანსაღი კვებითი ჩვევების გასამყარებლად.



*ნინო ადამაშვილი, ალექსანდრე კაციაძე, ნინო ცისკარიშვილი, ნატო კორსანტია,  
თეა კაციაძე, ანა ხვედელიძე*

**ვირუსული პათოლოგიის როლი წითელი ბრტყელი ლიქენის განვითარებაში**  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.01.23>

*NINO ADAMASHVILI, ALEXANDER KATSITADZE, NINO TSISKARISHVILI, NATO KORSANTIA,  
TEA KATSITADZE, ANA KHVEDELIDZE*

**VIRAL PATHOLOGY IN THE DEVELOPMENT OF LICHEN RUBER PLANUS**

Tbilisi State Medical University, Georgia

### SUMMARY

Lichen planus (LP) is recognized as an immune-mediated disease, often triggered by viral infections. The connection between viral pathogens and LP has been studied extensively, revealing a complex interaction between viruses and immune responses. HPV and EBV have been detected in LP lesions, and their presence suggests that viral reactivation may contribute to the inflammatory process associated with LP.

**Keywords:** Lichen Planus, Viral Pathology, Immune system

წითელი ბრტყელი ლიქენი - Lichen planus (LP) აღიარებულია, როგორც იმუნური შუამავლობით გამოწვეული დაავადება, რომლის ტრიგერ ფაქტორი ხშირად ვირუსული ინფექციებია. ვირუსულ პათოგენებსა და LP-ს შორის კავშირის ფართოდ შესწავლამ გამოავლინა რთული ურთიერთქმედება ვირუსებსა და იმუნურ პასუხებს შორის. აღმოჩენილია HPV და EBV

ვირუსების მტარებლობა LP დაავადებულ პირებში, შესაბამისად არსებობს ვარაუდი, რომ ვირუსის რეაქტივაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს LP-სთან დაკავშირებულ ანთებით პროცესს.

HPV, განსაკუთრებით მაღალი რისკის ქვეტიპები, ჩართულია ლორწოვანი გარსების დაზიანებებში, კვლევები აჩვენებენ უფრო მაღალ ვირუსულ დატვირთვას LP დაავადებულ პაციენტებში, რაც მიანიშნებს, რომ HPV-მ შეიძლება იმოქმედოს როგორც კოფაქტორმა, რომელიც იწვევს იმუნიტეტის მუდმივ აქტივაციას, რაც განაპირობებს LP პროგრესირებას. ვირუსის უნარი, თავი აარიდოს იმუნურ მეთვალყურეობას და ხელი შეუწყოს ეპითელიური დისპლაზიის განვითარებას, შემდგომში ხდება პოტენციური ხელშემწყობი ფაქტორი LP-ის ქრონიკული დაავადების, განსაკუთრებით პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ფორმებში, სადაც ავთვისებიანი ტრანსფორმაცია მნიშვნელოვანი საფრთხეა. EBV, ჰერპესვირუსი, რომელიც ცნობილია თავისი ლატენტური ინფექციის უნარით, ფართოდ იქნა შესწავლილი LP-სთან ერთად. EBV დნმ გამოვლენილია წითელი ბრტყელი ლიქენის დაავადების დროს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ვირუსის რეაქტივაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს რეციდივების განვითარებას და ხელახალი გააქტიურებისას EBV-მ შეიძლება დაიწყოს იმუნური რეაქციების კასკადი, რომელიც მოიცავს T-უჯრედოვან ციტოტოქსიკურობას, რაც იწვევს ბაზალური კერატინოციტების აპოპტოზს, რომელიც მნიშვნელოვანი მოვლენაა წითელი ბრტყელი ლიქენის პათოგენეზში.

CMV ინფექციები ასევე დაკავშირებულია LP-სთან, კვლევები მიუთითებს ვირუსით გამონვეულ იმუნურ დისრეგულაციისა და ქსოვილის დაზიანებაზე, როგორც პოტენციურ მექანიზმებზე. CMV-ის უნარმა დარჩეს ლატენტურად და ჰქონდეს პერიოდული რეაქტივაცია იმუნოკომპეტენტურ პირებში, შეიძლება ახსნას მისი მონაწილეობა LP სიმპტომების გამწვავებაში, განსაკუთრებით პირებში იმუნური ფუნქციის დაქვეითებით ან თანმხლები ინფექციებით. ვირუსით გამონვეული იმუნოსუპრესია აფერხებს ორგანიზმის უნარს, მოახდინოს ეფექტური იმუნური პასუხი მდგრადი ინფექციების წინააღმდეგ, შეიძლება ხელი შეუწყოს LP-ის ქრონიკულ და რეფრაქტერულ ბუნებას ვირუსული თანაინფექციების მქონე პაციენტებში.

გარდა ამისა, ბოლოდროინდელმა COVID-19 პანდემიამ შემოიღო ახალი მტკიცებულება, რომელიც აკავშირებს SARS-CoV-2 ინფექციას და ვაქცინაციას LP-ის განვითარებასა და გამწვავებასთან. რამდენიმე ლოკუმენტურ შემთხვევაში, პაციენტებს, რომლებსაც არ ჰქონდათ LP-ს წინა ისტორია, განუვითარდათ დაავადება COVID-19-ით დაინფიცირების ან COVID-19 ვაქცინაციის შემდეგ. ვაქცინით გამონვეული LP-ის იმუნოპათოგენეზი სავარაუდოდ მოიცავს Th1 უჯრედის აქტივაციას, რაც იწვევს ბაზალური კერატინოციტების აპოპტოზს, LP-ის დამახასიათებელ ნიშანს. თუმცა, COVID-19 ვაქცინაციის შემდეგ LP განვითარების ზუსტი მექანიზმები გაურკვეველი რჩება. ზოგიერთი კვლევა ვარაუდობს, რომ ვაქცინის ადიუვანტებმა შეიძლება გამოიწვიონ ძლიერი იმუნური პასუხი, რაც ცვლის ბალანსს აუტოიმუნურობისკენ გენეტიკურად მიდრეკილ პირებში. ინფექციის ან ვაქცინაციის შემდეგ ვირუსული ანტიგენების მდგრადობამ ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს იმუნიტეტის ქრონიკულ გააქტიურებას, რაც ხელს უწყობს წითელი ბრტყელი ლიქენის განვითარებას.

**კლინიკური სურათი.** წითელი ბრტყელი ლიქენი წარმოდგენილია როგორც მოიისფრო, სადაფისებრი პაპულური ბალთოვანი გამონაყარით, ცენტრში ჭიპისებრი დეპრესიით, რომლებსაც ხშირად თან ახლავს თეთრი ხაზები (Wickham striae) ზედაპირზე. სუბიექტურად დამახასიათებელია ძლიერი ქავილი. ლოკალიზაცია უპირატესად კიდურების მომხრელები და ტორსის მიდამოა. თუმცა, პირის ღრუს ფორმები განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ავთვისებიანი სიმსივნეების უფრო მაღალ რისკთან ასოცირების გამო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაზიანებები წარმოდგენილია მტკივნეული ბულოზურ-ეროზიული კლინიკური ფორმებით, ვიდრე უფრო გავრცელებული რეტიკულური ფორმით.



LP-ში ვირუსული პათოლოგიის ჩართვამ შეიძლება გამოიწვიოს დაავადების უფრო მძიმე და მდგრადი კლინიკური ფორმები, რაც ართულებს მკურნალობის კურსს და შედეგებს. ვირუსული ინფექციების ისტორიის მქონე პაციენტებში შეიძლება გამოვლინდეს გაძლიერებული ანთებითი რეაქცია, რაც იწვევს LP-ს უფრო აგრესიულ მანიფესტაციას.

იმ შემთხვევებში, როდესაც ვირუსული ინფექცია არის ჩართული, პაციენტებს ხშირად აღენიშნებათ LP-ის ატიპიური ფორმები. ეს მოიცავს ჰიპერტროფიულ LP-ს, რომელიც ხასიათდება გასქელებული, ჰიპერკერატოზული ბალოებით ქვედა კიდურებზე და ეროზიებით პირის ღრუს ლორწოვან გარსებზე, რომლის მკურნალობა საკმაოდ რთულია და შეიძლება გამოიწვიოს მეორადი ინფექციები ან თუნდაც ავთვისებიანი ტრანსფორმაცია. ლორწოვანის ზედაპირების ჩართვა LP-ის მიმდინარეობაში ართულებს დაავადების მართვას, რადგან ეს უბნები უფრო მგრძობიარეა მეორადი ინფექციების მიმართ და საჭიროებს უფრო მჭიდრო მონიტორინგს ავთვისებიანი ტრანსფორმაციის პოტენციის გამო. პირებში, რომლებსაც აქვთ ვირუსული ინფექციების ისტორია, როგორცაა HPV ან EBV, წითელი ბრტყელი ლიქენის მსგავსი დაზიანებების არსებობამ უნდა გააჩინოს ეჭვი ვირუსის რეაქტივაციის ან ერთობლივი ინფექციის შესახებ, რაც უზრუნველყოფს საფუძვლიან კლინიკურ და ვირუსოლოგიურ შეფასებას.

**დიაგნოსტიკური მეთოდები.** LP-ის დიაგნოზი, განსაკუთრებით ვირუსული ჩართულობის საეჭვო შემთხვევებში, მოითხოვს კლინიკური გამოკვლევის, ჰისტო-პათოლოგიური ანალიზისა და ვირუსოლოგიური კვლევების ერთობლიობას. ჰისტოლოგიური გამოკვლევა, როგორც წესი, გვიჩვენებს ჰიპერკერატოზს. იმუნოჰისტოქიმიური შეღებვა T-უჯრედების აქტივაციის მარკერებისთვის, როგორცაა CD8+ ციტოტოქსიური T-უჯრედები, შეიძლება დაგვეხმაროს LP-ს დიფერენცირებაში სხვა ლიქენოიდული დერმატოზებისგან.

საეჭვო ვირუსული ეტიოლოგიის შემთხვევაში, PCR ან in situ ჰიბრიდიზაციის ტექნიკა შეიძლება გამოყენებულ იქნას ვირუსული დნმ-ის ან რნმ-ის გამოსავლენად LP დაზიანებებში. მოლეკულური დიაგნოსტიკური ტექნიკის მიღწევებმა, როგორცაა შემდეგი თაობის თანმიმდევრობა (NGS), შესაძლებელი გახადა დაზიანებულ კანში ვირუსული გენომის გამოვლენა, რაც გვთავაზობს ახალ შეხედულებებს ლატენტური ვირუსების როლზე LP პათოგენეზში. სეროლოგიური ანალიზის გამოყენებამ ვირუსული ანტისხეულების გამოსავლენად შეიძლება ასევე მოგვანდოს ინფორმაცია გადატანილი ვირუსული ინფექციების შესახებ, გარდა ამისა, პაციენტებმა უნდა ჩაიტარონ ტესტები HPV, EBV, CMV და SARS-CoV-2 ვირუსების მტარებლობაზე, რათა დადგინდეს პოტენციური კავშირი ვირუსულ ინფექციებსა და LP გამწვავებას შორის.

**პროგნოზი და გართულებები.** LP-ის პროგნოზი განსხვავდება დაავადების სიმძიმისა და ასევე ვირუსული თანა-ინფექციების არსებობის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ LP ზოგადად აქვს კეთილსაიმედო პროგნოზი, გართულებები, როგორცაა ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, შეიძლება წარმოიშვას, განსაკუთრებით იმ პაციენტებში, რომლებსაც აქვთ პირის ღრუს LP. კვლევებმა აჩვენა, რომ პირის ღრუს LP-ში ავთვისებიანი ტრანსფორმაციის რისკი იზრდება მაღალი რისკის მქონე HPV ქვეტიპების არსებობისას, რაც ხაზს უსვამს მაღალი რისკის მქონე პაციენტებში რეგულარული მონიტორინგისა და ადრეული ჩარევის აუცილებლობას. ვირუსული ინფექციების არსებობამ შესაძლოა გააუარესოს დაავადების მიმდინარეობა და გაზარდოს ავთვისებიანი სიმსივნეების რისკი, რაც საჭიროებს მჭიდრო მონიტორინგს და მორგებულ თერაპიულ მიდგომას. ვირუსთან ასოცირებული LP-ით დაავადებული პაციენტები უფრო ხშირად განიცდიან რეციდივებს და მკურნალობის შედეგებიც შედარებით დაბალია, რაც ადასტურებს ადრეული და აგრესიული ჩარევის მნიშვნელობას, განსაკუთრებით პაციენტებში, რომლებსაც აქვთ ვირუსული თანაინფექციების ისტორია. ავთვისებიანი სიმსივნის რისკის გარდა, ქრონიკულმა LP-მ შეიძლება გამოიწვიოს ფუნქციური დარღვევები ნაწიბურების გამო, განსაკუთრებით დაავადების ლორწოვანი



გარსების კლინიკურ ფორმებში. როგორც ასეთი, ხშირად საჭიროა მულტიდისციპლინური მიდგომა დერმატოლოგების და ონკოლოგების მონაწილეობით, რათა უზრუნველყონ ოპტიმალური შედეგები.

**თერაპიული ალგორითმი.** LP-სა და ვირუსულ პათოლოგიას შორის კავშირის გათვალისწინებით, აუცილებელია ყოვლისმომცველი თერაპიული მიდგომა. შემოთავაზებული ალგორითმი მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს:

**პაციენტის შეფასება:** უნდა ჩატარდეს საფუძვლიანი კლინიკური გამოკვლევა, მათ შორის ვირუსული ინფექციების დეტალური ისტორია და ვაქცინაციის სტატუსი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პოტენციური გამომწვევი ფაქტორების იდენტიფიცირებას, როგორცაა ბოლოდროინდელი ვირუსული დაავადებები ან ვაქცინაციები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს LP-ის დაწყება ან გამწვავება.

**ვირუსოლოგიური სკრინინგი:** პაციენტები უნდა შემოწმდნენ საერთო ვირუსულ პათოგენებზე, მათ შორის HPV, EBV, CMV და SARS-CoV-2 (სეროლოგიური ტესტები, PCR). დადასტურებული ვირუსული ჩართულობის მქონე პაციენტებში ანტივირუსული თერაპია შეიძლება ჩაითვალოს სტანდარტული მკურნალობის დამხმარე საშუალებად, განსაკუთრებით ვირუსის აქტიური რეპლიკაციის მქონე პაციენტებში.

**ადგილობრივი თერაპია:** კორტიკოსტეროიდები რჩება ლოკალიზებული LP-ის მკურნალობის პირველ ხაზად. ვირუსული ჩართვის შემთხვევაში შეიძლება განიხილებოდეს ანტივირუსული აგენტები. ადგილობრივი კალცინევრინის ინჰიბიტორები, როგორცაა ტაკროლიმუსი, ასევე ეფექტურია ლოკალიზებული LP-ის მართვაში, განსაკუთრებით ლორწოვანი გარსების დაზიანების დროს.

**სისტემური თერაპია:** უფრო მძიმე შემთხვევებისთვის შეიძლება საჭირო გახდეს სისტემური კორტიკოსტეროიდები, რეტინოიდები ან იმუნოსუპრესანტები. ანტივირუსული თერაპია უნდა დაიწყოს დადასტურებული ვირუსული თანაინფექციების მქონე პაციენტებში და აუცილებელია მონიტორინგი გართულებების თავიდან ასაცილებლად. ბიოლოგიური აგენტები, რომლებიც მიზნად ისახავს სპეციფიკურ იმუნურ გზებს, როგორცაა TNF-ალფა ინჰიბიტორები ან JAK ინჰიბიტორები, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ახალი თერაპიული ვარიანტები LP-ის მქონე პაციენტებში, განსაკუთრებით მათ, ვისაც აქვს ძირითადი ვირუსული ინფექციები.

**შემდგომი დაკვირვება და მონიტორინგი:** რეგულარული დაკვირვება გადამწყვეტია მკურნალობის შედეგების შესაფასებლად და ავთვისებიანი სიმსივნეების ნიშნების ადრეული გამოვლენისთვის. ვირუსთან ასოცირებული LP-ის მქონე პაციენტები უფრო მეტად უნდა იყვნენ დაკვირვების ქვეშ, დაავადების შედარებით აგრესიული მიმდინარეობის და ონკოლოგიური პოტენციალის გამო. კერძოდ, პირის ღრუს ან გენიტალური LP-ის მქონე პირებს სჭირდებათ ხშირი მეთვალყურეობა ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის ადრეული ნიშნების გამოსავლენად.

**დასკვნა.** მზარდი მტკიცებულება, რომელიც აკავშირებს ვირუსულ ინფექციებს წითელი ბრტყელი ლიქენის პათოგენებთან, ხაზს უსვამს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ინტეგრირებული მიდგომის აუცილებლობას. LP-ში ვირუსული აგენტების როლის გააზრებით, კლინიკისტებს შეუძლიათ შეიმუშაონ უფრო ეფექტური თერაპიული სტრატეგიები, გააუმჯობესონ პაციენტთა მკურნალობის შედეგები და პოტენციურად თავიდან აიცილონ დაავადების პროგრესირება მაღალი რისკის მქონე პირებში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gargiulo, F., Mariniello, A., Annunziata, M., & Serpico, R. (2019). Human papillomavirus and oral lichen planus: an overview. *Journal of Biological Regulators & Homeostatic Agents*, 33(2), 47-50.

2. Syrjänen, S. (2018). Human papillomavirus infections and oral tumors. *Medical Microbiology and Immunology*, 207(3-4), 221-229.
3. Xiao, C., Wu, J., Wu, J., & Zhao, W. (2016). Epstein-Barr virus and lichen planus: A correlation study. *Oral Diseases*, 22(5), 380-387.
4. Regezi, J. A., & Sciubba, J. J. (2012). *Oral Pathology: Clinical Pathologic Correlations* (6th ed.). St. Louis: Saunders Elsevier.
5. De Stefano, G., Fadda, M., & Ruggiero, A. (2021). COVID-19 vaccine and the risk of triggering lichen planus: A case report and review of the literature. *Oral Surgery, Oral Medicine, Oral Pathology, Oral Radiology*, 132(5), e139-43
6. Mendez, T., & Green, D. (2022). SARS-CoV-2 infection and exacerbation of lichen planus: Insights into the pathogenesis and clinical management. *Journal of Dermatology & Dermatologic Surgery*, 26(3), 153-158.
7. González-Moles, M. Á., Warnakulasuriya, S., González-Ruiz, I., et al. (2018). Diagnostic criteria for oral lichen planus: A systematic review. *Journal of Oral Pathology & Medicine*, 47(7), 635-644.
8. Lewis, F. M., Duggineni, N., & Siegel, D. M. (2017). Lichen planus: Diagnosis, management, and updates in treatment. *Dermatologic Clinics*, 35(4), 451-467.
9. Mignogna, M. D., Fortuna, G., Leuci, S., & Adamo, D. (2014). Squamous cell carcinoma of the oral cavity in patients with oral lichen planus: A systematic review of observational studies. *Oral Oncology*, 50(10), 1045-1049.
10. Eisen, D., & Carrozzo, M. (2016). Oral lichen planus: Clinical features and management. *Oral and Maxillofacial Surgery Clinics of North America*, 28(1), 91-103.
11. Ismail, S. B., Kumar, S. K., & Zain, R. B. (2007). Oral lichen planus and lichenoid reactions: Etiopathogenesis, diagnosis, management and malignant transformation. *Journal of Oral Science*, 49(2), 89-106.
12. Zhou, X. K., Zhao, W., & Gu, J. (2019). Emerging treatments for lichen planus: A review of recent clinical trials. *Journal of Dermatological Treatment*, 30(5), 458-464.

ნინო ადამაშვილი, ალექსანდრე კაციტაძე, ნინო ცისკარიშვილი, ნატო კორსანტია,  
თეა კაციტაძე, ანა ხვედელიძე

ვირუსული პათოლოგიის როლი წითელი ბრტყელი ლიქენის განვითარებაში  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

### რეზიუმე

წითელი ბრტყელი ლიქენი - Lichen planus (LP) აღიარებულია, როგორც იმუნური შუამავლობით გამონეული დაავადება, რომლის ტრიგერ ფაქტორი ხშირად ვირუსული ინფექციებია. ვირუსულ პათოგენებსა და LP-ს შორის კავშირის ფართოდ შესწავლამ გამოავლინა რთული ურთიერთქმედება ვირუსებსა და იმუნურ პასუხებს შორის. აღმოჩენილია HPV და EBV ვირუსების მტარებლობა LP დაავადებულებში, შესაბამისად არსებობს ვარაუდი, რომ ვირუსის რეაქტივაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს LP-სთან დაკავშირებულ ანთებით პროცესს.



მარინა ციმაკურიძე<sup>1</sup>, მაია ციმაკურიძე<sup>1</sup>, ნინო ხაჭაპურიძე<sup>1</sup>, დავით თოფურია<sup>3</sup>, მაია მათოშვილი<sup>2</sup>,  
დალი ზურაშვილი<sup>1</sup>, ეთერი მაისურაძე<sup>1</sup>

### მანგანუმისმიერი პათოლოგიის რისკის მენეჯმენტი

თსსუ, <sup>1</sup>კვების, ასაკობრივი მედიცინის, გარემოსა და პროფესიული ჯანმრთელობის  
დეპარტამენტი, <sup>2</sup>კანისა და ვენერიულ სნეულებათა დეპარტამენტი,

<sup>3</sup>ადამიანის ნორმალური ანატომიის დეპარტამენტი; თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.01.24>

MARINA TSIMAKURIDZE<sup>1</sup>, MAIA TSIMAKURIDZE<sup>1</sup>, NINO KHACHAPURIDZE<sup>1</sup>,  
DAVID TOPURIA<sup>3</sup>, MAIA MATOSHVILI<sup>2</sup>, DALI ZURASHVILI<sup>1</sup>, ETERI MAISURADZE<sup>1</sup>

### RISK MANAGEMENT OF PATHOLOGY CAUSED BY MANGANESE

TSMU, <sup>1</sup>Department of Nutrition, Aging Medicine, Environmental and Occupational Health;

<sup>2</sup>Department of Dermatology and Venerology, <sup>3</sup>Department of Human Anatomy; Tbilisi, Georgia

### SUMMARY

Among environmental pollutants, heavy metals play a special role, the content of which in the environment (in soil, water and air) on the one hand, is due to natural (climatic-geographical) features and on the other hand by improper exploitation of enterprises. The spectrum of harmful chemical factors affecting the population is diverse and accordingly, the pathology developed due to their influence belongs to the group of both diseases and intoxications. Some of them are regional pathologies for Georgia. Among them is the pathology caused by manganese compounds. The use of early diagnostic methods of manganese pathology, including immunogenetic methods, is the basis for effective management of such severe pathologies as manganese bronchial asthma, bronchitis, dermatitis, intoxication caused by manganese (manganism), and their clinical equivalents, along with the implementation of primary prevention measures is the foundation for effective management.

**Keywords:** Manganese, pathology, risk management

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკური ცვლილებები განაპირობებენ გარემოს დაბინძურების მაღალ დონეს. ქიმიური მრეწველობის ახალი დარგების ჩამოყალიბება, ქიმიური ნაერთების ფართო გამოყენება, ახალი ნაერთების სინთეზის აუცილებლობა სანარმოო პროცესების შემდგომი ოპტიმიზაციისთვის, შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების გაუთვალისწინებლობა, შესაბამისად, განაპირობებს ეკოლოგიური საფრთხეების ზრდას და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მოქმედი რისკის ფაქტორების (მათ შორის ნაკლები ინტენსივობის ფაქტორების) არსებობას, რომელთა ზემოქმედება იწვევს ორგანიზმის ბიოლოგიური აქტივობის და ადაპტაციური მექანიზმების დარღვევას. აქტუალური ხდება რისკის მენეჯმენტის პროცესზე გადასვლა, ნაცვლად ამჟამად მოქმედი რისკის კონტროლის მექანიზმის განხორციელებისა და ნორმატივებით დადგენილი კონტროლისა [5,7,9].

სამედიცინო მეცნიერების თანამედროვე დონე იძლევა მოსახლეობის ჯანმრთელობის დარღვევების რისკის როგორც საცხოვრებელ, ისე სამუშაო გარემოში გამოვლენის და დაავადების პრედიქტორების დადგენით მოსახლეობის ავადობის და სიკვდილიანობის მაჩვენებლების თავიდან აცილების და/ან შემცირების შესაძლებლობას.

გარემოს დამაბინძურებლებს შორის განსაკუთრებული როლი ენიჭებათ მძიმე მეტალებს, რომელთა შემცველობა გარემოში (ნიადაგში, წყალში და ჰაერში) ერთი მხრივ, განპირობებულია ბუნებრივი (კლიმატურ-გეოგრაფიული) თავისებურებებით და მეორე მხრივ, სანარმოთა არასწორი ექსპლუატაციით.

თანამედროვე პირობებში იზრდება საწარმოთა ფუნქციონის მასშტაბები, რაც ზრდის საწარმოთა უსაფრთხოების სწორი მონიტორინგის მნიშვნელობას და მოსახლეობის დაცვას შესაძლო რისკების ზემოქმედებისგან როგორც შრომის უსაფრთხოების, ისე გარემოს ეკოლოგიური კატასტროფების თავიდან აცილების თვალთახედვით.

მოსახლეობაზე მოქმედი მავნე ქიმიური ფაქტორების სპექტრი მრავალფეროვანია და, შესაბამისად, მათი ზემოქმედებით განვითარებული პათოლოგიაც განეკუთვნება როგორც დაავადებათა, ისე ინტოქსიკაციათა ჯგუფს. ზოგიერთი მათგანი საქართველოსთვის სამხარეო პათოლოგიას წარმოადგენს. მათ შორისაა მანგანუმის ნაერთებით გამოწვეული პათოლოგიაც.

მილიონობით ადამიანი განიცდის არაორგანული მანგანუმის ნაერთების პერმანენტულ მოქმედებას, რომელსაც ლეულოზს სასმელი წყლით (მით უფრო, რომ მანგანუმი სასმელი წყლის ბუნებრივი შემადგენელია) და საკვებით. ადამიანის ორგანიზმში მანგანუმის დეფიციტით გამოწვეული დაავადებები აღწერილი არ არის. მეორე მხრივ კი, ორგანიზმში მისი სიჭარბე ნაირფეროვანი უარყოფითი ბიოლოგიური ეფექტით გამოირჩევა. ამ ნაერთების მაღალი კონცენტრაციების მოქმედების შედეგია ჯანმრთელობის ეფექტები, რაც სხვადასხვა სისტემების და ორგანოების პათოლოგიით ვლინდება [6,8,10].

მანგანუმი პოლიტროპული მოქმედებით ხასიათდება და დასაქმებულთა ორგანიზმის სხვადასხვა სისტემების დაზიანებით ჯანმრთელობის ეფექტებს იწვევს. მანგანუმის ადამიანის ორგანიზმზე უარყოფითი მოქმედების გამოვლინება მრავალფეროვანია და ითვლებოდა, რომ მხოლოდ პროფესიული მედიცინის მეტად სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა.

წლების მანძილზე საქართველოში ჩატარებული კვლევის [1,2,3,4,11] შედეგები ადასტურებს, რომ დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის ეფექტები დაკავშირებულია მანგანუმთან პროფესიულ კონტაქტში მუშაობის სტაჟთან, რაც ასევე განაპირობებს გამოვლენილი დარღვევების სიმძიმეს. საქართველოში საწარმოო და წარმოებით განპირობებულ პათოლოგიად მიჩნეულია სასუნთქი სისტემის (მანგანოკონიოზი, მანგანუმისმიერი ბრონქული ასთმა და ასთმოდური ბრონქიტი), კანის (ალერგიული დერმატიტი, ეგზემა) და ცენტრალური ნერვული სისტემის (მანგანიზმი) პათოლოგია.

სპეციალურ ყურადღებას იმსახურებს იმუნოლოგიური პარამეტრები პრაქტიკულად ჯანმრთელ პირებში, რომლებსაც მანგანუმთან სისტემატური კონტაქტი აქვთ. კერძოდ, საერთო T-ლიმფოციტების რაოდენობა, ისევე როგორც T-ჰელპერების და T-სუპრესორების რაოდენობა გამოკვლეულთა უმრავლესობას (90%) მცირედ დაქვეითებული ჰქონდათ. B-ლიმფოციტების შემცველობა 2/3 შემთხვევაში ნორმაზე მცირედ დაქვეითებული იყო, M-იმუნოგლობულინის დონე თითქმის თანაბარი ან მომატებული, ან ნორმის ფარგლებში მერყეობდა. G-და A-იმუნოგლობულინების რაოდენობა დაქვეითებული იყო ყველა შემთხვევაში ისევე, როგორც მანგანუმისმიერი პათოლოგიის მქონე პირებში. მაგრამ მთავარი განსხვავება, დაავადებულთა ჯგუფთან შედარებით, იმაში მდგომარეობდა, რომ E-იმუნოგლობულინების შემცველობა 95% შემთხვევაში ნორმის ფარგლებში მერყეობდა და მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში იყო მომატებული.

მანგანუმით ქრონიკული ინტოქსიკაციით დაავადებულ პირთა შორის დადგინდა იმუნური ჰომეოსტაზის დარღვევა (რაც გამოვლინდა საერთო T-ლიმფოციტების და მისი სუბპოპულაციების რაოდენობის დაქვეითებით, B-ლიმფოციტების რაოდენობის მომატებითა და იმუნორეგულაციის ინდექსის დაქვეითებით) და დისიმუნოგლობულინიამია (საერთო E-იმუნოგლობულინის ნორმალური შემცველობის ფონზე G-, A- და M-იმუნოგლობულინების დაქვეითება).

კვლევის შედეგები გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის, რომელსაც მანგანუმის ნაერთებთან არ აქვს პროფესიული კონტაქტი, მაგრამ ცხოვრობს გარემოში, სადაც



ხდება მანგანუმის ნაერთების მაღალი შემცველობის პროდუქტების და წყლის მოხმარება, მანგანუმისმიერი ჯანმრთელობის ეფექტები და/ან მიმდინარე სუბკლინიკური ცვლილებები ინიღბება სხვადასხვა დიაგნოზით. ამავე დროს მანგანუმისმიერი პათოლოგიის ადრეული დიაგნოსტიკის მეთოდების, მათ შორის იმუნო-გენეტიკურის მეთოდების, გამოყენება ისეთი მძიმე პათოლოგიის, როგორცაა მანგანუმისმიერი ბრონქული ასთმა, ბრონქიტი, დერმატიტი, მანგანიზმი და მათი კლინიკური ექვივალენტები, პრევენციისა და ეფექტური მენეჯმენტის საფუძველია.

რისკის მენეჯმენტისა და ჯანმრთელობის ეფექტების დროული დიაგნოსტიკის უგულებელყოფა მძიმე საექიმო დანაშაულის ტოლფასია, რადგან დაგვიანებული სამედიცინო დახმარება მძიმე, შეუქცევადი დაინვალიდებით და ფატალური გამოსავლით მთავრდება. პათოგენეზური პრევენციის განხორციელება რეალურად შეამცირებს ამ მძიმე პათოლოგიით დასნეულებულ და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დაინვალიდებულ პირთა კონტინენტს. მანგანუმისმიერი პათოლოგიის ნაადრევი დიაგნოსტიკა და სუბკლინიკური ცვლილებების გათვალისწინება, პირველადი პრევენციის ეფექტური ღონისძიებების შემუშავება/განხორციელებასთან ერთად ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჯანმრთელი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ხავთასი ა.ა. მაღაროს მუშათა მანგანუმით ქრონიკული ინტოქსიკაციის საკითხისათვის. ავტორეფერატი მედ. მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1963
2. ციმაკურიძე მ., ხაჭაპურიძე ნ., ზურაბილი დ. და სხვ. მანგანუმისმიერი პროფესიული პათოლოგიის იმუნოლოგიური მახასიათებლები. ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, 2010; 4, 155-158.
3. ციმაკურიძე მ., კვერენჩილაძე გ., ზაბახიძე რ. და სხვ. საქართველოს ქიმიური მრეწველობის საწარმოების მუშათა ჯანმრთელობის მდგომარეობის თავისებურებანი. ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, 2010; 4, 152-155.
4. ჯავახიძე რ., წერეთელი მ., ციმაკურიძე მ., ჩიგოგიძე ხ., ნ. ხატიაშვილი. მანგანუმის წარმოებაში დასაქმებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შრომათა კრებული, ტ. XLVI, თბილისი, 2012, 109-111.
5. Antunes R.F., Brandão C., Maia M., Arosa F.A. Red blood cells release factors with growth and survival bioactivities for normal and leukemic T cells. *Immunology and cell biology* 89.1 (2011): 111-121.
6. Bortey-Sam N., Nakayama SMM., Ikenaka Y., Akoto O., Baidoo E. et al. Human health risks from metals and metalloids via consumption of food animals near gold mines in Tarkwa, Ghana: estimation of the daily intakes and target hazard quotients (THQs). *Ecotoxicol Environ Saf.*, 2015; 111:160-167.
7. Lee SB, Kim YS, Kim JH, Park K, Nam JS, Kang S, Park JS, Shin S, Ahn CW Use of RBC deformability index as an early marker of diabetic nephropathy. *Clin Hemorheol Microcirc.* 2019;72(1):75-84.
8. Luo L., Chu B., Wang X., Xu T., Bo Y. (2014) Distribution, origin and transformation of metal and metalloid pollution in vegetable fields, irrigation water and aerosols near a Pb-Zn mine. *Environ Sci Pollut Res* 21:8242-8260.
9. Tikaradze E, Sharashenidze G, Ormotsadze G, Tsimakuridze M, et.al. Complex study of Cancer Morbidity and Inflammatory Markers, Presented in the Blood Serum of the Rural Population of Sachkhere District of Georgia. *Asian Pac J Cancer Prev.* 2022a Jun 1;23(6):2127-2135. DOI: 10.31557/APJCP.2022.23.6.2127.
10. Wasserman GA, Liu X, Parvez F, Factor-Litvak P, Kline J, et al. Child Intelligence and Reductions in Water Arsenic and Manganese: A Two-Year Follow-up Study in Bangladesh. *Environmental Health Perspective*, 2016, 124(7):1114-1120.
11. Саакадзе В.П., Цимакуридзе М. П., Зурашвили Д.Г. и др. Клинико-аллергологические и иммуно-генетические особенности профессиональной патологии, этиологически обусловленной марганцем. *Экспериментальная и клиническая медицина*, #2, 2012, сс. 38-51



მარინა ციმაკურიძე<sup>1</sup>, მათა ციმაკურიძე<sup>1</sup>, ნინო ხაჭაპურიძე<sup>1</sup>, დავით თოფურია<sup>3</sup>, მათა მათოშვილი<sup>2</sup>,  
დალი ზურაბიანი<sup>1</sup>, ეთერი მაისურაძე<sup>1</sup>

### მანგანუმისმიერი პათოლოგიის რისკის მენეჯმენტი

თსუ, <sup>1</sup>კვების, ასაკობრივი მედიცინის, გარემოსა და პროფესიული ჯანმრთელობის  
დეპარტამენტი, <sup>2</sup>კანისა და ვენერიულ სნეულებათა დეპარტამენტი,  
<sup>3</sup>ადამიანის ნორმალური ანატომიის დეპარტამენტი; თბილისი, საქართველო

#### რეზიუმე

გარემოს დამაბინძურებლებს შორის განსაკუთრებული როლი ენიჭებათ მძიმე მეტალებს, რომელთა შემცველობა გარემოში (ნიადაგში, წყალში და ჰაერში) ერთი მხრივ, განპირობებულია ბუნებრივი (კლიმატურ-გეოგრაფიული) თავისებურებებით და მეორე მხრივ, სანარმოთა არასწორი ექსპლუატაციით. მოსახლეობაზე მოქმედი მავნე ქიმიური ფაქტორების სპექტრი მრავალფეროვანია და, შესაბამისად, მათი ზემოქმედებით განვითარებული პათოლოგიაც განეკუთვნება როგორც დაავადებათა, ისე ინტოქსიკაციათა ჯგუფს. ზოგიერთი მათგანი საქართველოსთვის სამხარეო პათოლოგიას წარმოადგენს. მათ შორისაა მანგანუმის ნაერთებით გამოწვეული პათოლოგიაც.

მანგანუმისმიერი პათოლოგიის ადრეული დიაგნოსტიკის მეთოდების, მათ შორის იმუნო-გენეტიკურის მეთოდების, გამოყენება ისეთი მძიმე პათოლოგიის, როგორცაა მანგანუმისმიერი ბრონქული ასთმა, ბრონქიტი, დერმატიტი, მანგანიზმი და მათი კლინიკური ექვივალენტები, პირველადი პრევენციის ღონისძიებების განხორციელებასთან ერთად ეფექტური მენეჯმენტის საფუძველია.



დალი ბაქრაძე, სალომე ბეზარაშვილი, გენადი კვერენჩხილაძე, ნატო ხუნაშვილი,  
ქეთევან მურჯიკნელი, ეთერ წიკლაური

### საქართველოში სასმელი წყლის ხარისხის სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის ტენდენციები

თსუ, კვების, ასაკობრივი მედიცინის, გარემოსა და პროფესიული ჯანმრთელობის დეპარტამენტი,  
თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.01.25>

LALI BAKRADZE, SALOME BEZARASHVILI, GENADI KVERENCHKHILADZE,  
NATO KHUNASHVILI, KETEVAN MURJIKNELI, ETER TSIKLARI  
STATE CONTROL AND MONITORING TRENDS OF DRINKING WATER  
QUALITY IN GEORGIA

Department of Nutrition, Aging Medicine, Environmental and Occupational Health;  
Tbilisi State Medical University (TSMU), Tbilisi, Georgia

#### SUMMARY

A secondary hygienic analysis of water quality monitoring data for the years 2020-2023 was conducted to identify trends in the dynamics of state control and monitoring of drinking water quality in various regions of Georgia. A positive trend was revealed in monitoring, characterized by a steady increase in the number of water samples both nationwide and in western and eastern regions of Georgia (excluding the capital), with a particular advantage in western Georgia. The proportion of water quality violations

identified in the samples was calculated by year and region. It was determined that the main type of non-compliance with the technical regulations for water quality was microbiological violations. Relevant recommendations have been developed.

**Keywords:** State control, monitoring trends, drinking water, quality, Georgia

კაცობრიობის ერთ-ერთ ძირითად საზრუნავს მისი ისტორიის ყველა ეტაპზე საკმარისი რაოდენობის კეთილხარისხოვანი, უსაფრთხო სასმელი წყლით უზრუნველყოფა წარმოადგენდა. უსაფრთხო, კეთილხარისხოვან სასმელ წყალზე შეუზღუდავი წვდომა ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა [1]. ამ უფლების სრულად რეალიზება საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზეც ბევრ სირთულეს უკავშირდება. დღეს, ერთი მხრივ, ბუნებრივი წყლების ქსენობიოტიკებით მნიშვნელოვანი დაბინძურების, ხოლო მეორე მხრივ, წყლის ხარისხის გაუმჯობესებისა და გაუვნებლობის პროცესში მასში ქიმიურ ნივთიერებათა ხელოვნურად შეყვანის პირობებში, წყალმომარაგების ჰიგიენის პრობლემა სპეციალისტთა ფართო წრის ინტერესის საგნად იქცა. ამიტომაც შევიდა ჩვენი პლანეტის მოსახლეობის საჭირო რაოდენობის უსაფრთხო სასმელი წყლით უზრუნველყოფა გაეროს მდგრადი განვითარების ძირითადი მიზნების პირველ ათეულში [5].

მსოფლიოს მრავალ რეგიონში უსაფრთხო სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მსოფლიოში ყოველდღიურად 14 ადამიანი იღუპება არასათანადო ხარისხის სასმელი წყლის მოხმარებით გამოწვეული დიარეული დაავადებების მიზეზით. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2021 წლის მონაცემებით დიარეა ბავშვებში სიკვდილიანობის მესამე მიზეზია [4].

საქართველოში წყლის რესურსები დიდი რაოდენობითაა. გაეროს საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, საქართველოს თითოეულ მოქალაქეზე მოდის 14629მ<sup>3</sup> პოტენციურად არსებული განახლებადი წყლის რესურსები (ევროპაში კი - საშუალოდ, 9300მ<sup>3</sup>) [6], თუმცა გამოწვევის წინაშე გვაყენებს წყლის რესურსების არათანაბარი ბუნებრივი განაწილება ქვეყნის აღმოსავლეთ და დასავლეთ რეგიონებში - მათი საერთო რაოდენობის 63,4% - (362,5მ<sup>3</sup>/წმ) მოდის დასავლეთ საქართველოზე, 24,1% - (137,9მ<sup>3</sup>/წმ) აღმოსავლეთ საქართველოზე, ხოლო 12,5% - (71,3 მ<sup>3</sup>/წმ) კი - სამხრეთ საქართველოზე. აღსანიშნავია ასევე უსაფრთხო წყალზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა დედაქალაქსა და რეგიონებში, განსაკუთრებით, სოფლის ტიპის დასახლებულ ადგილებში.

ჩვენს ქვეყანაში სასმელის წყლის მიმართ სანიტარიულ მოთხოვნებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმად, სასმელი წყალი უნდა იყოს უსაფრთხო, როგორც ეპიდემიოლოგიური და რადიაციული, ისე ქიმიური შემადგენლობის თვალსაზრისით და ჰქონდეს სასურველი ორგანოლექტიკური თვისებები [3].

სასმელ წყალთან დაკავშირებული დაავადებების პრევენცია მისი მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაა, ხარისხის რეგულაციის მექანიზმი კი წყლის მისი შიდა (საწარმო) კონტროლი და, მასთან ერთად, სახელმწიფო კონტროლი და მონიტორინგია. საქართველოში ამ ფუნქციას ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო, რომლის ინფორმაციით, ქვეყანაში ბოლო პერიოდში ყოველწლიურად იზრდება სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის მიზნით აღებული სინჯებისა და ჩატარებული ანალიზების რაოდენობა. ბუნებრივია, ამ პირობებში შესაბამისად უნდა გაიზარდოს წყლის ხარისხის ტექნიკურ რეგლამენტთან შეუსაბამობის გამოვლენის შესაძლებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის მიზანს წარმოადგენდა ბოლო წლებში საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ რეგიონებისა და დედაქალაქის სასმელი წყლის

ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის ძირითადი ტენდენციების გამოვლენა მონიტორინგის შედეგების შედარებითი ჰიგიენური ანალიზის საფუძველზე.


კვლევის მიზნიდან გამომდინარე, დასახულ იქნა კონკრეტული ამოცანები:

1. საქართველოში ბოლო პერიოდში, კერძოდ, 2020-2023 წლებში, სასმელი წყლის ხარისხის სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის სიხშირის დინამიკის შეფასება რეგიონების მიხედვით;
2. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების ტიპისა და ხვედრითი წილის განსაზღვრა.

**კვლევის მასალა და მეთოდი:** დასახული ამოცანების გადასაწყვეტად კვლევის მასალად გამოყენებულ იქნა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სასმელი წყლის ხარისხის მონიტორინგის 2020-2023 წლების მონაცემები. მასალის დამუშავებისა და ანალიზის პროცესში გამოყენებულია რაოდენობრივი - სტატისტიკურ-ვიზუალური მეთოდები (სიხშირული ცხრილები და დიაგრამები).

**კვლევის შედეგები:** 2020-2023 წლებში საქართველოში განხორციელებული სასმელი წყლის ხარისხის მონიტორინგის მონაცემები წარმოდგენილია 1-ელ დიაგრამაზე.


**დიაგრამა 1. 2020-2023 წლებში საქართველოში აღებული სინჯების რაოდენობა სასმელი წყლის ხარისხის მონიტორინგის ფარგლებში**



როგორც დიაგრამაზე ჩანს, საკვლევ პერიოდში ქვეყანაში მთლიანად განუხრელად იზრდებოდა სასმელი წყლის ხარისხის გეგმიური სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოს მასშტაბი და მოცულობა. საგულისხმოა, რომ 2020 წლიდან ყოველ მომდევნო წელს წინა წელზე მეტი სინჯი იქნა აღებული, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა მეოთხე - 2023 წელს აღინიშნა. საინტერესოა რა ტენდენცია იკვეთება ამ კუთხით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში?

ანალოგიური მონაცემები რეგიონალურ ჭრილში, კერძოდ, საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებსა და დედაქალაქში, მოცემულია მეორე დიაგრამაზე.

**დიაგრამა 2. 2020-2023 წლებში სასმელი წყლის მონიტორინგის ფარგლებში აღებული სინჯების რაოდენობა თბილისში, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში**




დიაგრამაზე ნათლად ჩანს, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოშიც ყოველწლიურად იზრდებოდა გეგმიური სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში აღებული სინჯების რიცხვი, რასაც ვერ ვიტყვით დედაქალაქზე, სადაც სამი წლის მონაცემები მცირედ განსხვავდება ერთმანეთისგან, მხოლოდ 2023 წელს გაიზარდა მათი რიცხვი შედარებით მნიშვნელოვნად. ნიშანდობლივია აგრეთვე, რომ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვნად მონიტორინგის სიხშირემ 2023 წელს მოიმატა. ბუნებრივია, ეს დინამიკა აისახა ქვეყნის გაერთიანებულ მონაცემებშიც (დიაგრამა 1). სავარაუდოდ, მონიტორინგის სიხშირის ამგვარი დინამიკა განაპირობა წინა წლების მონაცემების ანალიზმა და მის საფუძველზე აღმოჩენილმა დარღვევებმა.

რაც შეეხება აღებულ სინჯებში ტექნიკურ რეგლამენტთან შეუსაბამობას, ანუ აღმოჩენილ დარღვევებს წყლის ხარისხში, ზოგადად, მათი ყველაზე მაღალი პროცენტული წილი 2023 წელს აღინიშნა როგორც დასავლეთ (55,5%), ისე აღმოსავლეთ (46%) საქართველოში და მთლიანად, ქვეყანაში (49,5%), განსხვავებით დედაქალაქისაგან, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი წილი (25%) დარღვევებისა აღინიშნა მოცემული ოთხწლიანი პერიოდის დასაწყისში - 2020 წელს (კოვიდ-პანდემიის მწვავე პერიოდში), ყველაზე დაბალი (0%) კი - სწორედ 2023 წელს და კიდევ 2021 წელს (დიაგრამა 3.)

როგორც ამ დიაგრამიდან ჩანს, დარღვევების წილი დედაქალაქში გაცილებით დაბალია რეგიონებთან შედარებით. რეგიონებში აღებულ სინჯებში დარღვევის ყველაზე დაბალი პროცენტული წილი (17,3%) 2020 წელს აღინიშნა აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ 2021 წელს ეს რიცხვი რატომღაც თითქმის გასამმაგდა (50%), რის შემდეგაც, 2022 წელს, კვლავ ორჯერ შემცირდა, 2023 წელს კი ისევ ორჯერ გაიზარდა. შედარებით სტაბილური იყო ამ მხრივ მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში 2020-22 წლებში, 2023 წელს კი დარღვევების ხვედრითი წილი თვალსაჩინოდ გაიზარდა. რაც შეეხება მთლიანად საქართველოში გამოვლენილ სურათს, იგი კონფიგურაციით აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსია, უფრო დაბალი პიკებით.

**დიაგრამა 3. 2020-2023 წლებში აღებულ სინჯებში ნორმების დარღვევის პროცენტული წილი თბილისში, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში**



ცხადია, მნიშვნელოვანი ინტერესის საგანს წარმოადგენდა სასმელ წყალში აღმოჩენილი დარღვევების ტიპები. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილიდან (ცხრილი 1) ჩანს, რომ საკვლევი წლების განმავლობაში სინჯებში დაფიქსირდა სხვადასხვა სახისა და რაოდენობის დარღვევები: ყველაზე მეტი 2023 წელს - 10 ტიპის, 2021-22 წლებში - 8 ტიპის, ყველაზე ცოტა კი - 2020 წელს - 4 ტიპის. შემფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ დარღვევათა ლომის წილი მოდის ტექნიკურ რეგლამენტთან მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შეუსაბამობაზე.

**ცხრილი 1. დარღვევების ტიპის სიხშირეთა ცხრილი 2020-2023 წლებში საქართველოს მასშტაბით აღებულ სინჯებში**

	2020	2021	2022	2023
მიკრობიოლოგიური	128	205	177	453
ორგანოლექტიკური	4	1	7	12
ქიმიური	2	2	11	3
ფიზიკო-ქიმიური	-	4	1	2
მიკრობიოლოგიური და ორგანოლექტიკური	2	4	2	11
მიკრობიოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური	-	6	1	6
ორგანოლექტიკური და ფიზიკო-ქიმიური	-	1	-	2
ქიმიური და მიკრობიოლოგიური	-	2	3	5
ორგანოლექტიკური, ფიზიკო-ქიმიური და მიკრობიოლოგიური	-	-	-	1
ფიზიკო-ქიმიური, ქიმიური და მიკრობიოლოგიური	-	-	-	1
ფიზიკო-ქიმიური და ქიმიური	-	-	5	-

ამგვარად, 2020-2023 წლებში საქართველოში სასმელი წყლის ხარისხის სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის სიხშირის მაჩვენებლებში აღინიშნებოდა დადებითი დინამიკა (სინჯების აღების სიხშირის თვალსაზრისით), გარდა 2020 წლისა. 2020 წლის შედარებით დაბალი მაჩვენებელი, სავარაუდოდ, გარკვეულწილად კოვიდ-პანდემიის მწვავე პერიოდს უკავშირდება.

დასავლეთ საქართველოში აღებული სინჯების რაოდენობა ჭარბობს აღმოსავლეთ საქართველოში აღებული სინჯების რაოდენობას, რაც, შესაძლოა, სხვა მიზეზებთან ერთად, დასავლეთ საქართველოში წყალმომარაგების უფრო მეტი ცენტრის არსებობით იყოს განპირობებული.

კოვიდ-პანდემიის პერიოდში თბილისში აღინიშნება გაზრდილი დარღვევების რაოდენობა, რაც შეიძლება ამ პერიოდში კონტროლისა და პრევენციული ზომების შემცირებით აიხსნას.

მთლიანი ქვეყნის მასშტაბით 2023 წელს სასმელი წყლის ხარისხის დარღვევების საგრძნობლად გაზრდილი პროცენტული წილი არასახარბიელო მდგომარეობაზე მიუთითებს, თუმცა, ეს ფაქტი შესაძლოა, გარკვეულწილად 2023 წელს ასევე მთლიანად ქვეყნის მასშტაბით გაზრდილ სინჯების რაოდენობას უკავშირდებოდეს, რამაც უფრო ზუსტად ასახა წყლის ხარისხობრივი მდგომარეობა საქართველოში.

როგორც სინჯებზე ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების შედეგებმა აჩვენა, ყველაზე დიდ პრობლემას მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის უზრუნველყოფა წარმოადგენს (როგორც ზემოთ აღინიშნა, დარღვევების 90%-ზე მეტი მიკრობიოლოგიური ტიპისაა). 2020 წელს მიკრობიოლოგიური დარღვევების შემცირებაზე გავლენა, სავარაუდოდ, პანდემიამ მოახდინა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თუკი 2020 წელს მხოლოდ მიკრობიოლოგიური და ორგანოლექტიკური დარღვევები იყო ერთდროულად ერთ სინჯში დაფიქსირებული, 2023 წელს მიკრობიოლოგიური და ორგანოლექტიკური, მიკრობიოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური, ორგანოლექტიკური და ფიზიკო-ქიმიური, ქიმიური და მიკრობიოლოგიური, ორგანოლექტიკური, ფიზიკო-ქიმიური და მიკრობიოლოგიური, ფიზიკო-ქიმიური, ქიმიური და მიკრობიოლოგიური დარღვევები დაფიქსირდა და არც თუ ისე მცირე რაოდენობით. შესაბამისად, 2023 წლისთვის არა მხოლოდ რაოდენობრივად გაიზარდა დარღვევების რაოდენობა და პროცენტული წილი სინჯებში წინა წლებთან შედარებით, არამედ ერთსა და იმავე სინჯებში რამდენიმე ტიპის დარღვევის თანაარსებობა დადგინდა. მართალია, სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ეს დარღვევები (არა მარტო მიკრობიოლოგიური, არამედ, საერთოდ, ყველა გამოვლენილი) მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის საშიში არ იყო, ეს საკითხი მაინც სათანადო ყურადღებას საჭიროებს.



შეიძლება ითქვას, რომ კოვიდ-პანდემიის პერიოდში მთელ საქართველოში სასმელი წყლის ხარისხი მნიშვნელოვნად იყო გაუმჯობესებული. დარღვევების ყველაზე ნაკლები პროცენტული წილი აღინიშნა თბილისში. 2021 და 2023 წლებში სინჯებში დარღვევები არ დაფიქსირებულა, რაც შეიძლება აიხსნას კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მაღალტექნოლოგიურ ლაბორატორიაში მიმდინარე უწყვეტი შიდა კონტროლისა და მონიტორინგის ეფექტურობით. 2023 წელს საქართველოს ყველა რეგიონში (თბილისის გარდა) დაფიქსირებული დარღვევების პროცენტული რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა, როგორც სინჯების რაოდენობის მკვეთრი ზრდა, ისე სინჯებში, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს სინჯების რაოდენობის ზრდით განპირობებულ შედეგების სიზუსტეს.

რეკომენდაციის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია, დედაქალაქის სასმელი წყლის შიდა კონტროლისა და მონიტორინგის საუკეთესო პრაქტიკა ხელმისაწვდომი გახდეს რეგიონების წყალმომარაგების პრაქტიკაში, რაც, სავარაუდოდ, კანონზომიერად აისახება მომავალში სასმელი წყლის ხარისხის სახელმწიფო კონტროლის შედეგებში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კვერენჩილაძე რ. ბუნებრივი გარემოს ჰიგიენა. თბილისი: თსსუ. 21-22 გვ. 2019 წ.
2. საქართველოს მთავრობის დადგენილება N26, 2014 წლის 3 იანვარი, ქ. თბილისი, ტექნიკური რეგლამენტის „წყლის სინჯის აღების სანიტარული წესების“ დამტკიცების შესახებ.
3. საქართველოს მთავრობის N58 დადგენილება 2013 წლის 15 იანვარი, სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ.
4. Diarrhoeal disease. <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/diarrhoeal-disease>
5. Technical Guide on Drinking Water Quality Monitoring. Washington, DC: University of North Carolina and Save the Children PRO-WASH. 2022.
6. WORLD WATER RESOURCES BY COUNTRY. <https://www.fao.org/4/y4473e/y4473e08.htm>

*ლალი ბაქრაძე, სალომე ბეზარაშვილი, გენადი კვერენჩილაძე, ნატო ხუნაშვილი, ქეთევან მურჯიკნელი, ეთერ ნიკლაური*

**საქართველოში სასმელი წყლის ხარისხის სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის ტენდენციები**

თსსუ, კვების, ასაკობრივი მედიცინის, გარემოსა და პროფესიული ჯანმრთელობის დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო

**რეზიუმე**

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სასმელი წყლის ხარისხის სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის დინამიკისთვის დამახასიათებელი ტენდენციების შესწავლის მიზნით ჩატარებულია წყლის ხარისხის სახელმწიფო მონიტორინგის მონაცემების მეორადი ჰიგიენური ანალიზი 2020-2023 წლებისთვის. გამოვლენილია მონიტორინგის დადებითი დინამიკა წყლის სინჯების რაოდენობის განუხრელი ზრდის ხარჯზე, როგორც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, ისე საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში (დედაქალაქის გარდა), დასავლეთ საქართველოს გარკვეული უპირატესობით. გამოთვლილია სინჯებში გამოვლენილი წყლის ხარისხის დარღვევის ხვედრითი წილი წლებისა და რეგიონების მიხედვით. დადგენილია, რომ ტექნიკურ რეგლამენტთან წყლის ხარისხის შეუსაბამობის ძირითადი ტიპია მიკრობიოლოგიური დარღვევები. შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები.



ნინო ქურდიანი<sup>1</sup>, ალიოშა ბაკურიძე<sup>1</sup>, ნინო ცაგარეიშვილი<sup>1</sup>,  
სერიოჟა მარაბიანი<sup>1</sup>, ქეთევან ჩიჩუა<sup>2</sup>

## კომპლექსური შემადგენლობის ორომუკოადჰეზიური ფირფიტების ფორმულაცია და ტექნოლოგია

<sup>1</sup>თსუ, ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო;

<sup>2</sup>ევროპის უნივერსიტეტი, სტომატოლოგიის პროგრამა, თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.01.26>

*NINO KURDIANI<sup>1</sup>, ALIOSHA BAKURIDZE<sup>1</sup>, NINO TSAGAREISHVILI<sup>1</sup>,  
SERIOJA MARABIAN<sup>1</sup>, KETEVAN CHICHUA<sup>2</sup>*

## FORMULATION AND TECHNOLOGY OF OROMUCOADHESIVE PLATES OF COMPLEX COMPOSITION

<sup>1</sup>Tbilisi State Medical University, Department of Pharmaceutical Technology, Tbilisi, Georgia;

<sup>2</sup>European University, Dentistry program, Tbilisi, Georgia

### SUMMARY

One of the most frequent diseases is inflammation in the oral cavity. Among them, stomatitis is the leading cause of inflammation of the mucous membranes. The most efficient form of treatment in this process is local and systemic forms. Oral films are perceived as the most effective and rational forms, it adheres to the mucous membrane, which ensures a much higher pharmacological effect.

Based on theoretical and experimental studies, rosehip oral mucoadhesive films (rosehip oil-2g, acyclovir-1g, sodium KMC-2g, sodium alginate-2,0, glycerin-3g, aqueous chamomile extract-up to 100g) and the technology were developed, which has prolonged, antiseptic, antiviral, and anti-inflammatory effects. Additionally, its standardization indicators were also studied: organoleptic characteristics - a film color is yellow, it is homogeneous and does not contain mechanical inclusions and air bubbles; Dimensions -  $1\pm 0.021\text{cm} \times 1\text{cm} \pm 0.1\text{cm} \times 0.146\pm 0.01$ ; pH: 7.2; Adhesion test: the film sticks to the finger when pressed with a (wet) thumb; Bendability test - satisfactory (folding 50 times); Air permeability -  $98.987\text{g/m}^2\text{h}$ ; loss in mass - 8.5%; moisture absorption rate-8%; Strength -  $28.1\pm 1.26\text{ N/m}^2 \times 10^5$ . The release of the substance is determined using Franz diffusion cells. Quantification of the active substance-acyclovir was done by spectrophotometric method at 255 nm wavelength, full release time – 110mn

**Keywords:** formulation, technology, oromucoadhesive plates, complex composition

პირის ღრუს ანთებითი დაავადებები ერთ-ერთ გავრცელებულ დაავადებათა რიგს მიეკუთვნება და განსაკუთრებულ ადგილს მათ შორის ლორწოვანი გარსის ანთებითი დაავადება - სტომატიტი იკავებს. დაავადების მკურნალობის მიზნით მიზანშეწონილია კომპლექსური მოქმედების - მცენარეული და სინთეზური ინგრედიენტების შემცველი კომპოზიციის გამოყენება. ფიტოპრეპარატებიდან ამ მხრივ ინტერესს ასკილის ზეთი და გვირილას ექსტრაქტი იწვევს.

ასკილის ზეთი - მდიდარია კაროტინებით, ზრდის ლორწოვანი გარსის იმუნიტეტს, აუმჯობესებს ლორწოვანი უჯრედების პროლიფერაციასა და უჯრედულ მემბრანებში შეღწევადაობას, აქვს გამობატული ანტიმიკრობული და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება. სტომატიტის დროს რეკომენდებულია ასკილის ზეთით შესველებული დოლბანდის საფენების გამოყენება.

გვირილა - ეთერზეთის შემადგენლობაში შემავალი ხამაზულენი ხასიათდება ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო თვისებებით, რის გამოც იგი ფართოდ გამოიყენება სტომატოლოგიაში სტომატიტის, გინგივიტისა და პაროდონტოზის სამკურნალოდ.

აცეკლოვირი ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებული სამკურნალო საშუალებაა ჰერპეს ვირუსებით (Herpes simplex) გამოწვეული ინფექციების დროს - ამცირებს დაავადების სიმძიმეს, ხელს უწყობს განვითარებული წყლულების სწრაფად შეხორცებას, ამცირებს ტკივილსა და ქავილის შეგრძნებას.

სტომატიტის სამკურნალოდ გამოყენებულია როგორც ადგილობრივი, ასევე სისტემური მოქმედების პრეპარატები, თუმცა საწყის სტადიაზე სწორედ ადგილობრივი მოქმედების პრეპარატები ასრულებს განსაკუთრებულ როლს. ფარმაცევტულ ბაზარზე ისინი ძირითადად გელებს, მალამოებისა და სავლებების სახითაა წარმოდგენილი და ხანმოკლე დროის განმავლობაში ამულავენებენ თერაპევტულ ზემოქმედებას, აქედან გამომდინარე სულ უფრო აქტუალური ხდება ახალი თაობის პრეპარატების შემუშავება, რომლებიც ხასიათდებიან პროლონგირებული ეფექტით და მიზანმიმართულად მოქმედებენ დაავადების კერაზე. ასეთ ფორმათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ფირფიტებს [1,2].

ფირფიტები მოსახერხებელია გამოსაყენებლად და მისაღებია ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის. მარტივია მომზადების ტექნოლოგია, რადგან არ საჭიროებს სხვადასხვა სახის დამხმარე ნივთიერებებისა და აღჭურვილობის დიდ რაოდენობას, ფირფიტები არატოქსიურია და ბიოთავსებადი, ფიქსირდება სხეულის საჭირო ნაწილზე, ბოლომდე იხსნება მინიმალურ ბიოსითხეში და უზრუნველყოფს აქტიური ინგრედიენტის სრულ გამოთავისუფლებას, ხოლო მოქმედი ნივთიერებების მოდელირებისა და ბიოშელწვადობის შესაძლებლობა ამ ფორმას კონკურენტუნარიანსა და პერსპექტიულს ხდის [3].

**კვლევის მიზანს წარმოადგენს** ასკილის ზეთის, გვირილას წყლიანი გამონაწვლილისა და აციკლოვირის შემცველი ორომუკოაღჭმეური ფირფიტების ფორმულაციის განსაზღვრა, ტექნოლოგიის დამუშავება და ბიოფარმაცევტული შეფასება.

**კვლევის ობიექტები და მეთოდები.** კვლევის ობიექტებს წარმოადგენს აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტები (ასკილის ზეთი, გვირილას წყლიანი გამონაწვლილი და აციკლოვირი), დამხმარე ნივთიერებები (ნატრიუმის ალგინატი, ცელულოზას წარმოებულები, პოლივინილპიროლიდონი, პოლივინილის სპირტი, პოლიეთილენგლიკოლი-400, უელატინი, გლიცერინი და სხვ.) და მზა ფორმა - ფირფიტების სახით.

კვლევის მეთოდებად გამოყენებული იქნა ტექნოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური და ბიოფარმაცევტული კვლევის მეთოდები. გვირილას ყვავილებისგან წყლიანი გამონაწვლილი მომზადდა ცხელი წესით - 90°C ტემპერატურაზე, ნედლეულისა და ექსტრაგენტის 1:10 თანაფარდობით, 120 წუთის განმავლობაში. სამკურნალო ფირფიტის მისაღებად გამოყენებულია ჩამოსხმის მეთოდი.

**შედეგები.** წინასწარი კვლევების შედეგად შემუშავებული იქნა ფირფიტების 10 ფორმულაცია (ცხრილი N1).

№1,2,3 ფორმულაციებში - ეთილის 40% სპირტისა და დიმექსიდის დამატებამ უზრუნველყო ფირფიტის ერთგვაროვნება, თუმცა სპირტის შემთხვევაში ეკვროდა ფიალას, ხოლო დიმექსიდის დამატების შედეგად მასა უფრო მსხვრევადი და არაელასტიკური გახდა.

№4 ფორმულაციით მომზადებული ფირფიტა პლასტიკური იყო, ნებვადი, თუმცა ნაკლებად მტკიცე.

№5,6,7- კომბინაციები დამაკმაყოფილებელი იყო თითქმის ყველა საწყისი მაჩვენებლით, რომელიც პირველადი შერჩევის კრიტერიუმად იქნა მიღებული.

№8,9 - მხოლოდ ნატრიუმის ალგინატზე, როგორც აპკნარმომქმნელზე მომზადებული ფირფიტა, საშუალებას იძლეოდა მისი კონცენტრაციის გაზრდისა 3%-მდე, რაც საინტერესო იყო ამ ნივთიერების თვისებებიდან გამომდინარე - ის აჩქარებს ჭრილობების შეხორცების პროცესს და

აქვს ანთებისსანინალმდევო მოქმედება. მიღებული ფირფიტები ხასიათდებოდა კარგი ელასტიკურობით, წებვადობით, თუმცა სიმტკიცის თვალსაზრისით ჩამოუვარდებოდა სხვა კომბინაციებს.

№10 ფორმულაცია პოლივინილის სპირტით, რომელიც ფართოდ გამოიყენება ფირფიტების წარმოებაში სტაბილიზატორად, შემასქელებლად და პროლონგატორად, მიღებული იქნა საკმაოდ მტკიცე ფირფიტები, მაგრამ ნაკლები წებვადობის უნარით.

### ცხრილი N1. საკვლევი ფირფიტების ფორმულაციები

FN <sup>o</sup>	შემადგენლობა, (%)												
	ასკოლის ფითი	გვირილას გამ.	აქიკლოვინი	მეთილსე ლულობა	Na კმც	პოლივინილში როლიდონი	უელტინი	პოლივინილის სპირტი	გლიცერინი	პეგ-400	Na ალგინატი	ეთილის სპირტი 40%	დიმექსიდი
1	2,0	93.0	1,0	1	-	0.1	2.4	-	0.5	-	-	-	-
2	2,0	84.9	1,0	1	-	0.1	2.4	-	-	0,5	-	8	0.1
3	2,0	92.9	1,0	1	-	0.1	2.4	-	0.5	-	-	-	0.1
4	2,0	67.0	1,0	-	3	-	-	-	2	-	-	25	-
5	2,0	90.4	1,0	-	1	1.6	-	-	3	-	1	-	-
6	2,0	92.5	1,0	-	0.5	-	-	-	2	-	2	-	-
7	2,0	90.0	1,0	-	2	-	-	-	3	-	2	-	-
8	2,0	92.0	1,0	-	-	-	-	-	2	-	3	-	-
9	2,0	90.0	1,0	-	-	-	-	-	4	-	3	-	-
10	2,0	79.2	1,0	-	-	-	-	10	2.8	-	-	5	-

ჩატარებული კვლევების საფუძველზე შერჩეულ იქნა ფორმულაცია №5,6,7. შემდგომი შერჩევის კრიტერიუმად გამოყენებულ იქნა ფირფიტის ხარისხის განმსაზღვრელი შემდეგი მახასიათებლები: pH, ფირფიტის სისქე და ტენშემცველობა, რომელთა მნიშვნელობები წარმოდგენილია №2 ცხრილში.


### ცხრილი №2. №5,6,7 ფორმულაციებიდან მომზადებული ფირფიტების ხარისხის მაჩვენებლების განსაზღვრის შედეგები

ფორმულა №	მახასიათებლები			
	pH	სისქე, (სმ)	ტენშემცველობა, %	გახსნის დრო, (წთ)
5	7.7	0.106±0.002	8,9±0,1	40
6	6.3	0.109±0.015	9.2±0,32	55
7	6.5	0.108±0.001	6,2±0,96	30

მოცემული შედეგებიდან გამომდინარე, ყველა მაჩვენებელი შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, თუმცა გახსნის დროის გათვალისწინებით შერჩეული იქნა №7 კომპოზიციიდან მომზადებული ფირფიტები.

კვლევის შემდეგ ეტაპზე განისაზღვრა N7 ფორმულაციიდან მომზადებული ფირფიტების მექანიკური სიმტკიცე. შედეგები ასახულია N1 გრაფიკზე.


გრაფიკი 1. N7 ფორმულაციისგან მომზადებული ფირფიტის მექანიკური სიმტკიცის განსაზღვრის შედეგები



მოყვანილი მონაცემებიდან (გრაფიკი 1) ირკვევა, რომ ფირფიტა მექანიკურად მტკიცეა, რაც მიუთითებს მის კარგ სამომხმარებლო თვისებაზე და გამოყენების პროცესში მთლიანობის შენარჩუნებაზე.

კვლევის ფინალურ ეტაპზე შევისწავლეთ N7 ფორმულაციიდან მომზადებული ფირფიტებისგან აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტის - აციკლოვირის გამოთავისუფლების დინამიკა ფრანცის დიფუზური უჯრედების გამოყენებით. რაოდენობრივი განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა სპექტროფოტომეტრული მეთოდი 255 ნმ ტალღაზე, სრული გამოთავისუფლების დრო შეადგენდა 110 წთ-ს (გრაფიკი 2).

გრაფიკი 2. N7 ფორმულაციიდან მომზადებული ფირფიტებისგან აციკლოვირის გამოთავისუფლების პროფილი



ასკილის ზეთის, გვირილას წყლიანი გამონაწვლილისა და აციკლოვირის შემცველი ფირფიტების სტანდარტიზაციის შედეგები მოყვანილია N3 ცხრილში.



**ცხრილი N3. კომპლექსური შემადგენლობის ორომუკოაღჭებური ფირფიტების  
სტანდარტიზაციის შედეგები**

მახასიათებელი	შედეგი
გარეგნული მახასიათებლები	მოყვითალო შეფერილობის ფირფიტა, ერთგვაროვანი, არ შეიცავს მიქანიკურ ჩანართებს და ჰაერის ბუშტუკებს
ზომები	სიგრძე, სიგანე, სისქე - $1\pm 0,021\text{სმ} \times 1\text{სმ}\pm 0,1\text{სმ} \times 0,146 \pm 0,015\text{სმ}$
pH:	7.2
წებვალობა:	ფირფიტა ცერა თითით (შესველებული) გენოლისას ეკვრის თითს.
კეცვალობა	დამაკმაყოფილებელი (50 ჯერადი გადაკეცვა)
აირგამტარობა	98.987გ/მ <sup>2</sup> სთ
მასაში დანაკარგი	8.5%
ტენის შთანთქმის მაჩვენებელი	8%
სიმტკიცე (ტენზიომეტრული მეთოდი)	28,1±1,26 H/M 2 ×10 <sup>5</sup>

**დასკვნები :**

- თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე შემუშავებულია ასკილის ორომუკოაღჭებური ფირფიტების შემადგენლობა: ასკილის ზეთი-2.0გ, აციკლოვირი-1.0გ, ნატრიუმის კმც-2.0გ, ნატრიუმის ალგინატი-2,0გ, გლიცერინი-3.0გ, გვირილას წყლიანი გამონაწვლილი - 100გ-მდე;
- გახანგრძლივებული, მუკოაღჭებური ეფექტის მისაღწევად შერჩეულია ფუძის ისეთი კომპონენტები, რომელიც არ გააღიზიანებს პირის ღრუს ლორწოვან გარსს, ექნება კარგი ადგეზიის უნარი და გახანგრძლივებული მოქმედება;
- შესწავლილი იქნა მზა პროდუქტის კეთილხარისხოვნების მაჩვენებლები.

**References:**

1. Ahuja A, Khar RK, Ali J. Mucoadhesive drug delivery systems Drug Dev Ind Pharm. 1997;23:489–515
2. Albrecht K, Zirm EJ, Palmberger TF, Schlocker W, Bernkop-Schnurch A. Preparation of thiomers microparticles and *in vitro* evaluation of parameters influencing their mucoadhesive properties Drug Dev Ind Pharm. 2006;32:1149–57
3. Bruschi ML., Freitas O. Oral bioadhesive drug delivery systems. Drug Ind. Pharm. 2005;31(3):293-310.

*ნინო ქერდიანი<sup>1</sup>, ალიოზა ბაკურიძე<sup>1</sup>, ნინო ცაგარეიშვილი<sup>1</sup>,  
სერიოჟა მარაბიან<sup>1</sup>, ქეთევან ჩიჩუა<sup>2</sup>*

**კომპლექსური შემადგენლობის ორომუკოაღჭებური ფირფიტების  
ფორმულაცია და ტექნოლოგია**

<sup>1</sup>თსსუ, ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო;

<sup>2</sup>ევროპის უნივერსიტეტი, სტომატოლოგიის პროგრამა, თბილისი, საქართველო

**რეზიუმე**

შემუშავებული იქნა კომპლექსური მოქმედების ასკილის ორომუკოაღჭებური ფირფიტების ფორმულაცია (ასკილის ზეთი-2.0გ, აციკლოვირი-1.0გ, ნატრი კმც-2.0გ, ნატრიუმის ალგინატი-2,0გ, გლიცერინი-3.0გ, გვირილას წყლიანი გამონაწვლილი-100გ-მდე) და ტექნოლოგია.

შესწავლილი იქნა პრეპარატის შემდეგი კეთილხარისხოვნების მაჩვენებლები: ზომები:  $1 \pm 0,021 \text{ სმ} \times 1 \text{ სმ} \pm 0,1 \text{ სმ} \times 0,146 \pm 0,01$ ; pH: 7.2; ნებვალობა-დამაკმაყოფილებელი, კეცვალობა-დამაკმაყოფილებელი (50 ჯერადი); აირგამტარობა -  $98.987 \text{ გ/მ}^2 \text{ სთ}$ ; მასაში დანაკარგი-8.5%; ტენის შთანთქმის მაჩვენებელი-8%; სიმტკიცე- $28,1 \pm 0,4 \text{ ნ/მ}^2$ ; აციკლოვირის რაოდენობრივი განსაზღვრა მოხდა სპექტროფოტომეტრული მეთოდით 255 ნმ ტალღაზე, სრული გამოთავისუფლების დრო 110-წთ.



*თეა კაციტაძე<sup>1</sup>, ნატო კორსანტია<sup>2</sup>, ლელა ბერიძე<sup>3</sup>, ნინო ადამაშვილი<sup>2</sup>,  
თინათინ ბოჭორიშვილი<sup>4</sup>, ალექსანდრე კაციტაძე<sup>2</sup>*

**IL-17-ის ოჯახის ციტოკინების იმუნოლოგიური და იმონოპათოლოგიური ასპექტები, IL-17-ის ინჰიბიტორის - სეკუკინუმების გამოყენება პაციენტებში ფსორიაზით**  
<sup>1</sup>შპს “ჯანმრთელობის ინსტიტუტი”, <sup>2</sup>თსსუ კანისა და ვენსნეულებათა დეპარტამენტი, <sup>3</sup>ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო, <sup>4</sup>ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა; საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.01.27>

*TEA KATSITADZE<sup>1</sup>, NATO KORSANTIA<sup>2</sup>, LELA BERIDZE<sup>3</sup>, NINO ADAMASHVILI<sup>2</sup>,  
TINATIN BOCHORISHVILI<sup>4</sup>, ALEXANDER KATSITADZE<sup>2</sup>*

**THE IL-17 FAMILY OF CYTOKINES IMMUNOLOGICAL AND IMMUNOPATHOLOGICAL ASPECTS, PSORIASIS TREATMENT WITH IL-17 INHIBITOR – SECUKINUMAB**

<sup>1</sup>“Health Institute” LTD, <sup>2</sup>TSMU Department of Dermatology and Venereology, <sup>3</sup>Batumi Republic Clinical Hospital, <sup>4</sup>Simon Khechinashvili University Clinic; Georgia

### SUMMARY

IL-17 refers to a family of proteins that play critical role against bacterial and fungal infections and in the pathogenesis of autoimmune diseases. Skin diseases in which interleukin-17 is involved or is thought to be involved is psoriasis. Psoriasis is a chronic inflammatory skin condition characterized by epidermal hyperplasia. The role of new therapeutic agents – biological agents, mAbs or monoclonal antibodies - designed to manage psoriasis has been growing and becoming increasingly important in recent years. Secukinumab is a new biological agent targeting interleukin 17. This is a fully human monoclonal antibody IgG1/kappa isotype, which has been registered on the Georgian market since 2021 and is effectively used for the treatment of both psoriasis and psoriatic arthritis. The drug has a commendable safety profile and long-lasting clinical effect.

**Keywords:** IL-17 family, monoclonal antibodies, psoriasis, secukinumab.

IL-17-ის ოჯახში შემავალ პროტეინებს აქვთ მნიშვნელოვანი როლი ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციების წინააღმდეგ. ამასთანავე, ისინი მონაწილეობენ რიგი აუტოიმუნური დაავადების განვითარების პათოგენეზში. IL-17-ის ოჯახში შედის 6 ციტოკინი (ინტერლეიკინი 17A-დან 17F-მდე) და 5 რეცეპტორი (ინტერლეიკინი 17RA-დან 17RE-მდე) [1]. ინტერლეიკინი 17A, 17F და 17 A/F ჰეტეროდიმერული ლიგანდებია, რომელთაც აქვთ საერთო რეცეპტორი - ინტერლეიკინი 17RA სიგნალის გადაცემისთვის.

IL-17-ის სინთეზს ახორციელებს CD4 -ის ქვეჯგუფის უჯრედები-Th17 ანუ T ჰელპერები. ისინი ძირითადად გამოიყენებიან გააქტიურებული CD4+ და CD8+ T ლიმფოციტებით, ინტერლეიკინი 6-

ის და ზრდის ფაქტორის - ტრანსფორმერ ბეტას ზეგავლენით. მათი რეცეპტორები გვხვდება სხვადასხვა ტიპის უჯრედებზე. გარდა ამისა, ინტერლეიკინ 17 ასევე გამოიშავდება მასტოციტებისა და ნეიტროფილების მიერ. მის ეფექტს აძლიერებს სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი ალფა [1]. IL-17 პროანთებითი ციტოკინია, რადგან აინდუცირებს ანთებითი მედიატორების ექსპრესიას, რომლებიც ჩართულები არიან ნეიტროფილების პროლიფერაციის, მატურაციის და ქემოტაქსის პროცესში. IL-17A და IL-17F იცავენ კანის, ფილტვებისა და პირის ღრუს ეპითელიუმს ინფექციებისგან [2,3]. IL-17RA/RC რეცეპტორების ტრანსუჯრედული დაღმავალი სიგნალები იწვევენ ანტიმიკრობული პეპტიდების, მათ შორის ბეტა-დამცველების, ექსპრესიას. IL-17 IL-22-თან ერთად ასტიმულირებს კერატინოციტების მიერ ანტიმიკრობული პეპტიდების სინთეზს [3]. IL-17A და IL-17F ახდენენ ინტერლეიკინ-6-ის ინდუქციას, ასევე ასტიმულირებენ სხვადასხვა ფაქტორს, როგორცაა: G-CSF (გრანულოციტების კოლონიების მასტიმულირებელი ფაქტორი), IL-1 $\beta$ , TGF- $\beta$  (ზრდის ფაქტორის ტრანსფორმერი-ბეტა), TNF- $\alpha$  (სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი-ალფა), ქემოკინები, როგორცაა ინტერლეიკინ 8, პროსტაგლანდინები, როგორცაა PGE2, მატრიქსის მეტალოპროტეინაზები (MMP) [3]. აქედან გამომდინარე, IL-17-ს აქვს ანთების საწინააღმდეგო და დამცავი თვისებები. ინტერლეიკინ 17-ის ოჯახის ციტოკინები იღებენ მონაწილეობას ისეთი პათოგენების მიმართ ორგანიზმის დაცვაში, როგორებიცაა: ეპიდერმისის ზედაპირზე არსებული ოქროსფერი სტაფილოკოკი და კანდიდა ალბიკანსი [4]. მკურნალობის მეთოდებს, რომლებიც ბლოკავენ IL-17A და IL-17RA სიგნალს შეუძლიათ გაამწვავონ ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები [5]. ამავე ციტოკინებს შესაძლებელია ჰქონდეთ ფუნქციები კანის მიღმა. არსებობს თავგებობე ჩატარებული კვლევები, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ციტოკინები ხასიათდებიან დამცველობითი უნარით ცენტრალური ნერვული სისტემის ანთებითი დაავადებების დროს და ასევე მონაწილეობენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანტიჰელმინთურ დაცვაში [6,7]. ამასთანავე, ინტერლეიკინ 17A, 17F 17A/F ჭარბი გამოიშავება შეიძლება კავშირში იყოს ქსოვილების დაზიანებასთან და აუტოიმუნურ დაავადებებთან, მათ შორის კანის ანთებით დაავადებებთან, როგორცაა: ფსორიაზი, ატოპიური დერმატიტი, ალერგიული კონტაქტური დერმატიტი, კანის წითელი მგლურა [8].

კანის დაავადება, სადაც ინტერლეიკინ 17 არის ჩართული ან ფიქრობენ რომ არის ჩართული - ფსორიაზი. ფსორიაზი კანის ქრონიკული ანთებით-პროლიფერაციული მდგომარეობაა. მას ახასიათებს ერთემატობული ბალოები, რომლებიც დაფარულია ვერცხლისფერი ქერცლებით. გამონაყარი განსაკუთრებით გავრცელებულია გამშლელ ზედაპირებზე, სკალპსა და ლუმბოსაკრალურ მიდამოში [11-13]. დაავადებამ ასევე შეიძლება დააზიანოს სახსრები. ფსორიაზს ახასიათებს რემისიები და გამწვავებები. ფსორიაზის მქონე ბევრ პაციენტს უვითარდება დეპრესია, რადგან მათი ცხოვრების ხარისხი და თვითშეფასება დაბალია. არსებობს ფსორიაზის რამდენიმე ქვეტიპი. მათგან ყველაზე გავრცელებული ბალთოვანი ფსორიაზია. ფსორიაზის პრევალენტობა მერყეობს 0.2%-დან 4.8%-მდე [14]. ამ ნოზოლოგიის ზუსტი ეტიოლოგია უცნობია, მაგრამ ფსორიაზი ითვლება აუტოიმუნურ დაავადებად, რომელსაც შუამავლობს T ლიმფოციტები. არსებობს HLA ანტიგენების ასოციაცია ბევრ ფსორიაზიულ პაციენტში, განსაკუთრებით სხვადასხვა რასობრივ და ეთნიკურ ჯგუფში. ოჯახური მოვლენა მიუთითებს მის გენეტიკურ მიდრეკილებაზე. დაზიანება - მექანიკური, ქიმიური და რადიაციული ტრავმის სახით, იწვევს ფსორიაზის პროვოცირებას. ზოგიერთი მედიკამენტი, როგორცაა: ქლოროქინი, ლითიუმი, ბეტა-ბლოკატორები, სტეროიდები და არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები, რიგ შემთხვევებში აუარესებს ფსორიაზის მიმდინარეობას. ზაფხულში ფსორიაზი ხშირ შემთხვევებში უმჯობესდება, ზამთარში კი მწვავდება. ზემოაღნიშნულის გარდა, ფსორიაზის მაპროვოცირებელ სხვა ფაქტორებს მიეკუთვნება: ინფექციები, ფსიქოლოგიური სტრესი, ალკოჰოლი, მონევა, სიმსუქნე და ჰიპოკალციემია [15]. ფსორიაზის

ბალთებში ნანახია ინტერლეიკინ 17 და Th17-თან დაკავშირებული ციტოკინები: ინტერლეიკინ 22, ინტერლეიკინ 23. ფსორიაზის სამართავად შექმნილი ახალი თერაპიული საშუალებების - ბიოლოგიური აგენტების, მათგან ანუ მონოკლონური ანტისხეულების როლი, ბოლო წლებში სულ უფრო მზარდი და მნიშვნელოვანია. ისინი ზეგავლენას ახდენენ ანთების განვითარების ძირითად გზებზე, როგორც ფსორიაზით, ასევე ფსორიაზული ართრიტით დაავადებულ პაციენტებში [9,10].

ზოგადად, მონოკლონური ანტისხეულები (mAbs) არის ლაბორატორიაში წარმოებული მოლეკულები, რომლებიც იმუნური სისტემის მსგავსად ებრძვიან მავნე პათოგენებსა და დაავადებულ უჯრედებს [17]. ეს ანტისხეულები შექმნილია სპეციფიკური ანტიგენების, ანუ სამიზნის მიმართ მაღალი სიზუსტით, რაც გვთავაზობს ძლიერ და მიზანმიმართულ თერაპიულ მიდგომას სხვადასხვა სამედიცინო მდგომარეობისთვის [18]. მონოკლონურმა ანტისხეულებმა მოახდინეს რევოლუცია მედიცინაში სხვადასხვა დაავადების მკურნალობასთან მიმართებაში. მათ შორის: კიბოს, აუტოიმუნური დარღვევების, ინფექციური დაავადებების და სხვა. მათი სპეციფიკა და მრავალფეროვნება კლინიკისთვის აძლევს ფასდაუდებელ შესაძლებლობებს როგორც სამედიცინო გამონგვევებთან საბრძოლველად [19].

მონოკლონური ანტისხეულების შექმნა ხდება 4 სხვადასხვა გზით, რაც მათ სახელწოდებებშიც აისახება:

- თაგვის: დამზადებულია თაგვის ცილებისგან და ბოლოვდება სუფიქსით - omab-ი
- ქიმიური: ეს არის ნაწილი თაგვის და ნაწილი ადამიანის - ცილების კომბინაცია და ბოლოვდება - ximab-ით.
- ჰუმანიზებული: ისინი მზადდება თაგვის ცილების მცირე ნაწილისგან, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის ცილებთან და დაბოლოება მთავრდება - zumab-ით.
- ადამიანის: ეს არის მთლიანად ადამიანის ცილები და ბოლოვდება - umab-ით.

მონოკლონურ ანტისხეულებს აქვთ "Y- ფორმის" სტრუქტურა, რომელიც შედგება ოთხი პოლიპეპტიდური ჯაჭვისგან: ორი იდენტური მძიმე და ორი იდენტური მსუბუქი ჯაჭვი. მონოკლონური ანტისხეულების მთლიანი მოლეკულური წონა დაახლოებით 150 kDa. "Y"-ის ორ განშტოებულ ნაწილს ეწოდება Fab (ანტიგენის დამაკავშირებელი ფრაგმენტი) რეგიონი, რომელიც შეიცავს ცვლად ღომენს და პასუხისმგებელია ანტიგენის შეკავშირებაზე. "Y"-ის ქვედა ღეროს ეწოდება Fc (ფრაგმენტის კრისტალიზებადი) რეგიონი, რომელიც განსაზღვრავს ანტისხეულების კლასს/იზოტიპს და ეფექტორული ფუნქციების შუამავალია. Fab რეგიონი შეიცავს კომპლემენტარობის განმსაზღვრელ რეგიონებს (CDRs), რომლის საშუალებითაც ანტისხეული უკავშირდება ანტიგენის სპეციფიკურ ეპიტოპს მაღალი აფინურობით. მძიმე ჯაჭვი ქმნის "Y"-ის ქვედა ნაწილს და არის მუდმივი რეგიონი, ხოლო მსუბუქი ჯაჭვი ქმნის ზედა მკლავებს და არის ცვლადი რეგიონი [15-18]. პრაქტიკულად ყველა თერაპიული ცილა, რომელიც ცნობილია, როგორც ბიოლოგიური წამალი, იწვევს იმუნურ პასუხს ADAs-ს (Anti Drug Antibody) ანუ წამლის სანაღმდეგო შესაბამისი ანტისხეულების წარმოქმნას. ეს ფენომენი არის კონკრეტული ადაპტური იმუნური პასუხის შედეგი T და B ლიმფოციტების მონაწილეობით. ამ ანტისხეულების უმეტესობა მიმართულია მათგან ანტიგენთან დამაკავშირებელი ადგილის წინააღმდეგ და შესაბამისად, ცვლის მედიკამენტის ფარმაკოკინეტიკას და ფარმაკოდინამიკას, რაც ამცირებს მათ კლინიკურ ეფექტს. არსებობს მეორე კატეგორიის - არა გამანეიტრალებელი ADA, რომლის დროსაც წამლის შეკავშირების ადგილი ანტიგენთან არ იცვლება, მაგრამ წამლის ზედაპირზე იმუნური სისტემის მხრიდან ხდება სხვა ეპიტოპების ამოცნობა, რაც შეიძლება იყოს არასასურველი გვერდითი ეფექტების განვითარების მიზეზი [21]. ამ ფაქტით აიხსნება ის გარემოებაც, თუ რატომ არის მთლიანად ადამიანის მონოკლონური ანტისხეულებშიც კი, მაღალი იმუნოგენურობის რისკი [18]. ეს მოვლენა, თავის მხრივ, რჩება დიდ გამონგვევად მათგან მკურნალობის პროცესში.



ინტერლეიკინ 17-ის მახლოვირებელი მონოკლონური ანტისხეულები: სეფეკინუმაბი და იქსეკინუმაბი და IL-17RA სამიზნე ანტისხეული ბროდალუმაბი ხასიათდებიან მაღალი ეფექტურობით ფსორიაზის მიმართ და რიგ შემთხვევებში ხასიათდებიან გამონაყარის სრული აღადგენით [16]. სეფეკინუმაბი - ინტერლეიკინ 17-ის სამიზნე ახალი ბიოლოგიური აგენტი. ეს არის სრულად ადამიანის მონოკლონური ანტისხეული IgG1/kappa იზოტიპი, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოს ბაზარზე 2021 წლიდან და ეფექტურად გამოიყენება, როგორც ფსორიაზის, ასევე ფსორიაზული ართრიტის სამკურნალოდ.

უახლეს ლიტერატურაში სეფეკინუმაბი მოიხსენიება, როგორც - 'a new kid on the block'. ბევრმა კლინიკურმა კვლევამ აჩვენა მისი ეფექტურობა ბალთოვანი ფსორიაზის და ფსორიაზული ართრიტის მკურნალობაში 2015 წელს. იგი გამოირჩევა სანაქებო უსაფრთხოების პროფილით [19]. სეფეკინუმაბის სამიზნე არის IL-17A, რომლის შეკავშირებაც წამლის მოქმედების გამო ვეღარ ხორციელდება IL-17R რეცეპტორთან და შესაბამისად აღარ ხდება ციტოკინების ექსპრესია. ეს ბლოკადა ახდენს ანთებითი პროცესების ნორმალიზებას და ამით ებრძვის ეპიდერმულ ჰიპერპროლიფერაციას, T-უჯრედების ინფილტრაციას და პათოგენური გენების გადაჭარბებულ ექსპრესიას [20].

სეფეკინუმაბი არის ეფექტური და უსაფრთხო მედიკამენტი, სწრაფი და ხანგრძლივი კლინიკური შედეგით ფსორიაზის სხვადასხვა ფორმის სამკურნალოდ. სეფეკინუმაბით მკურნალობისას ADAs განვითარების რისკი შედარებით დაბალია, რასაც მონაშობენ კლინიკური კვლევები. ქრონიკული ბალთოვანი ფსორიაზის სეფეკინუმაბით მკურნალობის მესამე ფაზის კლინიკური კვლევის პაციენტების მხოლოდ 0.4%-ში (10/28420) დაფიქსირდა ADAs-ს განვითარება. თუმცა, წამლის მიმართ არსებული ანტისხეულების უმეტესობა არ იყო მანიტრალიზირებული და შესაბამისად არ გამოუწვევია პრეპარატის ფარმაკოკინეტიკის, უსაფრთხოების და ეფექტურობის მოდიფიკაცია [22]. ახლახანს Reich-მა და სხვა ავტორებმა გამოაქვეყნეს სეფეკინუმაბის იმუნოგენურობის შეფასების 5 წლიანი დაკვირვების შედეგები 1821 პაციენტზე, რომლის მიხედვითაც ADAs - წამლის მიმართ განვითარებული ანტისხეულების სიხშირე ყოველწლიურად 1%-ზე ნაკლები იყო.

დასკვნის სახით მკვლევარებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ანტისხეულების არც ტიტრი და არც ტიპი არ ახდენს გავლენას სეფეკინუმაბის ეფექტურობაზე, უსაფრთხოებასა და ფარმაკოკინეტიკაზე [23]. კვლევებით სეფეკინუმაბი შეფასებულია, როგორც პირველი რიგის თერაპიული აგენტი: საშუალო და მძიმე ფორმის ბალთოვანი ფსორიაზის, პალმპლანტარული ჰიპერტროფიული ფსორიაზის და გენერალიზებული პუსტულოზური ფსორიაზის სამკურნალოდ ზრდასრულ პაციენტებში, რომელთაც ადრე აღინიშნებოდათ სხვა სისტემური აგენტების მიმართ წარუმატებლობა, უკუჩვენება ან აუტანლობა. ამ შემთხვევაში სეფეკინუმაბი მისაღები და საუკეთესო არჩევანია თერაპიის დასაწყებად სხვა ბიოლოგიური პრეპარატებს შორის.

ფსორიაზული ართრიტის თანაარსებობის შემთხვევაში სეფეკინუმაბი ინიშნება, როგორც პირველი რიგის პრეპარატი აქტიური დაავადების სამართავად ზრდასრულ პაციენტებში, რომელთა ართრიტიც არ პასუხობს სხვა სისტემურ აგენტებს [24].

ბიოლოგიური პრეპარატების და, მათ შორის, სეფეკინუმაბის გამოყენება უკუნაჩვენებია: მწვავე ინფექციების, აქტიური და ლატენტური ტუბერკულოზის, B და C ჰეპატიტების, AIV ინფექციის და სეფეკინუმაბზე ან ლატექსზე ჰიპერმგრძობელობის არსებობის შემთხვევაში [25].

ამრიგად, დასკვნის სახით, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ფსორიაზის და ფსორიაზული ართრიტის დროს, დერმატოლოგებს, რევმატოლოგებსა და კლინიცისტებს შორის კოლაბორაცია, ახალი სამკურნალო პრეპარატების ცოდნა, ფარმაცეპტულ ბაზარზე მათი ხელმისაწვდომობა და



სწორი გამოყენება ხელს უწყობს მკურნალობის ეფექტურობის გაზრდას რაც, თავის მხრივ, აუმჯობესებს პაციენტის ფსიქო-ემოციურ სტატუსს და ცხოვრების ხარისხს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Chunfang Gu, Ling Wu, Xiaoxia Li. IL-17 family: cytokines, receptors and signaling Cytokine. Author manuscript; available in PMC: 2014 Nov 1. Published in final edited form as: Cytokine. 2013 Sep 3;64(2):10.1016/j.cyto.2013.07.022. doi: 10.1016/j.cyto.2013.07.022
2. Ye P, Garvey PB, Zhang P, et al. Interleukin-17 and lung host defense against *Klebsiella pneumoniae* infection. *Am J Respir Cell Mol Biol*. 2001;25(3):335–40. doi:10.1165/ajrcmb.25.3.4424.
3. Dubin PJ, Martz A, Eisenstatt JR, et al. Interleukin-23-mediated inflammation in *Pseudomonas aeruginosa* pulmonary infection. *Infect Immun*. 2012;80(1):398–409. doi:10.1128/IAI.05821-11.
4. Shen F, Gaffen SL. Structure-function relationships in the IL-17 receptor: implications for signal transduction and therapy. *Cytokine*. 2008;41(2):92–104. doi:10.1016/j.cyto.2007.11.013.
5. Reynolds JM, Martinez GJ, Nallaparaju KC, Chang SH, Wang YH, Dong C. Cutting edge: regulation of intestinal inflammation and barrier function by IL-17C. *J Immunol*. 2012;189(9):4226–30. doi:10.4049/jimmunol.1103014.
6. Ishigame H, Kakuta S, Nagai T, et al. Differential roles of interleukin-17A and -17F in host defense against mucocutaneous bacterial infection and allergic responses. *Immunity*. 2009;30(1):108–19.
7. Owyang AM, Zaph C, Wilson EH, et al. Interleukin 25 regulates type 2 cytokine-dependent immunity and limits chronic inflammation in the gastrointestinal tract. *J Exp Med*. 2006;203(4):843–9. doi:10.1084/jem.20051496.
8. Monin L, Gaffen SL. Interleukin 17 family cytokines: signaling mechanisms, biological activities, and therapeutic implications. *Cold Spring Harb Perspect Biol*. 2018;10(4):a028522. doi:10.1101/cshperspect.a028522.
9. Flores R, de la Fuente R, Bozán F, Vergara K, Valenzuela F. Actualización en terapia biológica para psoriasis y artritis psoriática (parte I): moléculas pequeñas, inhibidores de JAK y agentes biológicos (inhibidores IL-17) *Lat Am J Clin Sci Med Technol*. 2020;2:113–25. doi: 10.1016/j.autrev.2016.09.015.
10. Özyurt K, Ertaş R, Atasoy M. Biologics for psoriasis: What is new? *Dermatol Ther*. 2019;32(3):e12916.
11. Elman SA, Weinblatt M, Merola JF. Targeted therapies for psoriatic arthritis: an update for the dermatologist. *Semin Cutan Med Surg*. 2018 Sep;37(3):173-181.
12. Yiu ZZ, Warren RB. Ustekinumab for the treatment of psoriasis: an evidence update. *Semin Cutan Med Surg*. 2018 Sep;37(3):143-147.
13. Yang EJ, Beck KM, Sanchez IM, Koo J, Liao W. The impact of genital psoriasis on quality of life: a systematic review. *Psoriasis (Auckl)*. 2018;8:41-47.
14. Gamret AC, Price A, Fertig RM, Lev-Tov H, Nichols AJ. Complementary and Alternative Medicine Therapies for Psoriasis: A Systematic Review. *JAMA Dermatol*. 2018 Nov 01;154(11):1330-1337.
15. Luchetti MM, Benfaremo D, Campanati A, Molinelli E, et al. Clinical outcomes and feasibility of the multidisciplinary management of patients with psoriatic arthritis: two-year clinical experience of a dermo-rheumatologic clinic. *Clin Rheumatol*. 2018 Oct;37(10):2741-2749.
16. Papp KA et al. Efficacy and safety of secukinumab in the treatment of moderate-to-severe plaque psoriasis: a randomized, double-blind, placebo-controlled phase II dose-ranging study. *Br J Dermatol*. 2013;168(2):412-21.
17. S Garcês, J Demengeot. The Immunogenicity of Biologic Therapies. *Curr Probl Dermatol*, 53 (2018), pp. 37-48 <http://dx.doi.org/10.1159/000478077> | Medline <https://doi.org/10.1159/issn.1421-5721>
18. Garcês S, Demengeot J. The Immunogenicity of Biologic Therapies. *Curr Probl Dermatol*. 2018;53:37–48.
19. Koenders MI, van den Berg WB. Secukinumab for rheumatology: development and its potential place in therapy. *Drug Des Devel Ther*. 2016;10:2069-80.
20. Frieder J, Kivelevitch D, Menter A. Secukinumab: a review of the anti-IL-17A biologic for the treatment of psoriasis. *Ther Adv Chronic Dis*. 2018 Jan;9(1):5-21.

21. Stubenrauch, K., Wessels, U., Regula, J.T., Kettenberger, H., Schleyppen, J. & Kohnert, U. Impact of molecular processing in the hinge region of therapeutic IgG4 antibodies on disposition profiles in cynomolgus monkeys. *Drug Metab. Dispos.* 38, 84–91 (2010).
22. Karle A et al. Secukinumab, a novel anti-IL-17A antibody, shows low immunogenicity potential in human in vitro assays comparable to other marketed biotherapeutics with low clinical immunogenicity. *MAbs.* 2016;8(3):536–50.
23. Reich K, Blauvelt A. et al. Secukinumab, a fully human anti-interleukin-17A monoclonal antibody, exhibits low immunogenicity in psoriasis patients treated up to 5 years. *J Eur Acad Dermatol Venereol.* 2019;33(9):1733–41.
24. Koenders MI, van den Berg WB. Secukinumab for rheumatology: development and its potential place in therapy. *Drug Des Devel Ther.* 2016;10:2069–80.
25. Smith CH, Jabbar-Lopez ZK, Yiu ZZ, Bale T, Burden AD, et al. British Association of Dermatologists guidelines for biologic therapy for psoriasis 2017. *Br J Dermatol.* 2017 Sep;177(3):628–636.

თეა კაციტაძე<sup>1</sup>, ნატო კორსანტია<sup>2</sup>, ლელა ბერიძე<sup>3</sup>, ნინო ადამაშვილი<sup>2</sup>,  
თინათინ ბოჭორიშვილი<sup>4</sup>, ალექსანდრე კაციტაძე<sup>2</sup>

**IL-17-ის ოჯახის ციტოკინების იმუნოლოგიური და იმონოპათოლოგიური ასპექტები,**

**IL-17-ის ინჰიბიტორის - სეჭუკინუმების გამოყენება პაციენტებში ფსორიაზით**

<sup>1</sup>შპს “ჯანმრთელობის ინსტიტუტი”, <sup>2</sup>თსსუ კანისა და ვენსნეულეზათა დეპარტამენტი, <sup>3</sup>ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო, <sup>4</sup>ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა; საქართველო

### რეზიუმე

IL-17-ის ოჯახში შემავალ პროტეინებს აქვთ მნიშვნელოვანი როლი ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციების წინააღმდეგ. ამასთანავე, ისინი მონაწილეობენ რიგი აუტოიმუნური დაავადების განვითარების პათოგენეზში. კანის დაავადება, სადაც ინტერლეიკინ 17 არის ჩართული ან ფიქრობენ რომ არის ჩართული - ფსორიაზია. ფსორიაზი კანის ქრონიკული ანთებით-პროლიფერაციული მდგომარეობაა. ფსორიაზის სამართავად შექმნილი ახალი თერაპიული საშუალებების - ბიოლოგიური აგენტების, მათგან ანუ მონოკლონური ანტისხეულების როლი, ბოლო წლებში სულ უფრო მზარდი და მნიშვნელოვანია. სეჭუკინუმები - ინტერლეიკინ 17-ის სამიზნე ახალი ბიოლოგიური აგენტი. ეს არის სრულად ადამიანის მონოკლონური ანტისხეული IgG1/kappa იზოტიპი, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოს ბაზარზე 2021 წლიდან და წარმატებით გამოიყენება, როგორც ფსორიაზის, ასევე ფსორიაზული ართრიტის სამკურნალოდ. პრეპარატი გამოირჩევა სანაქებო უსაფრთხოების პროფილით და ხანგრძლივი კლინიკური ეფექტით.



*НИНО ЦИСКАРИШВИЛИ, АЛЕКСАНДР КАЦИТАДЗЕ, ТАМАРА КАНДАШВИЛИ,  
НАТО КОРСАНТИЯ, НИНО И. ЦИСКАРИШВИЛИ, ЦИСКАРИ ЦИСКАРИШВИЛИ,  
НИНО АДАМАШВИЛИ*

**ПОЗДНЯЯ КОЖНАЯ ПОРФИРИЯ (КЛИНИЧЕСКИЙ СЛУЧАЙ)**

ТГМУ Департамент кожных и венерических болезней, Грузия

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.01.28>

*NINO TSISKARISHVILI, ALEXANDER KATSITADZE, TAMAR KANDASHVILI, NATO KORSANTIA,  
NINO I. TSISKARISHVILI, TSISKARI TSISKARISHVILI, NINO ADAMASHVILI*

**PORPHYRIA CUTANEA TARDA (CLINICAL CASE)**

TSMU Department of Dermatology and Venerology

**SUMMARY**

Porphyria Cutanea Tarda (PCT) is the most common of the Porphyrias and results from a deficiency of the enzyme uroporphyrinogen decarboxylase (UROD). Porphyria Cutanea Tarda (PCT) is a rare disorder characterized by painful, blistering skin lesions that develop on sun-exposed skin (photosensitivity). Affected skin is fragile and may peel or blister after minor trauma. Liver abnormalities may also occur. PCT is essentially an acquired disease, but some individuals have a genetic (autosomal dominant) deficiency of UROD that contributes to development of PCT. These individuals are referred to as having "familial PCT". Most individuals with the inherited enzyme deficiency remain latent and never have symptoms

Large amounts of porphyrins build up in the liver when PCT is becoming active. The disease becomes active when acquired factors, such iron, alcohol, Hepatitis C virus (HCV), HIV, estrogens (used, for example, in oral contraceptives and prostate cancer treatment) and possibly smoking, combine to cause a deficiency of UROD in the liver. Hemochromatosis, an iron overload disorder, also can predispose individuals to PCT. In patients with acquired PCT, males and females are affected more than males. The disorder usually develops after the age of 30 and its onset in childhood is rare. PCT is found worldwide and in all races. PCT is a rare disorder the prevalence is estimated to be approximately 1 case in every 10.000 to 25,000 individuals in the general population.

**Keywords:** porphyria, cutanea, tarda, clinical case

Поздняя кожная порфирия (ПКП) - наиболее распространённая форма порфирии, обусловленная нарушением синтеза гемов печени, сопровождающаяся повышенным образованием и выделением уропорфирина и копропорфирина мочой и задержкой их в коже. Встречается с частотой 0,5 случаев на 100 000 населения. Впервые это название болезни было предложено J.Waldenstrom в 1937 г. Однако в литературе встречаются и другие термины: кожно-буллезная форма порфириновой болезни, актинический травматический буллезный дерматоз, симптоматическая порфирия, поздняя кожная порфирия и др. [1,2].

Причиной возникновения ПКП является нарушение синтеза гемов в печени вследствие патологии, наследуемой по аутосомно - доминантному типу с вариабельной экспрессивностью гена, или непосредственно в результате заболевания печени (хронический гепатит, цирроз). Провоцирующими факторами являются: 1. алкоголь 2. соли тяжелых металлов (мышьяк, свинец и входящий в состав этилированного бензина, кобальт, уран, фосфор, фтор и др.) 3. лекарственные препараты (барбитураты, антималярийные препараты в высоких дозах. гризеофульвин, эстрогены, препараты железа). В последние годы среди триггерных факторов выявляются вирус гепатита С (HCV). При ПКП частота выявления антител к HCV составляет 76-82 %. Индуцированные HCV деструктивные повреждения гепатоцитов ведут к разнообразным функциональным нарушениям печени и обмена порфиринов. Патогенное фотодинамическое действие порфиринов нередко усугубляется травмами [3,4].

Частичный блок уропорфириноген - III - декарбоксилазы, участвующей в биосинтезе порфиринов, с увеличением активности печеночной синтетазы сигма - аминолевулиновой кислоты, приводит к увеличению уровня порфиринов (плазмы, мочи, печени, кала) с последующей фотосенсибилизацией тканей.

Патоморфологически обнаруживают эпидермо - дермальные пузыри, иногда расположенные внутри мальпигиева слоя эпидермиса. В дерме определяется фиброзная дегенерация эластических и коллагеновых волокон. С помощью иммуноферментного анализа (ИФА) выявляется фиксация иммуноглобулина класса G в стенках сосудов.

Клиническая картина ПКП характеризуется хроническим течением, рецидивы возникают в весеннее - летний период и обусловлены облучением. Преимущественно болеют мужчины среднего и пожилого возраста. Число женщин среди больных ПКП составляют 5 - 6 %, детей менее 1%. На коже волосистой части головы, лица, шеи, ушных раковин, кистей возникают зудящие пузырьные высыпания диаметром менее 1 см с серозно-геморрагическим и гнойным содержимым, оставляющие после вскрытия корки, рубцы, атрофию, гиперпигментацию, склеродермоподобные образования. Отмечается легкая ранимость кожи при малейшей травме. Наблюдается диффузный меланоз открытых участков кожного покрова, фиолетово - коричневое окрашивание век, конъюнктивы. ПКП свойственны поражения печени (отложение порфирина - цирроз). нарушение функции желудочно - кишечного тракта, субанакидный гастрит, ожирение. Встречается разнообразие патологии органов зрения: конъюнктивит, расширение сосудов глазного дна, помутнение роговицы, нарушение цветовосприятия. При лабораторных исследованиях выявляется повышение активности аминотрансфераз  $\gamma$  глутамилтрансферазы, гипергаммаглобулинемия, гиперпорфиринемия, гиперферремия. Патогномонично увеличение концентрации уропорфирина и копропорфирина I, III фракций [5,6].

Выделяют 2 основных типа заболевания:

1. приобретенный (спорадический), возникающий вследствие дисфункции печени или злоупотребления алкоголем, воздействия лекарственных препаратов, гепатотоксических ядов, тяжелых металлов, горюче - смазочных материалов (у мужчин в возрасте 40-50 лет), при котором снижение активности фермента уропорфириногендекарбоксилазы происходит только в клетках печени
2. наследственный (аутосомно - доминантный), выявляемый в детском возрасте во всех поколениях, при котором снижение активности фермента наблюдается во всех тканях.

Для подтверждения диагноза ПКП необходимо следующее: исследование мочи под лампой Вуда: ярко - розовое или оранжево - красное свечение свидетельствует о повышении уровня порфиринов; исследование желудочно - кишечного тракта и печени с использованием компьютерной томографии или УЗИ печени для исключения опухоли; постановка функциональных проб печени и почек; количественный анализ порфиринов в моче, кале и эритроцитах; определение содержания железа, постановка серологических реакций на вирусный гепатит; тесты на вирус иммунодефицита человека.

При проведении лечения исключается воздействие солнечных лучей на открытые участки кожи (использование солнцезащитного крема). Рекомендуется полный отказ от алкоголя и воздействия других гепатотоксических факторов (в том числе прием барбитуратов, сульфаниламидов). Показаны противомаларийные препараты - делагил (хлорохин) по 125 мг 2 раза в неделю в течение 8 - 18 мес, гепатотропные препараты (гептрал, эссенциале форте) и липотропные

(липамид, пангамат кальция) средства, витамины группы В (особенно В<sub>2</sub>, В<sub>6</sub>, В<sub>12</sub>) никотиновая и фолиевая кислота. В некоторых случаях положительный эффект оказывают кровопускания (объемом 500 мл с интервалом 1- 2 нед и поддержанием уровня гемоглобина не выше 100 г/л и сеансы плазмофереза для мобилизации порфиринов и железа из печени. Местно используются примочки с антисептиками, противовоспалительные и эпителизирующие средства (аковегин, солкосерил) негалогенизированные кортикостероидные кремы и мази (адвантан и др.)

Больной К. 55 лет. Заболел 8 лет назад, когда после пребывания на солнце на коже кистей возникли пузырьковые и пузырьные высыпания на фоне отека и красноты, язвочки, корки, сопровождающиеся чувством жжения. Дерматолог по месту жительства диагностировал фотодерматоз. Проводилось лечение кортикостероидными препаратами (дипроспан внутримышечно, мази целестодерм и тридерм с временным эффектом). На протяжении последующих лет отмечал волнообразное течение болезни. Пузырные высыпания самопроизвольно или после малейшей травмы вскрывались, их содержимое ссыхалось в кровянистые корки, после отторжения которых оставались рубчики. Два года назад аналогичная сыпь стала периодически появляться на коже волосистой части головы, лица, ушных раковин, шеи, груди, предплечьях. В декабре этого года был диагностирована поздняя кожная порфирия. В анамнезе ОРВИ, грипп, пневмония, гепатит С, хронический холецистит (вне обострения), хронический гастродуоденит, ишемическая болезнь сердца, артериальная гипертензия, сотрясение головного мозга, злоупотребление алкоголем.

Локальный статус: на коже волосистой части головы, ушных раковин, лице, груди, тыльной поверхности кистей имеются немногочисленные везикулезные и буллезные эффоресценции различных размеров с напряженными, легко разрывающимися покрывками, серозным и серозно - геморрагическим содержимым, поверхностные эрозии ярко - красного цвета, серозно - геморрагические и серозно - гнойные корки. В местах заживших дефектов отмечаются очаги дисхромии с нечеткими границами и атрофические рубчики неправильных очертаний. Субъективно чувство жжения и покалывания в очагах поражения. Общее состояние больного удовлетворительное.

Моча розового цвета, в свете ультрафиолетовых лучей лампы Вуда - красная флюоресценция. В биохимических анализах крови повышение уровня аланинаминотрансферазы, аспаратаминотрансферазы, щелочной фосфатазы до 50, 56, 320 ЕД/л соответственно. Анализ мочи на порфирины положительный. В сыворотке крови методом ИФА выявлены суммарные анти - HCV. Другие лабораторные показатели в пределах нормы. Заключение УЗИ печени: диффузные изменения печени, фиброзно - жировые изменения поджелудочной железы. Назначена терапия: делагил 0,25 2 раза в неделю, витамин В<sub>12</sub> по 500 мг внутримышечно через день, 1% раствор никотиновой кислоты 1 мл внутримышечно 1 раз в сутки, доксициклин 0,1 2 раза в сутки, местно туширование эрозий сильведермом. ГК. В результате проведенного лечения в течение 4 нед. проявления ПКП регрессировали. Рекомендовано продолжить поддерживающую терапию делагилом в дозе 125 мг 1 раз в неделю в течение длительного времени на фоне приема гепатотропных препаратов.

Таким образом, проведенное наблюдение демонстрирует трудности и ошибки диагностики ПКП. Многолетнее течение, рефрактерность к проводимой терапии, связь обострения заболевания с солнечной инсоляцией должны своевременно привлечь внимание врача и расширить спектр проводимых исследований для уточнения диагноза. Наше клиническое наблюдение демонстрирует, что тщательно собранный анамнез, характерная клиническая картина с учетом



данных лабораторного обследования позволяет своевременно диагностировать данную редкую патологию кожи, а правильно подобранная адекватная терапия - добиться положительного эффекта.

#### ЛИТЕРАТУРА

1. Kakoullis L, Louppides S., Papachristodoulou E., Panos G. Porphyrins and photosensitivity; pathophysiology for the clinician Postgrad Med 2018, Nov; 130(8):673-686
2. Salamty H et al. Relapse of porphyria cutanea tarda after treatment with phlebotomy or 4 - aminoquinoline antimalaris: a meta analysis. Br J Dermatol 2018 Dec 179 (6):1351-1357
3. Бутов Ю.С., Скрипкин Ю.К., Иванов О.Л. Дерматовенерология. Национальное руководство 2016
4. Монахов С.А Поздняя кожная порфирия. Российский журнал кожных и венерических болезней 2014,5: 63-65.
5. Хебиш Т. Кожные болезни: Диагностика и лечение. МЕДпресс - информ, 376
6. Фицпатрик Т., Джонсон Р., Вульф К и др. Дерматология Атлас - справочник 2015, 1715-1725

*ნინო ცისკარიშვილი, ალექსანდრე კაციაძე, თამარ ყანდაშვილი, ნატო კორსანტია,  
ნინო ი. ცისკარიშვილი, ცისკარი ცისკარიშვილი, ნინო ადამაშვილი*

#### **კანის გვიანი პორფირია (კლინიკური შემთხვევა)**

ოსსუ კანისა და ვენერიულ სნეულებათა დეპარტამენტი, საქართველო

#### **რეზიუმე**

კანის გვიანი პორფირია იშვიათი დერმატოზია, რომელიც ქრონიკულად მიმდინარეობს. არჩევენ პორფირიის ოჯახურ და შეძენილი ფორმებს. პორფირიის შემთხვევათა 1/3-ს ოჯახური ხასიათი აქვს. პათოგენეზში მნიშვნელოვანია: ალკოჰოლური ინტოქსიკაცია, ბენზინის და სხვა ტოქსიური ნივთიერების მოქმედება, რკინის კონცენტრაციის მომატება, აივ - ინფექცია, C ჰეპატიტი. პორფირია ჰემის სინთეზის ანომალიის შედეგია. კანის გვიანი პორფირია პორფირიის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მისი განვითარების მიზეზი ღვიძლის უროპორფირინოგენური დეკარბოქსილაზას აქტივობის დეფიციტია. პორფირინების კონცენტრაციის დონის მომატების შედეგად (პლაზმა, შარდი ღვიძლი, განავალი) ვითარდება ქსოვილების ფოტოსენსიბილიზაცია. კლინიკურად კანის ღია უბნებზე მზის სხივების ზემოქმედების შემდეგ წარმოიქმნება მტკივნეული ბუბტოვანი ელემენტები. ნაშრომში აღწერილია დაავადების ეტიოლოგია, დაავადების დიაგნოსტიკის კლინიკური და მორფოლოგიური კრიტერიუმები, ასევე დერმატოზის მკურნალობის პრინციპები.





### ავტორთა საყურადღებოდ!

1. ორიგინალური სტატია უნდა წარმოადგინოთ ერთ ეგზემპლარად, დაბეჭდილი 1,5 ინტერვალით, შრიფტის ზომა - 12 პუნქტი; ქართული, რუსული და ინგლისური ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს შრიფტით Sylfaen, ფორმატში Microsoft Word.
2. სტატიის მოცულობა არ უნდა იყოს 5 გვერდზე ნაკლები და უნდა შეიცავდეს ციტირებული ლიტერატურის სიას, ცხრილებს და გრაფიკებს.
3. პირველ გვერდზე მიუთითეთ: 1) ავტორის (ავტორების) სახელი და გვარი სრულად; 2) სტატიის სათაური; 3) კათედრა, ლაბორატორია ან ორგანიზაცია, ქალაქი, ქვეყანა.
4. სტატიას უნდა დაერთოს რეზიუმე ინგლისურ და ქართულ ენებზე, თითოეული მოცულობით არა უმეტეს 0,5 გვერდისა.
5. ტექსტში ბიბლიოგრაფიული მითითებები აღნიშნეთ ნომრით, კვადრატულ ფრჩხილებში, ლიტერატურის ნუსხის შესაბამისად. მიუთითეთ ნაშრომის სახელწოდება, გამომცემლობა, წელი, ტომი, ნომერი და გამოშვება, გვერდების აღნიშვნით.
6. სტატიას ბოლოში ერთვის პირველი ავტორის ხელმოწერა, სამეცნიერო ხარისხი და წოდება, მისამართი და ტელეფონის ნომერი.
7. ჟურნალის სარედაქციო კოლეგია იტოვებს უფლებას შეასწოროს და შეამოკლოს ჟურნალში გამოსაქვეყნებელი სტატია რეცენზენტის შენიშვნების გათვალისწინებით.
8. ჟურნალის სარედაქციო კოლეგია პასუხს არ აგებს გამოქვეყნებული მასალის შინაარსზე.
9. ხელნაწერები, რომლებიც არ შეესაბამება აღნიშნულ წესებს, უბრუნდება ავტორს განხილვის გარეშე.

### INFORMATION FOR AUTHORS

1. A single copy of an original article should be typed 1.5-spaced, font size 12, on sheets of paper with standard margins. It's desirable to submit an article typed in Microsoft Word.
2. The articles submitted should not be less than 5 typed pages, including list of references, tables and figures.
3. Page 1 should include: 1) the authors' full names; 2) the title of the article; 3) the department, laboratory and institution where the work has been carried out, city, country.
4. Abstract in English and Georgian (0.5 typed page in size) should be sent with the article.
5. References cited in the article text should be numbered in square brackets and according to the list of references where the authors are enumerated in alphabetical order. The author, title of the article, place of publication, publishing house, publication year, volume, number, edition number, pages (from-to) should be indicated.
6. At the end of the article, signatures of first author must be affixed along with academic degree, address, and phone number.
7. The editorial board retains the right to shorten and edit the articles sent, taking into consideration the reviewer's remarks.
8. The editorial board is nor responsible for the content of the published material.
9. Manuscripts not prepared according to the instructions will be returned to the authors without consideration.